

ISSN 1987-5789
ESSN 2587-5426

ეკონომიკა და ბიზნესი
ECONOMICS AND BUSINESS

1

ტომი ✦ Volume

XI

№1, 2019

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და
რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Practical Journal
of the Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University



გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2015 წლიდან – კვარტალში ერთხელ

Published since January 2008 once in two months,
Since 2015- Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თსუ-ის მაღლივი კორპუსი, მე-3 სართ., 317.
ტელ. 230-36-68, 599-10-38-16; 599 24-77-47.
Address: Tbilisi, University str. №2, TSU High (X) campus
Tel.: +99532230-36-68; 599-10-30-16; 599-24-77-47
e-mail: ebf.journal@tsu.ge
www.eb.tsu.ge

სარედაქციო კოლეგია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: რამაზ აბესაძე, იური ანანიშვილი, თეიმურაზ ბერიძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, **რევაზ გოგოხია** (*მთავარი რედაქტორის მოადგილე*), **თამაზ ზუბიაშვილი** (*პასუხისმგებელი მდივანი*), ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, ქეთევან მარშავა, მურთაზ მაღრაძე, **ელგუჯა მექვაბიშვილი** (*მთავარი რედაქტორი*), დავით ნარმანია, ნუგზარ პაიჭაძე, ვლადიმერ პაპავა (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი), ლევან საბაური, ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი), დემურ სიჭინავა, მირიან ტუხაშვილი, გიორგი ლალანიძე, თეიმურაზ შენგელია, ნოდარ ხადური, ეთერ ხარაიშვილი, იოსებ ხელაშვილი.

EDITORIAL BOARD

Doctors of Economic Sciences, Professors: Ramaz Abesadze, Iuri Ananiashvili, Teimuraz Beridze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, **Revaz Gogokhia** (*Deputy Editor*), **Tamaz Zubiashvili** (*Executive Secretary*), Nugzar Todua, Irakli Kovzanadze, Ketevan Marshava, Murtaz Maghradze, **Elguja Mekvabishvili** (*Editor-in-Chief*), Davit Narmania, Nugzar Paichadze, Vladimir Papava (*Academician of the National Academy of Sciences of Georgia*), Levan Sabauri, Avtandil Silagadze (*Academician of the National Academy of Sciences of Georgia*), Demur Sichinava, Mirian Tukhashvili, George Gaganidze, Teimuraz Shengelia, Nodar Khaduri, Eter Kharashvili, Ioseb Khelashvili.

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი; დმიტრო ლუკიანენკო – კიევის ვადიმ ჰეტმანის სახელობის ნაციონალური ეკონომიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი; იან მიხალეკი – ვარშავის უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკ-ის დეკანი, ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; დიმიტრი სოროკინი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი; როსვიტა მ. კინგი – ოსტფოლდის უნივერსიტეტის კოლეჯის ეკონომიკისა და სოციალური მეცნიერებების გამოყენებითი ეკონომიკის კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი (ნორვეგია); ამეზიან ფერგუენი – გრენობლის ალპების უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორი (საფრანგეთი); ტომას ჰალდმა – ტარტუს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (ესტონეთი);

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

Wolfgang Weng – Berlin University, Professor; Dmytro Lukianenko – Vadym Hetman Kyiv National Economic University, Rector, Professor; Jan Mikhalek – University of Warsaw, Dean of the Faculty of Economic sciences, Doctor of Economic Sciences, Professor; Dmitry Sorokin – Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Doctor of Economic Sciences, Professor; Roswitha M. King – Leader of Research Group 'Applied Economics,' Faculty of Economics and Social Sciences, Ostfold University College (Norway); Ameziane Ferguène – Professor of Economics at Grenoble Alps University (France); Toomas Haldma – Tartu University, Dean of the Faculty of Economics and Business Administration, Professor.

სარჩევი

CONTENTS



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2019 წლის საშობაო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო: საუკუნეებიდან საუკუნეებს გადაეცემოდა მოლოდინი იმისა, რომ «მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს», რაც ნიშნავს „ჩვენთან არს ღმერთი“ (ესაია 7,14) და რომ იქნება „სახელი მისი დიდისა განზრახვისა ანგელოზი, ღმერთი ძლიერი, ხელმწიფე, მთავარი მშვიდობისა, მამა მერმეთა საუკუნეთა“ (ესაია 9, 5-6).

2019 წლის წინ აღსრულდა ქვეყნიერების მხსნელის შესახებ წმინდა ესაიას ეს წინასწარმეტყველება.

ჭეშმარიტად ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, სულიერად თანაზიარნი გავხდეთ ერთი გამოუთქმელი ამ სასწაულისა, თუმცა ღვთის დიდებას სრულად ვერასდროს შეიცნობს ადამიანური გონება და ვერც იესო ქრისტეს ღვანლს გააცნობიერებს სრულად ოდესმე. ვიცით, რომ იგი „გარდამოხდა ზეცით და ხორცი შეისხა სულისაგან წმინდისა“, რომ იცხოვრა კაცთა შორის, აღასრულა მრავალი სასწაული, მოგვცა ახალი მცნება და ჯვარს ეცვა, რათა ჩვენთვის ცხოვნება მოენიჭებინა...

ერთი შეხედვით, მარტივად ითქმის ეს, მაგრამ თუ დაუუკვირდებით მომხდარს, გამოაგნებელი რეალობის წინაშე აღმოჩნდებით: უფალი, შემოქმედი, მეორე ჰიპოსტასი წმინდა სამებისა, რომელიც, მამის და სულიწმინდის მსგავსად, მხოლოდ საღვთო ბუნებისა იყო, ჩვენს გადასარჩენად იღებს ადამიანურ ბუნებასაც.

ყოვლისშემქმნელმა, ყოვლისშემძლემ, მარადიულმა, დაუსაბამომ, ცხოველსყოფელმა ... კაცობრივი სხეული და თვისებები (გარდა ცოდვისა) მიიღო, რათა გამხდარიყო თანაარსი ყველა ჩვენგანისა და ჩვენთვის მოენიჭებინა ცოდვათაგან განთავისუფლება და განღმერთობა. ამიტომაც იგი, განკაცების შემდგომ თავის თავში უკვე მარადიულად ატარებს ორ სრულიად განსხვავებულ, შეურევნელ ბუნებას: შეუქმნელობასა და შექმნილობას, დაუსაბამობასა და დასაბამიერობას, გარეშეუნერელობასა და გარეშენერილობას; მკვდრეთით აღდგომამდე კი უკვდავებასთან ერთად ჰქონდა მოკვდავობაც, უვნებობასთან ერთად – ვნებულობაც, უზრუნადობასთან ერთად – ხრუნადობაც.

მან, ჭეშმარიტმა სიცოცხლემ, მოკვდავობა იწილხვედრა, რათა თვისი უკვდავებით სიკვდილი მოეკვდინებინა; ბუნებით უზრუნელმა ხრუნადი სხეული შეიმოსა, რათა ჩვენი ხრუნილება განექარებინა, ჩვენი უგუნურება საღვთო ცოდნით განებრწყინებინა და ცოდვისადმი მონობა ცოდვაზე მეფობით შეეცვალა.

ამის ძალმოსილება მხოლოდ მას ჰქონდა! მხოლოდ მას შეეძლო თავის საღვთო ჰიპოსტასში დაეტია ერთობა ადამიანური თვისებებისა და უდიდესი მსხვერპლის ფასად შეემუსრა ათასწლეულების მანძილზე გამრავლებული და გამოვლენილი მთელი კაცობრიობის ცოდვის სისასვე. ეს სასწაული ორ ეტაპად ხორციელდება:

წმინდა იოანე დამასკელის სწავლებით, პირველ ეტაპზე განკაცებული ღმერთის კაცობრივ ბუნებაში მოხდა ამ ბუნებისთვის დამახასიათებელი უმეცრების, უძლურების, არაცხოველსყოფელობისა და მონურობის საღვთო ღირსეულობებით (საღვთო ცოდნით, შემძლეობით, ცხოველსყოფელობით, მეუფებით) გამდიდრება, არსობრივი თვისებების შეუცვლელად, და ჩვენ, ქრისტესთან თანაზიარებით, მინიერ ყოფაში მოგვეცა შესაძლებლობა ამ მადლით განმსჭვალვისა.

სულიერი ცხოვრებით, მაგალითად, მოიპოვება სიბრძნით მეტყველება, წინასწარმეტყველების ნიჭი, კურნების ძალა, სხვა სასწაულთქმედებათა უნარი... რომელიც პიროვნებაში არსებით ცვლილებებს არ იწვევს. ამიტომაც ღვთის ამ საბოძვარს ადვილად დაკარგავს ყველა, ვინც კვლავ ცოდვაში ჩაეფლობა.

მეორე ეტაპზე, ანუ მაცხოვრის ჯვარცმის, დაფვლისა და აღდგომის შემდეგ, იესო ქრისტემ თავისი განმღრთობილი კაცობრივი ბუნება თვისობრივად გარდაქმნა, ადამისეულ თავდაპირველ უცოდველ მდგომარეობას დაუბრუნა და, უფრო მეტიც, – თითოეულ ჩვენგანს ღვთის საუფლოს მარადიულად დამკვიდრების შესაძლებლობა მიანიჭა.

ასე რომ, ცათა შინა დაუსრულებელი სიხარული და ნეტარება ელოდება ყველას, ვინც კი ქრისტეს გზით სვლას მოინდომებს და შესაბამის ღვანლს აღასრულებს.

ქმნილებისადმი შემოქმედის ენითუთქმელი სიყვარულის ამ საოცარმა გამოვლინებამ მთელი ხილული და უხილავი სამყარო შეძრა: „ანგელოზნი ღაღადებენ, მთავარანგელოზნი გალობენ, აქებენ ქერუბიმნი და ადიდებენ სერაფიმნი, - ყოველი დაბადებული დღესასწაულობს დღეს, რამეთუ ღმერთსა ხედვენ ქვეყანასა ზედა და კაცსა, – ცათა შინა; ქვესკნელსა, – ზესკნელად განგებულებით და ზესკნელსა, – ქვესკნელად კაცთმოყვარეობით“ (ათანასე ალექსანდრიელი).

– პირველი ვინ მიეახლება ბეთლემელ ყრმას? პირველი ვინ იგრძნობს და ვინ შეეგებება მომხდარ სასწაულს?

– ძველი აღთქმის მართალი იოსები, უბრალო მწყემსნი და წარმართული სამყაროს ბრძენნი, – შორეული სპარსეთიდან (ასურეთიდან) უჩვეულო ვარსკვლავის მსვლელობას გამოყოლილი მოგვნი, რომელთაც საოცარი სიმბოლური შესანიერი, – ოქრო, გუნდრუკი და მური, – მიართვეს მას.

ოქრო – ვითარცა მეფეს,

გუნდრუკი – ვითარცა ღმერთს,

და მური – ვითარცა ღმერთკაცს, რომელიც კაცობრივი ბუნებით უნდა მომკვდარიყო და შეემურვათ.

წმინდა იოანე ოქროპირი ამ სამ ძღვენში ხედავს ადამიანისთვის უმთავრეს სიკეთეთაც: ქვეშარიტ რწმენას, სასოებასა და სიყვარულს, რომელთა აუცილებელი ერთობაც განაპირობებს ნებისმიერი პიროვნების უფლისკენ სწორად სვლას.

ინებოს ღმერთმა, ჩვენც, მოგვთა მსგავსად, ნელ-ნელა ავმაღლდეთ გულისხმისყოფისა და სრულყოფის კიბეზე, შევიმოსოთ რწმენით, სასოებითა და სიყვარულით, რომ ვპოვოთ ბეთლემის ბაგასა შინა მწოლი იესო და განვეშოროთ უკეთურ ბრძანებებსა და მზაკვრობას ჰეროდე მეფისას, რომელმაც 14 000 ყრმა მოაკვლევინა იმ იმედით, რომ მათ შორის მოაკვდინებდა ახლადშობილ ძეს ღვთისას (მასში მომავალ მეფეს და მეტოქეს ხედავდა) და ამით თავის ამქვეყნიურ მეფობას გაიხანგრძლივებდა.

საუკუნეთა მანძილზე უფლამდე მისასვლელი გზა მუდამ ნარ-ეკლიანი იყო, ვინრო და ძნელად სავალი, რადგან ყოველ ეპოქას თავისი ჰეროდე ჰყავს, რომელიც ძალაუფლების შესანარჩუნებლად არ ერიდება ბოროტ, ბილნ საქმეთ, არ ერიდება არც უდანაშაულო ყრმათა მონყვეტას, ოღონდ ადამიანები თავის მონობაში ამყოფოს და შემოქმედი დაავინყოს.

ჩვენს დროშიც მისი მოქმედებანი სხვა და სხვა სახით ვლინდება: აბორტით მონყვეტილ ჩვილთა სისხლი ცას შეჰვალადებს, ნარკომანია, აზარტული თამაშები თუ უზნეო ცხოვრების წესი ათასობით ახალგაზრდას იწირავს და ეს დანაშაულებანი ჩვენგან პასუხს ითხოვს.

ჰეროდესეული სული იმასაც ცდილობს, ისეთი გარემო დაამკვიდროს, სადაც მისაბაძი აღარ იქნება სხვისთვის არა თუ თავის განირვა, ნაცვაღვების გარეშე სიკეთის ქმნაც კი; მისაბაძი აღარ იქნება ზნეობრიობა და სინმინდე და ადამიანებს დახშული ექნებათ სინდისის ხმა.

ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ სიმათლე და სიკეთე განქარდება, ურთიერთპატივისცემა და პატიოსნება დაიკარგება, რალა იქნება ჩვენი ყოფა?! თუ მეგობრობა, სიყვარული და თანადგომა ადამიანთა ბუნებიდან წარისოცება, ვინ შეძლებს ამგვარ სივრცეში ცხოვრებას?! ასეთი საზოგადოება ხომ თავისთავად გახდება სიცოცხლის უუნარო და გადაგვარებისათვის განწირული, რადგან მას აღარ ექნება ძალა ბოროტების შეჩერებისა და ცოდვისთვის წინააღმდეგობის განწევისა? ამასთან, გაქრება ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი ზღვარიც, – ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის.

სამწუხაროდ, ეს მდგომარეობა თანდათან ჩვენთანაც ფეხს იკიდებს და ხალხს შიში და უიმედობა იპყრობს, მაგრამ არ უნდა გავტყდეთ, არ უნდა დაგვაბრკოლოს არც გამრავლებულმა ღალატმა და გაუტანლობამ, არც შურმა და მზაკვრობამ. დროა ასეთი! არსებული რეალობა უნდა მივიღოთ, როგორც ჩვენი რწმენის დიდი გამოცდა და შევძლოთ, განვეშოროთ ბოროტებას, ჩვენდამი ჩადენილ ავ საქმეთა გამო, – სამაგიეროს გადახდას; ვეცადოთ, არ დავკარგოთ მომავლის იმედი, არ დავკარგოთ მოყვასის სიყვარული და მისდამი თანადგომის სურვილი, არ დავკარგოთ ღირსება და ძალისამებრ ჩვენისა, სიკეთით ვუბასუხოთ გამონვევებს.

შევნიშნავთ იმასაც, რომ არის დიდი მცდელობა სიტყვის თავისუფლების დამახინჯებული აღქმის გაბატონებისაც.

თავისთავად სიტყვის თავისუფლება საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი უფლებათაგანია, რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს საშუალებას აძლევს, საკუთარი შეხედულებისამებრ, საჯაროდ გამოთქვას აზრი და ამისთვის გამოიყენოს მასმედია და სოციალური ქსელიც, რაც პიროვნული თავისუფლების განცდას ბადებს და ნანახისა თუ ნაზრევის სხვისთვის გაზიარების შესაძლებლობას ქმნის, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ხდება რეალობის შეცვლა და სიტყვის თავისუფლებით ბოროტად სარგებლობა.

დღეს ადამიანები აღარ ერიდებიან სხვისი დამცირების მიზნით მათ უსაფუძვლოდ შეურაცხყოფას; სიცრუე და ბილწსიტყვაობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. გახშირდა ტყუილის ყველაზე მძიმე ფორმაც, – გაცნობიერებული, შეგნებული სიცრუე, – ცილისწამება, რომელიც ზოგჯერ სიმართლის სახელით ვირტუოზულად ისე არის შებურვილი, რომ მსმენელს, თავდაპირველად მანაც, შეცდომაში შეიყვანს.

ამის მოქმედთ, ალბათ, ჰგონიათ, რომ რაკი სხვასზე ფიზიკურად არ ძალადობენ და სხეულის დაზიანებას არ აყენებენ, ეს დანაშაული უმნიშვნელოა, რაც ძალიან დიდი შეცდომაა. სიტყვას უჩვეულო ძალა აქვს, – როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, რადგან მას ქმნადობის უნარი გააჩნია. არის სიტყვა სიცოცხლის მომნიჭებელი და სიტყვა – სიკვდილის ტოლფასი.

ამასთან, არცერთი ჩვენი ნათქვამი არ ქრება და იგი ჩვენი მამხილებელი იქნება ღვთის წინაშე. მაცხოვარი ბრძანებს: «ვინც უმიზეზოდ ურისხდება თავის ძმას, სასამართლოში უნდა მიეცეს; ხოლო ვინც ეტყვის თავის ძმას, რაკა, სინედრიონს უნდა წარუდგეს; და ვინც ეტყვის ძმას: შლეგო, ცეცხლის გეენაში უნდა ჩავარდეს» (მათე 5,22).

იაკობ მოციქულიც მეტად მკვეთრ შეფასებას აძლევს ავის-მოქმელთ: «.....ენა ცეცხლია, უსამართლობის სამყაროა იგიის ბილწავს მთელს სხეულს ... დაუკავებელი ბოროტებაა და მომაკვდინებელი გესლითაა სავსე. მით ვაკურთხებთ ღმერთსა და მამას და მით ვწყევლით ღვთის ხატად შექმნილ ადამიანებს. . . ასე არ უნდა იყოს» (იაკობი 3, 6-10).

თითოეული დღე, საათი და წუთი აღბეჭდილია ჩვენი კარგი ან ცუდი ქმედებით, კარგად ან ცუდად მეტყველებით. დროს ვერ დავაბრუნებთ და მასში ვერც ჩვენს ნაკვალევს წავშლით, თუ სინანული არ გვექნა. გულწრფელი, ღრმა სინანული, აღსარება და ზიარება ღვთისგან ნაწყალობევი ის საიდუმლოებებია, რომელთაც ძალუძთ მთე-

ლი ჩვენი განვლილი არასწორი ცხოვრების და მისი შედეგების აღმოფხვრა, ცოდვის წარბოცვა და ახალ ადამიანად ჩვენი გარდაქმნა, განწმენდა და სულიერი ამაღლება.

წმინდა იოანე ოქროპირი წერს: როგორი ცხოვრებითაც არ უნდა ვიცხოვროთ, სინანულს ვერ ავცდებით; ის, ვინც ამქვეყნად ცდილობს სინანულით უწამლოს თავისი სულის ცოდვით გამოვლინებებს, მარადიულად იხარებს, ხოლო ვინც ამ ქვეყანად შეჰხარის დროებით წარმავალ სიკეთეთ და ყველა საშუალებით მათ მოპოვებას ესწრაფვის მხოლოდ, აუცილებლად ინანებს საუკუნოდ.

პავლე მოციქული კი ბრძანებს: «ხორციელნი ხორცისას იზრახავენ, ხოლო სულიერნი, - სულისას..... ხორცის ზრახვა სიკვდილია, ხოლო სულის ზრახვა, – სიცოცხლე და მშვიდობა» (რომ. 8, 5-6).

«მეორე რჯულშიც» ვკითხულობთ: «თქვენს წინაშე ვიმონმებ ცას და მიწას: სიცოცხლე და სიკვდილი დაგიდევინე წინ, კურთხევა და წყევლა. აირჩიე სიცოცხლე, რომ იცოცხლოთ შენ და შენმა შთამომავლობამ» (II სჯ. 30,19).

მთელი კაცობრიობის და თითოეული ჩვენგანის არსებობის არსი ამ ორი გზიდან ერთ-ერთის არჩევაში მდგომარეობს.

განსაკუთრებული ზრუნვა გვმართებს მომავალ თაობაზე, რათა შემდეგ მათ საყვედური არ გვითხრან, რომ არ დავეხმარეთ, გაცნობიერებული ნაბიჯები გადაედგათ თავისი ცხოვრების გზაზე.

მე ურთიერთობა მაქვს პედაგოგებთან და ნაწილობრივ ვიცი ის პრობლემები, რის წინაშეც დღეს საჯარო სკოლა დგას.

სასიხარულოა, რომ ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მასწავლებელთა ხელფასს გაზრდის და იზრუნებს მათი ავტორიტეტის ამაღლებისთვის; ასევე სასიხარულოა დაწყებით კლასებში «დედა ენის» დაბრუნება, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია; ჩვენ მხოლოდ აუცილებელ თემებზე შევჩერდებით და ვიმედოვნებთ, ახალი ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს მას.

პირველ რიგში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნული სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდას; სასწავლო პროგრამებიდან, სამწუხაროდ, თითქმის ამოღებულია ჩვენი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებები, ყურადღება არ მახვილდება ჩვენი ერის გამორჩეულ წარსულზე, არ აღინიშნება გამოჩენილ პიროვნებათა და მოვლენათა ღირსსახსოვარი თარიღები; ხშირად არ ეწყობა ექსკურსიები ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის გასაცნობად... უნდა გატარდეს სხვა ღონისძიებებიც, რომ ყმანვილებში სამშობლოს სიყვარული გაღვივდეს და ისინი ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ.

ლუკმა-პურის შოვნისთვის სახლიდან გასულ მშობლებს ძალიან ცოტა დრო რჩებათ შვილებისათვის; ამიტომაც სახელმწიფომ და, აქედან გამომდინარე, სკოლამ უნდა იტვირთოს როგორც სწავლების, ისე აღზრდის ფუნქცია.

სკოლაში საათები უნდა დაეთმოს პირად ჰიგიენას, ხელსაქმეს, სახელობო მიმართულებებს, ბუნებასთან ურთიერთობას, სოფლის მეურნეობის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნას, უნდა ფუნქციონირებდეს მუსიკალური, სამხატვრო, ლიტერა-

ტურული წრეები... უმნიშვნელოვანესია სპორტული დარბაზებითა და მოედნებით სასწავლებლების უზრუნველყოფა და სპორტულ წრეებში ბავშვების გაერთიანება, რომ მათ ენერგია აქ დახარჯონ და ჯანმრთელ და ძლიერ პიროვნებად ჩამოყალიბდნენ. სკოლამ უნდა ჩაუნერგოს მოსწავლეებს შრომის სიყვარული, უნარი პატიებისა და სხვისი სიხარულით გახარებისა, სიმართლის დაცვისა და მეგობრის ერთგულებისა, დაჩაგრულის თანადგომისა და, საერთოდ, სიკეთის ქმნისა.

ამის განხორციელების შემთხვევაში შეგვეძლება ვთქვათ, რომ მოზარდებს მივეცით საშუალება ჯანსაღ თაობად აღზრდისა; შევთავაზებთ სიკეთე და სიცოცხლე, დანარჩენი კი მათ გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული.

როგორც აღვნიშნეთ, დღეს ხშირ შემთხვევაში დედ-მამა შვილს ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას; სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მშობელი ნაკლებად მონაწილეობს სკოლის ცხოვრებაში, რაც დაუშვებელია; სავალდებულო უნდა გახდეს პედაგოგებთან ხშირი შეხვედრა; მათ უნდა იგრძნონ თავისი პასუხისმგებლობა და მასწავლებლებთან ერთად ყველაფერი გააკეთონ შვილთან მიმართებაში სწორი მიდგომების განსაზღვრისათვის.

რაც შეეხება ოჯახს, ანუ მცირე ეკლესიას: ზოგადად, ყველამ ვიცით, რომ იგი ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს უნდა ეფუძნებოდეს. ყველამ ვიცით ისიც, რომ ოჯახში უსიამოვნებებიც ხდება, მაგრამ როგორც ცოლი, ისე ქმარი უნდა ეცადოს, რთული სიტუაცია მალევე განმუხტოს და, როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, დღე ისე არ უნდა დასრულდეს, რომ განაწყენებულებმა ერთმანეთს შენდობა არ სთხოვონ. გახსოვდეთ ისიც, რომ ჩხუბსა და დაძაბულობას შვილები უნდა განარიდოთ, მათი მგრძობიარე სული მთელი სიმწვავეთ რეაგირებს ასეთ ქმედებებზე; განსაკუთრებით მძიმე კვალს კი მშობლების განშორება ტოვებს.

სამწუხაროდ, დღეს ხშირად ირღვევა ოჯახები, უმთავრესად ახლადშექმნილი. ვფიქრობთ, ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ახალგაზრდები ცხოვრებისთვის არ არიან მომზადებულნი და პატარა გაუგებრობაც საკმარისი ხდება განშორებისთვის.

მათ უნდა იცოდნენ, რომ თავდაპირველად უსიამოვნებები შეიძლება ჰქონდეთ, რადგან ეს არის ერთმანეთთან რეალური ურთიერთობების დაწყების პერიოდი; ეს არის ოჯახურ სივრცეში დათმობის და, ამავე დროს, შენი ღირსების დაცვის, სიყვარულის გაცემისა და მიღების, სხვისი და საკუთარი თავის პატივისცემის დამკვიდრების პერიოდი.

ცოლ-ქმრისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოძღვრის ყოლას. ამასთან, კარგი იქნება თუ ისინი აღსარებას ერთ სასულიერო პირს ჩააბარებენ (რა თქმა უნდა, შეიძლება სხვა და სხვა მოძღვარიც ჰყავდეთ), რომ მისი საშუალებით თითოეულმა შედარებით უმტკივნეულოდ გააცნობიეროს თავისი შეცდომა და მდგომარეობა გამოასწოროს.

დაეყრდნით ღმერთს, ისწავლეთ მასთან საუბარი, გადაუშაღლეთ გული და იგი გიჩვენებთ საოცარ მაგალითს მეგობრობისა და შენევისა.

ცალკეული ადამიანი და მთელი მსოფლიოც დაუცველობის განცდამ სწორედ იმიტომ მოიცვა, რომ პიროვნება თავისი თავის იმედად დარჩა და შემოქმედი დაივიწყა.

ბედნიერია ის, ვის გულშიც ღმერთმა თვისი ძის სული გამოავლინა (გალატ.4,6) და აღავსო იგი ჭეშმარიტი რწმენით, სასოებითა და სიყვარულით. ასეთი პიროვნებისთვის აღარ არსებობს შიში ხვალისდელი დღისა, აღარ არსებობს შიში განსაცდელისა და თვით სიკვდილისაც, რადგან იცის და სწამს, რომ «ღვთის მოყვარულთ ყოველივე სასიკეთოდ წარემართებათ...~ ხოლო «თუ ღმერთი ჩვენსკენ იქნება, ვინ გამოვა ჩვენს წინააღმდეგ» (რომ. 8, 28,31)!

ქართველნი, აფხაზნი, ოსნი, ბერძენნი, უკრაინელნი, რუსნი, სომეხნი, ებრაელნი, აზერბაიჯანელნი, უდინნი, იეზიდნი, ქურთნი, ინგუშნი, ჩერქეზნი, ჩეჩენნი, ლეკნი, ყოველნი მკვიდრნი საქართველოსა და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნი თანამემამულენნი, ყოველნი ერნი, – ჩვენთვის `იშვა ყრმა ახალი, პირველსაუკუნეთა ღმერთი,~ ჩვენს ყველა სენთა და ტკივილთა დიდი მკურნალი.

ბეთლემის ბაგას ვარსკვლავი დასდგომია; ვიჩქაროთ, რომ თაყვანი ვსცეთ ჩვილ იესოს, – აბრაამის აღთქმის განცხადებას, მოსეს რჯულის დასრულებას, ახალ პასექსა და ახალ ადამს, პურს ცხოვრებისას და ნათელს სოფლისას, ძეს ღვთისას და ძეს კაცისას, გზას, ჭეშმარიტებასა და სიცოხლეს.

შორებელთა და ახლობელთ გვიხმოვს ღმერთი ჭეშმარიტი, გვიხმოვს ხანდაზმულთ და ყრმებს, ახალგაზრდებს, გვიხმოვს დამცირებულთ და შეურაცხყოფილთ, ქვრივ-ობლებს, განსაცდელში მყოფთ, მდიდართ და გლახაკთ, ჩინებულთ და უჩინოთ, ერსა და ბერს. არა აქვს მნიშვნელობა, მისკენ ჩვენი გზის საავალი ბეთლემელი მწყემსებივით ხანმოკლე იქნება, თუ მოგვებივით ხანგრძლივი, მთავარია, ვპოვოთ იესო, ვპოვოთ ყოვლადწმინდა მარიამი, ჩვენი გამორჩეული მფარველი, და აღარც განვეშოროთ მათ სიცოცხლის ბოლომდე.

იესო ქრისტეს მოწყალებით, ღვთისმშობლის მეოხებით, ღმერთმა ბედნიერი შობა-ახალი წელი მომადლოს თითოეულ თქვენგანს, სრულიად საქართველოს და მთელ მსოფლიოს.

ყველას გისურვებთ უფლის მადლით აღვსებას!

ღმერთს ებარებოდეთ, იხარეთ ორსავე სოფელსა შინა!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

ანაბრები, ბანკები და „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება“ პოსტკომუნისტურ საქართველოში

ელგუჯა მექვაბიშვილი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
elguja.mekvabishvili@tsu.ge*

პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდი დროის ის მონაკვეთია, რომელშიც ადმინისტრაციულ-მბრძანებლური („სოციალისტური“) ეკონომიკა კაპიტალისტურ სისტემად ტრანსფორმირდება. „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება“ ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია. საქართველოში საბანკო სისტემა აქტიურად იყო ჩართული სისტემური გარდაქმნების პროცესში. აუცილებელია რეტროსპექტული ანალიზის ჩატარება, რათა პასუხი გაეცეს ბევრ საჭირობო-ტო კითხვას: როგორ იქმნებოდა ახალი ქართული კაპიტალი? რა გზებით მოხდა საზოგადოების მცირე ნაწილის გამდიდრება, ანუ „ახალი ქართველების“ გაჩენა და მოსახლეობის ძირითადი მასის გაღარიბება? სად ნავიდა საბჭოთა პერიოდში შენახული მიერ შემნახველი ბანკებისათვის მიზარებული ფული? ვის ხელში გადავიდა საერთო-სახალხო (სახელმწიფო) საკუთრების უდიდესი ნაწილი? ვინ და რამ გაძარცვა ქართველი მეანაბრეები?

ბოლო ხანებში ძველი ანაბრებისა და ყოფილი სახელმწიფო ბანკების პრივატიზების ირგვლივ დისკუსია შენელდა, ბანკებისათვის მიზარებული ფულის რაიმე ფორმით უკან დაბრუნების იმედი კი ჩაქრა. თუმცა, აღნიშნული პრობლემები კვლავ აქტუალურია თუნდაც ბანკების ირგვლივ განვითარებული დისკუსიის კონტექსტით.

საკვანძო სიტყვები: პოსტკომუნისტური ეკონომიკური ტრანსფორმაცია; „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება“; ბანკების პრივატიზაცია; მოსახლეობის ანაბრები; მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია; სოციალური სამართლიანობა.

შესავალი

წინამდებარე სტატიას ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილების ერთი, ვფიქრობ, საინტერესო ეპიზოდი დაედო საფუძვლად. 2001 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ უალრესად გამწვავდა წინააღმდეგობა მმართველი პარტიის – „მოქალაქეთა კავშირის“ ძირითად ნაწილსა და მისგან გამოყოფილ ერთ ჯგუფს შორის – სააკაშვილი-ყვანიას ე.წ. „ახალგაზრდა რეფორმატორთა“ დაჯგუფებამ დაიწყო მოქალაქეთა კავშირისა და მისი თავმჯდომარის, საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის მკაცრი კრიტიკა. ეკონომიკურ პოლიტიკასთან მიმართებით კრიტიკა კონცენტრირდებოდა ორ პრობლემაზე: მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების გადაუდებელ აუცილებლობაზე და მოქალაქეებისათვის კუთვნილი ანაზრების დაბრუნებაზე. დისკუსიები იმართებოდა პარლამენტში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ერთ-ერთი ხმაურიანი შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზეც შედგა. ასეთი მწვავე ბატალიების პრობებში ერთ დღეს დამირეკა საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწემ ეკონომიკური რეფორმების დარგში, თ. ბასილიამ და მამცნო პრეზიდენტის გადანყვეტილება, რომ უნდა შექმნილიყო 1990-იანი წლების დასაწყისში მოქალაქეთა შემნახველი ანაზრების გაუფასურების შემსწავლელი კომისია, რომლისთვისაც, დამოუკიდებელი ექსპერტის სტატუსით, მე უნდა მებელმძღვანელა. კომისიაში ასევე შევიდნენ 1990-იანი წლების დასაწყისისათვის სახელმწიფო ეკონომიკური სტრუქტურების ხელმძღვანელი პირველი პირები: ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრები, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ვიცე-პრემიერი ეკონომიკის დარგში და სხვები. მათ ამ დროს უკვე აღარ ეკავათ ეს თანამდებობები. შევუდექი რა დავალების შესრულებას, თავდაპირველად შევხვდი კომისიის ყველა წევრს და შევთავაზე მუშაობის დაწყება, რაზედაც უკლებლივ ყველასგან კატეგორიული უარი მივიღე. შექმნილი ვითარების თაობაზე ვაცნობე პრეზიდენტს და მისგან მივიღე ახალი დავალება, რომ დამოუკიდებლად შემესწავლა პრობლემა და მოემზადებინა მოხსენებითი ბარათი. საკმაოდ ხანგრძლივი შრომის შედეგად შევექმენი ასეთი დოკუმენტი და გაუფგზავნე ბ-ნ ე. შევარდნაძეს, თუმცა მისგან გამოხმაურება არ ყოფილა და ჩემთვის დღემდე უცნობი დარჩა ამ დოკუმენტის ბედი.

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, თვრამეტი წლის შემდეგ მიზანშეწონილად ჩავთვალე მოპოვებული მასალის საფუძველზე სტატიის დაწერა, რომელიც შესაძლებელია საინტერესო აღმოჩნდეს, განსაკუთრებით მკითხველთა იმ წრისათვის, რომელსაც საქართველოს ეკონომიკაში 1990-იანი წლების დასაწყისში და შუა პერიოდში განვითარებული პროცესები აინტერესებს.

ბანკები და ანაზრები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე

პოსტკომუნისტური გარდამავალი ეკონომიკა წარმოიშვა „სოციალისტური“ საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის დაშლის შედეგად [1; გვ.18-20].

საბჭოთა საქართველოში ფუნქციონირებადი სამეურნეო სისტემა ერთიანი „სახალხომეურნეობრივი“ კომპლექსის შემადგენელი ნაწილი იყო და ერთი ცენტრიდან იმართებოდა. ზუსტად ასევე, საქართველოში არსებული საბანკო დაწესებულებები, ფაქტობრივად, სსრ კავშირის საბანკო სისტემის ფილიალები იყო და მხოლოდ სალაროს ფუნქციის შესრულება ევალებოდა.

1987 წლიდან სახალხო მეურნეობის მართვის დარგობრივი პრინციპის გაძლიერების ფონზე განხორციელდა საბანკო სისტემის სპეციალიზაცია ცალკეული დარგების მიხედვით. სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის მომსახურე-აგრობანკი, ექსპორტ-იპორტის ბანკი („ექსიმბანკი“), რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებს ემსახურებოდა, სოციალური სფეროს მომსახურე შემნახველი ბანკი („შემბანკი“), მშენებლობის მომსახურე სამშენებლო ბანკი („მშენბანკი“), ბიუჯეტის მომსახურების ფუნქცია კი დაეკისრა ცენტრალურ ბანკს.

1990 წელს საქართველოში დაიწყო დამოუკიდებელი, წინა სისტემისგან პრინციპულად განსხვავებული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა, რომელიც, ბუნებრივად, საბანკო სისტემის ძირეულ შეცვლას მოითხოვდა. ყოფილ მეტროპოლიასთან მწვავე დაპირისპირების გამო საქართველოს საბანკო სისტემა იმთავითვე იზოლირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. შეწყდა ნაღდი ფულის – მანეთის მოწოდება და საქართველოს ეკონომიკა დარჩა მხოლოდ იმ ნაღდი ფულის ამარა, რომელიც მიმოქცევაში იყო შემორჩენილი. ამავე დროს საქართველოს ბანკებში მილიარდობით მანეთის ანაბარი ირიცხებოდა, რომელიც მოსახლეობას ათწლეულების მანძილზე საკუთარი დანაზოგების სახით საბჭოთა ბანკებში შეჰქონდა.

ამგვარად, დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ ქართულ სახელმწიფოს საკუთარი მოქალაქეების უზარმაზარი ვალი აღმოაჩნდა, რომლის მოცულობა 13 მლრდ მანეთს შეადგენდა [2;გვ.28]. მანეთის აშშ დოლართან ოფიციალური კურსი იყო 1 მანეთი – 62-64 ცენტრი. ნაღდი ფულის უმწვავესი დეფიციტის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა მენაბრეების მიერ ბანკებიდან საკუთარი დანაზოგების გატანა.

საბჭოთა კავშირის შემნახველი ბანკის ერთიანი სისტემის დაშლის შემდეგ, რომელშიაც აკუმულირებული იყო მოსახლეობის ანაბრების უმეტესი ნაწილი, სავალო ვალდებულებები გადავიდა საქართველოს შემნახველ ბანკზე, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 16 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე სახელმწიფო-კომერციული შემნახველი ბანკის სტატუსი მიენიჭა.

1991-1992 წლებში ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, დაიწყო დოლართან შედარებით მანეთის მკვეთრი გაუფასურება, რამაც მოსახლეობაში წარმოშვა ბანკებში მანეთებზე რიცხული ფულის მასობრივი გამოტანისა და დოლარებზე გადასვლის დაუოკებელი სურვილი, რომლის შესრულებაც შეუძლებელი აღმოჩნდა როგორც დოლარების, ისე მანეთების ფიზიკურად არარსებობის გამო. ამან კიდევ უფრო გააუფასურა ფული და ინფლაცია ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა [1;გვ.22].

1992 წლის ზაფხულში საქართველოს ეროვნული ბანკის წინადადებით გადაწყდა სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში 1992 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით ანაბრებზე რიცხული თანხების 50 პროცენტით აფასება (ინდექსაცია). შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გამოსცა დადგენილება „საქართველოს მოსახლეობის დანაზოგების გაუფასურებასთან დაკავშირებით ანაბრების ინდექსაციის შესახებ“ [3]. ამ დადგენილების თანახმად, ანაბრების აფასების თანხები სპეციალურ ანგარიშებზე უნდა ჩარიცხულიყო და 1,5 წლის შემდეგ უნდა ანაზღაურებულიყო ბიუჯეტის ხარჯზე. ინდექსაციის შედეგად ანაბრებზე რიცხული თანხები 19 მლრდ მანეთამდე გაიზარდა. საყურადღებოა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი „საქართველოს მოსახლეობის დანაზოგების გაუფასურებასთან დაკავშირებით ანაბრების ინდექსაციის შესახებ“ [4], რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში 1992 წლის აგვისტოს მდგომარეობით ანაბრებზე რიცხული თანხების 100%-ით გაზრდას. ამ დადგენილების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება ერთდროულად „ორი კურდღლის დაჭერას“ ცდილობდა: ნაღდი ფულის უმწვავესი დეფიციტიდის პირობებში მოქალაქეების ხელში არსებული ფულის ნიშნების საბანკო არხებში მოქცევას და მოსახლეობის კეთილგანწყობილების მოპოვებას. ანაბრების გაზრდილი თანხების გაცემა უნდა მომხდარიყო ერთი წლის შემდეგ. უფრო ადრე შენაბრებებს უფლება მიეცა ინდექსირებული თანხები გამოეყენებინათ საპრივატიზაციო ობიექტების უნაღლო ანგარიშსწორების წესით შესაძენად.

საქართველოს ეკონომიკაში ნაღდი ფულით ანგარიშსწორებაში შექმნილი უმძიმესი სიტუაციის გამოსასწორებლად გადაწყდა ეროვნული ვალუტის სუროგატის – კუპონის შემოღება, რითაც უნდა მოგვარებულიყო ხელფასების, პენსია-დახმარებების და სხვა ფულადი გასაცემების ხანგრძლივადიანი დავალიანების პრობლემა. კუპონი 1993 წლის 5 აპრილიდან იქნა გაშვებული მიმოქცევაში. თანაფარდობა კუპონსა და მანეთს შორის შეადგენდა 1:1. კუპონის ძირითად ფუნქციად განისაზღვრა ნაღდი ანგარიშსწორების განხორციელება. საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის უნაღლო ანგარიშსწორება კვლავ მანეთებში ხდებოდა. მიმოქცევაში არსებული მანეთების მასა მთლიანად მიემართებოდა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მომსახურებაზე. ეროვნულმა ბანკმა მკაცრი კონტროლი დააწესა მანეთებში ფულის გაცემაზე. მისივე გადაწყვეტილებით საცალო სავაჭრო, საზოგადოებრივი, საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა მუდმივი შემოსავლების მქონე ორგანიზაციების მანეთებში შემოსული თანხები მთლიანად უნდა შეტანილიყო საბანკო დანესებულებებში, ხელფასების გაცემა კი კუპონებში უნდა მომხდარიყო. ორგანიზაციებს დაევალა ორი – სამანეთო და საკუპონე უწყისების წარმოება, საბანკო დანესებულებებში კუპონებისა და მანეთების აღრიცხვა ასევე ცალ-ცალკე ხდებოდა.

განვლილი წლების გადასახედიდან ამკარაა, რომ კუპონის შემოღება იძულებითი ღონისძიება იყო, რომელსაც ქვეყანა სრული ეკონომიკური კრახისგან უნდა ეხსნა. სა-

მწუხაროდ, კუპონის მიმართ სამთავრობო წრეებისა და საზოგადოების დამოკიდებულება არ იყო ამ ეგზისტენციური აუცილებლობის ადეკვატური, რის გამოც კუპონმა ნდობა ვერ მოიპოვა [6;გვ.50] და მალევე დაიწყო მისი სწრაფი ტემპებით გაუფასურება. 1993 წლის აპრილში ერთი კუპონი უდრიდა 1 რუსულ რუბლს. ერთი აშშ დოლარი უდრიდა 684 რუსულ რუბლს და, შესაბამისად, 684 კუპონს. იმავე წლის 7 აგვისტოს პირველი ვაჭრობა შედგა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე, სადაც დაფიქსირდა აშშ დოლარის კურსი კუპონის მიმართ: 1 USD=5690 კუპონი. 1994 წლის შემოდგომისთვის 1 აშშ დოლარი ოფიციალურად 2,5 მლნ კუპონი ღირდა, ხოლო საბაზრო გაცვლითი კურსი 5,4 მლნ კუპონს უდრიდა [6;გვ.51]. „1993-1994 წლებში ინფლაცია თვეში საშუალოდ 50-70 %-ს აღწევდა. ამ დროს კუპონით მხოლოდ კომუნალური მომსახურების გადახდა და პურის ყიდვა შეიძლებოდა“ [იგივე წყარო; გვ.52].

მაღალი ინფლაცია, რომელიც შემდგომში ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა, უარყოფითად ზემოქმედებდა მოსახლეობის ანაბრებზე. ანაბრების ინდექსაცია მცირეოდენ საკმარისიც არ აღმოჩნდა მოქალაქეთა დანაზოგების დასაცავად. მაშასადამე, 1992-1994 წლებში განხორციელდა მოსახლეობის საკუთარი დანაზოგებიდან „გაუცხოების“ პირველი ეტაპი, რითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა საზოგადოების უდიდესი ნაწილის გაღარიბების გზაზე.

1994 წლის შემოდგომიდან საქართველოს მთავრობამ, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხარდაჭერით, დაიწყო ეკონომიკის სტაბილიზაციის საშუალოვადიანი პროგრამის განხორციელება, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ჰიპერინფლაციის მოთოკვა და ეროვნული ვალუტის – ლარის შემოღება. 1995 წლის 2 ოქტომბრიდან ლარი საქართველოს ტერიტორიაზე ერთადერთ საგადასხდელო საშუალებად გამოცხადდა. კუპონის ლარზე გაცვლის კურსი განისაზღვრა: 1 მლნ კუპონი – 1 ლარი. ამავე თანაფარდობით გაანგარიშდა ბანკებში ანაბრებზე არსებული ნაშთები. 1 აშშ დოლარი 1,3 ლარს შეადგენდა. საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ლარის კურსი სტაბილური იყო, რის გამოც „მოსახლეობამ ლარი მიიღო, რომელმაც ბრუნვიდან კუპონთან ერთად რუსული რუბლიც გამოდევნა“ [6;გვ.54].

შექმნილ პირობებში, ვფიქრობთ, შესაძლებელი იყო მოსახლეობის ანაბრების მიმართ რამდენიმე მიდგომის შემუშავება. პირველ მათგანს პირობითად შესაძლებელია „ბალტიისპირული ვარიანტი“ ვუწოდოთ. ამ ქვეყნებში მთავრობამ ღიად განუცხადა მოსახლეობას, რომ საბჭოთა პერიოდის ანაბრების დაბრუნება ვერ მოხერხდებოდა და ეს იყო „თავისუფლების მოპოვებისთვის მათი მხრიდან გაღებული საფასური“. მეორე ვარიანტის მიხედვით შესაძლებელი იყო გარკვეული თანაფარდობით მოსახლეობის ანაბრების საპრივატიზაციო ვაუჩერებზე გაცვლა და ამ უკანასკნელის გამოყენება ყოფილი სახელმწიფო ქონების გამოსყიდვის პროცესში. საქართველოში უპირატესობა მიენიჭა მესამე ვარიანტს. კერძოდ, 1997 წლის 8 დეკემბერს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „მოსახლეობის ანაბრებზე რიცხვითი ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმის და მისი განხორციელების შესახებ“, რომლის

შესაბამისადაც ანაბრებზე რიცხული თანხების რაოდენობა განისაზღვრა კუპონის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადების თარიღის მდგომარეობით (1993 წლის 3 აგვისტო). 1998 წლის 22 აპრილს გამოიცა პრეზიდენტის ბრძანებულება ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის და მათი დაფარვის პროცესის ორგანიზებულად წარმართვისთვის სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ [6]. სპეციალური სახელმწიფო კომისიის, რომელსაც იმჟამინდელი ფინანსთა მინისტრი ხელმძღვანელობდა, ძირითად ამოცანად განისაზღვრა ანაბრების ინდექსაციის დაწყების ვადის განსაზღვრა, თანხების დაფარვის გრაფიკის შემუშავება და ინდექსირებული თანხების გაცემის რეგითობის დადგენა. სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ფინანსთა მინისტრის 1998 წლის 30 აპრილის ბრძანებით [7]. დამტკიცდა ინდექსირებული თანხების პირველი ჯგუფის ინვალიდ მენაბრეებზე პირველ რიგში გაცემა. ბრძანებაში იმავე წლის 7 სექტემბერს შეტანილი იქნა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებდა ინვალიდი ბავშვებისა და მათი მშობლების (მეურვეების) ანაბრების ანგარიშებიდან თანხების გაცემას. ინდექსაცია შეეხო საქართველოს სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 22 ივლისის დეკრეტის შესაბამისად [8] 1992 წლის 10 აგვისტოსათვის 100%-ით გაზრდილი ანაბრების ნაშთებს. განისაზღვრა დავალიანების ანაზღაურება შემდეგი კოეფიციენტების გათვალისწინებით:

01.01.1992წ. – პირველ ათას მანეთზე 100 ლარი, დანარჩენ ყოველ 1000 მანეთზე (კუპონზე) 10 ლარი;

01.01.1993წ. – პირველ ათას მანეთზე 10 ლარი, დანარჩენ ყოველ 1000 მანეთზე (კუპონზე) 2 ლარი;

03.08.1993წ. – პირველ ათას მანეთზე 2 ლარი, დანარჩენ ყოველ 1000 მანეთზე (კუპონზე) 1 ლარი.

1998 წლის ბიუჯეტში გამოიყო 5 მილიონი ლარი, რომლის ძირითადი ნაწილი (4 მლნ 134 ათას 559 ლარი) ჩაერიცხა გაერთიანებულ ქართულ ბანკს („გქბ“) მენაბრეების ვალის გასასტუმრებლად.

ამრიგად, 1998 წელს სახელმწიფომ გამოავლინა ნება და განახორციელა ანაბრების ძალიან მცირე ნაწილის გასტუმრება. შემდგომში, მოსახლეობის მხრიდან მრავალრიცხოვანი მოთხოვნის მიუხედავად, მსგავს ქმედებას ადგილი აღარ ჰქონია.

მოსახლეობის მკვეთრი ეკონომიკური დიფერენციაცია და ბანკების პრივატიზების როლი ამ პროცესში

საბჭოთა საზოგადოება სოციალური თანასწორობის მაღალი დონით გამოირჩეოდა. მოსახლეობის თითქმის ორი მესამედი საშუალო ფენას მიეკუთვნებოდა, ლარიბთა კატეგორიაში კი შედიოდა საზოგადოების მხოლოდ ყოველი მეთერთმეტე-მეთორმეტე წევრი.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში „შოკური თერაპიის“ მოდელის გამოყენებამ, რომელიც სამოქალაქო კონფლიქტების, კრიმინალის აღზევების, სახელმწიფო მართვის სისტემის თითქმის სრული პარალიზების პირობებში წარმართა, მოსახლეობის მკვეთრი სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია გამოიწვია. ასე მაგალითად, თუკი 1980-იანი წლების ბოლოს მოსახლეობის დეცილური კოეფიციენტი დაახლოებით იყო 4:1, 1996 წლისათვის მან შეადგინა 45:1, ფულადი შემოსავლების მიხედვით კი განსხვავება კიდევ უფრო გაიზარდა [2; გვ. 26]. იმავე 1996 წლისათვის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით სიღარიბეში ცხოვრობდა საქართველოს მოსახლეობის 42% [9; გვ. 18].

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის დამახასიათებელი იყო მოსახლეობის ქონებრივი და სხვა სახის დიფერენციაცია. თუმცა, არც ერთ მათგანში მოსახლეობის ძირითადი მასა ისე სწრაფად და ტოტალურად არ გაღარიბებულა, როგორც ეს მოხდა საქართველოში. კეთილდღეობის საერთო მაჩვენებელი, რომელიც წარმოადგენს დაგროვილი ქონების ელემენტების ამორტიზაციისა და მიმდინარე შემოსავლების მოხმარების ჯამს, დაახლოებით 10-12 მლრდ აშშ დოლარით შემცირდა, ხელფასის წილი შემოსავლების საერთო მოცულობაში 70-75%-დან 22-25%-მდე დაეცა [1; გვ. 27].

საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური დიფერენციაციის უკიდურესად გაღრმავებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ვაუჩერიზაციის წესით სახელმწიფო (საერთო-სახალხო) საკუთრების განსახელმწიფოება-პრივატიზებამ. ფაქტობრივად, განხორციელდა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ჩამოშორება საკუთრებისაგან, რაც შეიძლება ჩაითვალოს ხალხის საკუთრების მიტაცების მეორე ეტაპად (პირველი ეტაპი 1990-იანი წლების დასაწყისში განხორციელდა მოსახლეობის ანაბრების ტოტალური გაუფასურების სახით). ცნობილი ქართველი სტატისტიკოსის ი. არჩვადის გაანგარიშებით, 1990-იანი წლების დასაწყისისათვის ჩვენი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე (ბუნებრივი რესურსების, ტყის მასივების და სავარგულების ღირებულების გარეშე) 180 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა. აქედან 112 მლრდ აშშ დოლარის ეროვნული სიმდიდრე სახელმწიფო საკუთრებაში იმყოფებოდა. ამ საკუთრების თუნდაც 10%-ის პრივატიზების შემთხვევაში საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უნდა შეხვედროდა თითქმის 2,5 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ქონება [1; გვ. 28-29].

თუმცა, ეროვნული სიმდიდრის უდიდესი ნაწილის, ცალკეული დარგების ძირითადი ფონდებისა და კაპიტალურ დაბანდებათა არასწორი გადაფასების ინდექსაციის შედეგად საპრივატიზებო ქონების ღირებულება შეგნებულად იქნა შემცირებული და ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს ერგო 30 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების ვაუჩერი. მოსახლეობის სიდუხჭირის მანიპულაციით ბანკებმა, ხელისუფლების კორუმპირებულმა წარმომადგენლებმა, სხვადასხვა ჯურის თაღლითებმა შეძლეს არაორგანიზებულ ბაზარზე ვაუჩერის რეალური ფასის 4-5 ლარამდე შემცირება და მათი მასობრივი შესყიდვები განხორციელეს [10; გვ. 106].

სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოების ორგანული შემადგენელი ნაწილი იყო საბანკო სფეროში განხორციელებული პრივატიზება, რომელზედაც უფრო დანერვილებით შეფერხდებით. საბაზრო რეფორმების სანყის პერიოდში საქართველოში ფუნქციონირებდა სამსაფეხურიანი საბანკო სისტემა: ეროვნული ბანკი – სახელმწიფო კომერციული ბანკები – კომერციული ბანკები. მოუნესრიგებელი საბანკო კანონმდებლობის, ბანკების ლიცენზირების სუსტი ადმინისტრირებისა და სანესდებო კაპიტალის მცირე მოცულობის გამო ე.წ. „კომერციული ბანკების“ რაოდენობა ქვეყანაში ძალიან სწრაფად იზრდებოდა, რაც განაპირობებდა საბანკო სისტემის უკიდურეს არამდგრადობას.

დაიწყო სამსაფეხურიანი საბანკო სისტემიდან ორსაფეხურიანზე – ეროვნული ბანკი – კომერციულ ბანკებზე გადასვლა. ამ პროცესის მიმდინარეობისას გაერთიანდა რამდენიმე სახელმწიფო-კომერციული ბანკი (ყოფილი „მმენბანკი“ ანუ „ინდუსტრიაბანკი“, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ბანკი („ექსიმბანკი“) და საპაიო-კომერციული ბანკი (ყოფილი „შემბანკი“), იშუამად კი – „ახალი ქართული ბანკი“) და შეიქმნა ერთი კომერციული საბანკო დანესებულება – „გაერთიანებული ქართული ბანკი“, რომელიც რეგისტრაციაში გატარდა 1995 წლის 19 მაისს [14]. ბანკის სანესდებო კაპიტალი შეადგენდა 6 მლნ აშშ დოლარს. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა სხვა ასევე კომერციული საბანკო დანესებულება – „საქართველოს ბანკი“, რომელიც დღეს საქართველოს საფინანსო სისტემის აღიარებული ლიდერია, გაერთიანებული ქართული ბანკი კი ფუნქციონირებს „VTB-ბანკის“ სახელწოდებით. „გაერთიანებული ქართული ბანკი“ შეიქმნა სააქციო საზოგადოების ფორმით. თუმცა, სანყის ეტაპზე აქციების მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფოს ხელში რჩებოდა. მოგვიანებით ეს აქციები დახურულ აუქციონზე გაიყიდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თავდაპირველად სახელმწიფომ გამოავლინა სამართლიანობის პრინციპის დაცვით ბანკების განსახელმწიფოების სურვილი, რაც გამოიხატა მენაბრეების ყოფილი შემნახველი ბანკის მეპაიებად გადაქცევაში, ხოლო თავად ბანკისათვის საპაიო-კომერციული სტატუსის მინიჭებაში [12]. თუმცა, მოგვიანებით სამი ბანკის გაერთიანების შედეგად აქციების აბსოლუტური უმრავლესობა ახლადშექმნილი კომერციული ბანკის სამი დამფუძნებელი ბანკის ხელმძღვანელების ხელში აღმოჩნდა. ვფიქრობთ, მხოლოდ გულუბრყვილო და საქმეში ჩაუხედავი ადამიანების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა იმის მტკიცება, რომ ყველაფერი სწორად და სამართლიანად მოხდა, რამეთუ „ბანკის ხელმძღვანელები ყველაზე უკეთ ერკვეოდნენ საკუთარი ბანკის საქმეებში, იყვნენ საქმის კურსში, იცოდნენ როგორ წარემართათ საქმიანობა, ანუ იყვნენ პროფესიონალები და არ ეშინოდათ მათთვის ნაცნობ სფეროში რისკის განყვის“ [13:გვ.8].

მოსახლეობის ანაბრების ტოტალურ გაუფასურებას და ადამიანთა ფრიად ვიწრო ჯგუფის ხელში მის გადაწაწილებას თან მოჰყვა მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პროპორციის არსებითი ცვლილება. კერძოდ: 1990-იანი წლების დასაწყისში მოსახლეობის ანაბრებისა და მთლიანი სამამულო პროდუქტის [14] მოცულობა თითქმის

ერთნაირი იყო, 1994 წლისათვის კი მათმა თანაფარდობამ შეადგინა 100:11. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მშპ აღნიშნული პერიოდისათვის თავადაც სამჯერ იყო შემცირებული [1;გვ.29].

ამრიგად, 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში პრივატიზების პროცესში არ იქნა გათვალისწინებული ის საფრთხეები, რომელთა შესახებაც მიუთითებდა ცნობილი პოლონელი ეკონომისტი ლ. ბალცეროვიჩი: „საკუთრებრივმა გარდაქმნებმა არ უნდა მიგვიყვანოს პარტიულ-სამეურნეო კლანების ფორმირებამდე. პრივატიზაციის პროცესში არ უნდა ჰქონდეთ რაიმე პრივილეგიები მმართველი პარტიის წევრებსა და მათ მხარდამჭერებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მართალია, ჩვენ მივიღებთ კერძო საკუთებას, მაგრამ მას ექნება პოლიტიზირებული სახე“ [15;გვ.42].

შედეგად მივიღეთ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის „გათავისუფლება“ ფულადი დანაზოგებისაგან, ფინანსური სახსრებისაგან და ადამიანთა ბევრი თაობის მიერ შექმნილი საერთო-სახალხო ქონებისაგან. მეორე მხრივ, განხორციელდა კაპიტალის (ფულის, უძრავი ქონების, ვაუჩერების...) კონცენტრაცია ადამიანთა ვიწრო ჯგუფის ხელში.

აღნიშნული პროცესი შეიძლება ერთგვარად შევადაროთ ინგლისში XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე განვითარებულ ე.წ. „კაპიტალის თავდაპირველ დაგროვებას“.

ეს სახელწოდება ეკუთვნის ა. სმიტს, მისი შინაარსი კი გადმოცემულია კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველ ტომში [16;გვ.789]. მოსახლეობის ერთი ნაწილი აგროვებს სიმდიდრეს, მეორე კი იმასაც კარგავს, რაც ადრე გააჩნდა და არაფერი „რჩება გასაყიდი, გარდა საკუთარი ტყავისა“ [იქვე]. პროცესი წარმოგვიდგება როგორც „თავდაპირველი“, რადგანაც „კაპიტალისა და მისი შესაბამისი წარმოების წესის წინაისტორიას ქმნის“ [იქვე].

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე საქართველოში განხორციელდა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება, რომელმაც „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის“ (ვ. პაპავა) წინა ისტორია შექმნა.

დასკვნა

საბჭოთა პერიოდში საქართველოს არ ჰქონდა დამოუკიდებელი საბანკო სისტემა, ფულის მიმოქცევა კი მთლიანად კონტროლდებოდა სსრ კავშირის ცენტრალური ბანკის მიერ.

საბანკო სფეროში რეფორმები ზ. გამსახურდიას მთავრობამ დაიწყო. პირველი ნაბიჯები გადაიდგა ჯერ ორიარუსიანი და შემდეგ სამიარუსიანი საბანკო სტრუქტურის ჩამოყალიბების მიმართულებით, მაგრამ სამხედრო გადატრიალებამ შეაფერხა ეს პროცესი.

საბჭოთა კავშირის დაშლით დაინგრა გეგმიანი ეკონომიკა, მოიშალა ეკონომიკური ურთიერთობები ერთმანეთზე გადაჯაჭვულ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს

შორის. ასეთ პირობებში აღმოცენდა ფარული ინფლაცია, რომელიც შემდეგ ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა. საკუთარი დანაზოგების დაკარგვის საფრთხით შეშინებული მეანაბრეები მასობრივად მიანყდნენ ბანკებს, მაგრამ ვერ შეძლეს საკუთარი ფულის მიღება, ვინაიდან მანეთის ემიტენტი ყოფილი მეტროპოლია – რუსეთი საქართველოს აღარ აწვდიდა ფულის ნიშნებს.

ჰიპერინფლაციამ „შეჭამა“ იმ 13 მლრდ მანეთის უმეტესი ნაწილი, რომელიც საბჭოთა პერიოდში მოსახლეობას ბანკისათვის ჰქონდა მიბარებული, თუმცა, დანაზოგების გარკვეული ნაწილი უკვალოდ არ გამქრალა, არამედ „მარიფათიან“ ადამიანთა ძალიან მცირე ჯგუფის ხელში აღმოჩნდა. ამ ფაქტს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმდროინდელი მთავრობის უნიათობამ და გარკვეულწილად დანაშაულებრივმა პოლიტიკამ. ამ უკანასკნელის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ეროვნული ბანკის ე.წ. „რბილი“ მონეტარული პოლიტიკა, რომლის საფარქვეშ ეროვნული ბანკი გასცემდა აბსოლუტურად დაუსაბუთებელ უზარმაზარი მოცულობის კრედიტებს. მათი უდიდესი ნაწილი მიედინებოდა „კავკასიის ბირჟაზე“, სავალუტო მანიპულაციების გზით გარდაიქმნებოდა დოლარებად, დოლარები შემდეგ ისევ გარდაიქმნებოდა ჯერ მანეთებად, შემდეგ კუპონებად, ეს უკანასკნელი ისევ დოლარებად და ა.შ. ასე ყალიბდებოდა ინფლაციური სპირალი, რომლითაც მდიდრდებოდა ერთეულები, მაგრამ ღარიბდებოდა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ინგრეოდა ეკონომიკა. მოსახლეობის გაღარიბებაში მნიშვნელოვანი იყო ბანკების პრივატიზების როლი. ამ პროცესში ბანკებში არსებული თანხების აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი მათი ხელმძღვანელების ხელში აღმოჩნდა.

დღეს სრულიად აშკარაა, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე განხორციელებული პრივატიზაციის შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა არა მხოლოდ „საბაზრო ეკონომიკა“, არამედ „საბაზრო საზოგადოებაც“, რომელიც გამორჩეულია მკვეთრად გამოხატული ეკონომიკური (ქონებრივი, საშემოსავლო) დიფერენციაციითა და სოციალური უსამართლობის მაღალი ხარისხით. განვლილი თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის ეკონომიკურ-სოციალური დიფერენციაცია კი არ შემცირებულა, არამედ, პირიქით, გაიზარდა და ცივილიზებული, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა საქართველოს დღევანდელი მოსახლეობისათვის მხოლოდ შორეულ პერსპექტივად რჩება.

ლიტერატურა:

1. Т. Беридзе, Э. Меквабишвили. «Тернистый путь» экономических реформ поскоммунистической Грузии: ретроспектива и перспектива || ეკონომისტი. №1, 2018, ტ. XIV.
2. ი. არჩვაძე. რა ფერისაა მილიარდი? (სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატიების კრებული) თბ., 2002.

3. საქართველოს მთავრობის დადგენილება №747 „საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის დანაზოგების გაუფასურებასთან დაკავშირებით ანაბრების ინდექსაციის შესახებ“ (სტატიის ავტორის პირადი არქივიდან).
4. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი „საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის დანაზოგების გაუფასურებასთან დაკავშირებით ანაბრების ინდექსაციის შესახებ“ 1992 წლის აგვისტო (სტატიის ავტორის პირადი არქივიდან).
5. ვ.პაპავა საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბ., 2015.
6. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №250 (1998 წლის 22 აპრილი) „ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის და მათი დაფარვის პროცესის ორგანიზებულად წარმართვისათვის სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“ (სტატიის ავტორის პირადი არქივიდან).
7. „საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1998 წლის 30 აპრილის №112 ბრძანება „პირველი ჯგუფის ინვალდი მოქალაქეების ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების გაცემის წესის შესახებ“ (სტატიის ავტორის პირადი არქივიდან).
8. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი „საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის დანაზოგების გაუფასურებასთან დაკავშირებით ანაბრების ინდექსაციის შესახებ“ (1992 წლის 22 ივლისი) – (სტატიის ავტორის პირადი არქივიდან).
9. ა.სილაგაძე, მ.თოქმაზიშვილი. პოსტკომუნისტური ფინანსური პოლიტიკა. თბ., 2008.
10. ა.ჯიბუტი. სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგები საქართველოში. თბ., 2012.
11. საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება №71 (1995 წლის 21 მარტი) „საქართველოს რესპუბლიკის სააქციო კომერციული ბანკების „საქექსიმბანკის“ შერწყმის გზით ერთ სააქციო კომერციულ ბანკად გაერთიანების თაობაზე“ (სტატიის ავტორის პირადი არქივიდან).
12. საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება (1994 წლის 25 მარტი) „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული ბანკის „შემნახველი ბანკის“ საპაიო კომერციულ შემნახველ ბანკად გარდაქმნის შესახებ“ (სტატიის ავტორის პირადი არქივიდან).
13. ბანკები და ფინანსები, 2001, №63.
14. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2014, №1.
15. ლ.ბალცეროვიჩი. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში, თბ., 2002.
16. კ.მარქსი. „კაპიტალი“, ტ. I. თბ., 1954.

Deposits, Banks and “The Initial Accumulation of Capital” in Post-communist Georgia

Elguja Mekvabishvili

Professor at Iv. Javakishvili Tbilisi State University

elguja.mekvabishvili@tsu.ge

In the post-communist transitional period, the administrative-commanding (“socialist”) economy is being transformed into a capitalist market economy. “The initial accumulation of capital” is a part of this process, which has been carried out to a certain extent in every post-communist country and was expressed in deep socio-economic differentiation of the society. In Georgia it had a particularly acute nature in Georgia and the banking system was organically involved in this process.

13. Sichinava D., Magradze M. Cryptocurrency mining: current condition and perspectives. III International Scientific Conference – "Challenges of globalization in economics and business". Collection of works. Tb., 2018, pp 347-351.
14. <https://www.kefline.ru/sposoby-zarabotka-bitkoinov/>.
15. <https://ruscoins.info/news/v-gruzii-ustanovlen-bitkoin-bankomat/>.
16. <https://bitcoins-mining.ru/skolko-bitkoinov-vsego.html>.
17. <https://happycoin.club/v-kakih-kriptoalyutyi/>.
18. <https://bitexpert.io/wiki/cryptocurrencies/top-10-stran-gde-razreshena-kriptoalyuta/>.
19. <https://ria.ru/20180921/1529040897.html>.
20. <https://investor100.ru/gosudarstvennye-kriptoalyuty/>.
21. <https://cryptonisation.ru/obzor-birzh-kriptoaljut-2018/>.
22. <https://investfunds.ru/news/54585/>.
23. <http://www.urank.ru/news/n1baffet-snova-raskritikoval-kriptoalyuty/>.
24. <https://thatsmart.ru/2018/05/buffet-crypto/>.
25. <https://ttrcoin.com/issledovanie-bolee-1-000-kriptoalyut-mertvye-proekty.4015/>.
26. <https://prometheus.ru/izvestnye-ekonomisty-stiglits-rogoff-i-rubini-ne-veryat-v-bitkoin/>.
27. Papava V. On crisis in economic science and search for new paradigms. Jnl. "Globalization and Business", #6, 2018, pp 15-26.
28. <https://ruscoins.info/news/samye-optimistichnye-prognozy-kursa-kriptoalyut-na-2019-god-18224/>.
29. <https://i-fakt.ru/kto-sel-samuyu-doroguyu-piccu-v-mire/>.

30. <http://www.urank.ru/news/n1mayk-novograc-kriptoalyuty-eto-narodnaya-revolyuicya/>.
31. <https://www.pbs.org/newshour/economy/making-sense/why-a-nobel-laureate-in-economics-thinks-bitcoin-is-toast>.
32. <https://www.bpn.ge/article/42366-vin-arian-kriptoalutebis-qvelaze-mdidari-mp-lobelebi/>.
33. <http://www.imf.org/en/News/Articles/2017/09/28/sp092917-central-banking-and-fintech-a-brave-new-world?cid=em-COM-123-35955>.
34. <https://howtobuycoin.com/articles/cryptocurrency-future/>.
35. <https://hashtelegraph.com/dzhejms-altusher-k-2020-godu-bitkoin-budet-stoit-1-mln/>.
36. https://www.gazeta.ru/comments/2018/01/11_e_11609570.shtml.

კრიპტოვალუტა – მომავლის საგადადამდელო საშუალება

დემურ სიჭინავა

ივ. ჯგავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
demur.sitchinava@tsu.ge

სტატიაში განხილულია ელექტრონული ფულის ნაირსახეობის – კრიპტოვალუტის არსი, აღმოცენების ისტორია, აუცილებლობა, მიზეზები და გამოყენების არსებული მდგომარეობა, გაანალიზებულია მიმდინარე საუკუნის დასაწყისში შექმნილი ინფორმაციის დაცვის, შენახვის და ტრანზაქციის დაჩქარების პერსპექტიული ბლოკჩეინტექნოლოგია, მოცემულია ავტორის მოსაზრებები პერსპექტივაში კრიპტოვალუტის შესაძლო საგადადამდელო საშუალებად აღიარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის (ბიტკოინის მოპოვებისა და გამოშვების მეთოდებისა და საშუალებების, კრიპტოვალუტის გადამცველი ცენტრების, ბანკომატების, ბირჟებისა და სხვ.), მსოფლიოში კრიპტოვალუტის სამართლებრივი რეგულირების მდგომარეობის, აღნიშნული სფეროს ექსპერტებისა და ცნობილი პიროვნებების შეხედულებების შესახებ და გაკეთებულია სათანადო დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული ფული; კრიპტოვალუტა; საქართველოში კრიპტოვალუტის მოპოვება; კრიპტოვალუტის მოპოვების მეთოდები; კრიპტოვალუტის გამოშვების მეთოდები; ბირჟები; კრიპტოვალუტა – საგადადამდელო საშუალება.

კრიპტოვალუტის, როგორც ელექტრონული ფულის ნარმოშობისა და მიმოქცევის საკითხები თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური

პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრობლემის შესწავლას ბოლო პერიოდში მეცნიერებაში მეტ-ნაკლებად სერიოზული ყურადღება მიექცა, იგი ჯერაც მთელი რიგი საიდუმლოებებითა მოცული და სათანადო ყურადღებასა და შესწავლას მოითხოვს.

ელექტრონული ფული ვირტუალური ფულის სახეობაა. იგი ასრულებს ჩვეულებრივი ფულის თითქმის ყველა ფუნქციას. 2018 წელს ელექტრონულ ფულს შეუსრულდა მიმოქცევაში გამოჩენიდან 100 წელი. აშშ-ს სარეზერვო ბანკმა 1918 წელს პირველად გადააგზავნა ფული ტელეგრაფის საშუალებით.

ელექტრონული ფულის თანამედროვე ნაირსახეობაა კრიპტოვალუტა, რომელიც აღმოცენებულია ბლოკჩეინტექნოლოგიის საფუძველზე. კრიპტოვალუტის უმეტესობა აგებულია აღნიშნულ ტექნოლოგიაზე. იგი შეიქმნა ინფორმაციის უსაფრთხოდ შენახვის, ტრანზაქციების დაჩქარების და შუამავალი რგოლების (ბანკები, ნოტარიუსები, სხვადასხვა საგადამხდელი სისტემა და ა. შ.) გასაუქმებლად. დღეისათვის მისი მართვა არ ხდება მსოფლიოს რომელიმე ერთი ცენტრალური ორგანოს ან კერძო სტრუქტურის მიერ და, ამდენად, ფუნქციონირებს დეცენტრალიზებულად.

კრიპტოვალუტის უპირველესი და ძირითადი სახეობაა ბიტკოინი. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსიის მიხედვით, ბიტკოინის შემქმნელია სატოში ნაკამოტო, რომელმაც 2008 წლის მინურულს საჯაროდ განაცხადა საკუთარი გამოგონების შესახებ და გამოაქვეყნა ამის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო 2009 წლის 3 იანვრიდან კომპიუტერულ ქსელში ჩაუშვა შესაბამისი სისტემა, რომლის ალგორითმით გათვალისწინებული იყო 21 მლნ ბიტკოინის ემისია. აღწერილი ალგორითმით ბიტკოინების ემისია გაგრძელდება მანამ, სანამ მოპოვებული ბიტკოინების რაოდენობა არ გახდება 21 მლნ.

ბიტკოინის გააჩნია უმცირესი საგადამხდელი ერთეული – სატოში, რომელიც ბიტკოინის ასმემილიონედი ნაწილია. სახელწოდება სატოში, როგორც ჩანს, აღნიშნულ ერთეულს დაერქვა სატოში ნაკამოტოს (იგივე კრეიგ რაიტის) სახელის პატივსაცემად.

მიუხედავად კრიპტოვალუტაში ინვესტირების დიდი რისკისა, დღეისათვის მსოფლიოში ინვესტირება აღნიშნულ სფეროში მაინც არ წყდება. 2017 წლის დასაწყისში კრიპტოვალუტის კაპიტალიზაციამ შეადგინა \$17.7 მლრდ, ხოლო 2017 წლის 29 დეკემბრისთვის – \$592 მლრდ. ეს მონაცემები მიუთითებს კრიპტოვალუტის დიდ ვალანტილობაზე.

კრიპტოვალუტაში საერთო კაპიტალიზაცია უდრის მოცემული მომენტისთვის გამოშვებული მონეტების რაოდენობის ნამრავლს ერთი მონეტის ღირებულებაზე. ამ მაჩვენებელს ზოგჯერ „საბაზრო კაპიტალიზაციასაც“ უწოდებენ. 2019 წლის დასაწყისში კრიპტოვალუტების ყველაზე პოპულარული პირველი ათეულის კაპიტალიზაციამ კრიპტოვალუტების საერთო კაპიტალიზაციაში შეადგინა – \$111,75 მლრდ, რაც 85,4%-ის ტოლია.

როგორც ნებისმიერი ვალუტის, ასევე კრიპტოვალუტის საგადამხდელი საშუალებად აღიარებისთვის აუცილებელია მისი შექმნისა და ემისიისათვის საჭირო მეთოდების დამუშავება და, რაც მთავარია, მის მიმართ საზოგადოების წევრთა სათანადო ნდობის ჩამოყალიბება.

კრიპტოვალუტის მოპოვების, ანუ მაინინგის მეთოდებია: მისი მოპოვება საკუთარ კომპიუტერზე, ლრუბლოვანი ტექნოლოგია და სხვ., ხოლო მისი გამო-მუშავების მეთოდებია: კრანი, ბირჟაზე კრიპტოვალუტით ვაჭრობა და სხვ.

კრიპტოვალუტის კაპიტალიზაცია ცვალებადობას განიცდის, რაზეც მოქმედებს რიგი ფაქტორი. პირველ რიგში, ესაა კრიპტოვალუტაზე მოთხოვნა – მინოდების თანაფარდობა, რაზეც, თავის მხრივ, მოქმედებს მრავალი გარემოება. მათ შორის, ერთ-ერთია ღნიშნულ სფეროში ინფორმაციული ფონი. იმის მიხედვით, თუ რომელია ინფორმაციული წყარო და რამდენადაა ინფორმაცია პოზიტიური ან ნეგატიური, კრიპტოვალუტის კურსი მყარდება ან ეცემა. კრიპტოვალუტის კურსზე მოქმედებს ასევე სახელმწიფოს მიერ მისი აღიარება ან უარყოფა საგადამხდელი საშუალებად.

კრიპტოვალუტის მაინინგი დაიწყო საფრანგეთში, ისლანდიასა და საქართველოში 2014 წელს საკუთარი მონეობილობების ბაზაზე.

საქართველო მესამე ადგილზეა მსოფლიოში კრიპტოვალუტის მოპოვების მხრივ ჩინეთისა და აშშ-ის შემდეგ. საქართველოში ფუნქციონირებს კრიპტოვალუტის მონაცემთა ორი მძლავრი ცენტრი თბილისსა და გორში. 2017 წლის მონაცემებით, გლდანის მონაცემთა ცენტრი – Bitfury, სავარაუდოდ, 16,7 მლრდ ლარს ფლობს.

მსოფლიოში კრიპტოვალუტის საგადამხდელი საშუალებად აღიარების მიზნით აუცილებელია მოხდეს მისი მოპოვების, გამო-მუშავების და მიმოქცევის რეგულირება როგორც ცალკეული სახელმწიფოების მიხედვით, ასევე მსოფლიო მასშტაბით.

დღეისათვის ელექტრონული ფულის ემისიის შესახებ მსოფლიოში არ არსებობს ერთიანი კანონმდებლობა. კრიპტოვალუტის მიმოქცევა ამჟამად აკრძალულია მრავალ ქვეყანაში, თუმცა არსებობს ქვეყნები, სადაც, პირიქით, იგი კანონით დაშვებულია. არის ქვეყნები, სადაც იგი არაა აღიარებული, მაგრამ აკრძალულიც არაა, ან კიდევ არც აკრძალულია, არც დაშვებულია და არც რეგულირდება სახელმწიფოს მიერ.

მთლიანობაში, კრიპტოვალუტის საგადამხდელი საშუალებად აღიარების დადებით დინამიკაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დღეისათვის მსოფლიოში შექმნილია და წარმატებით ფუნქციონირებს ასეულობით დეცენტრალიზებული კრიპტობირჟა.

კრიპტოვალუტის გამოყენების არსებული მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ ექსპერტთა აზრი ორად იყოფა. ნაწილი ექსპერტებისა (ე.წ. „კრიპტომოყვარულნი“) ოპტიმისტურადაა განწყობილი კრიპტოვალუტის მიმართ, ნაწილი კი (ე.წ. „კრიპტოკრიტიკოსები“) – პესიმისტურად.

პერსპექტივაში, კრიპტოვალუტისა და ბლოკჩეინის ბედი დამოკიდებული იქნება არამარტო ტექნოლოგიურ პროგრესზე მსოფლიო მასშტაბით, არამედ ცალკეულ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ასევე საერთაშორისო ურთიე-

რთობათა განვითარების დონეზე, პოლიტიკურ და სამართლებრივ ბარიერებზე აღნიშნულ სფეროში და სხვ.

ამრიგად, კრიპტოვალუტის, როგორც გაცვლის პროცესის განვითარების პროდუქტის დანერგვისათვის თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში უკვე შექმნილია თითქმის ყველა ნანამძღვარი: კრიპტოვალუტის ბირჟები, კრიპტოვალუტის გადამცვლელი პუქტები, კრიპტოვალუტის ბანკომატები და სხვ. როგორც ფაქტები მოწმობს, პერსპექტივაში, სავარაუდოდ, კრიპტოვალუტა, შესაძლოა, აღიარებულ იქნეს თავისუფალ საგადამხდელო საშუალებად რიგ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში ან კიდევ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რაც გრანდიოზულ ცვლილებებს გამოიწვევს კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში.

საწყის ეტაპზე ეს პროცესი უდავოდ წააწყდება არაერთ სიძნელეს, მაგრამ დროთა განმავლობაში, სავარაუდოდ, ის თანდათანობით დაიხვეწება და მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესებს საერთოდ განაწილებით და გაცვლით ურთიერთობათა რთულ პროცესებს როგორც ცალკეულ ქვეყანაში, ასევე მთლიანად მსოფლიო მასშტაბით, რითაც ხელს შეუწყობს მსოფლიო ეკონომიკის შემდგომ წინსვლასა და განვითარებას.

მიკროეკონომიკა ✧ მაკროეკონომიკა ✧ ეკონომეტრიკა
MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS

კოთხეარატიული შიდასაწარმოო ურთიერთობები –
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სისტემის უზარინათობის
საფუძველი

პაატა კოტუაშვილი

საქართველოს პოლიტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი
paata_koguashvili@hotmail.com

დავით მამუკელაშვილი

სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების
განვითარების სააგენტოს“
მიზნობრივი პროექტების სამსახურის უფროსი
dmamukelashvili@gmail.com

ბადრი რამიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი
badri.ramishvili@tsu.ge

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების აუცილებელ პირობას, ტექნიკურ-ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ-მმართველობით ერთობასთან ერთად, პირველადი წარმოების, გადაამუშავების, შენახვის, გადაზიდვის და რეალიზაციის პროცესების უწყვეტობა წარმოადგენს, რაც საქართველოს სოფლის მოსახლეობის მცირემინიანობის და მცირე მატერიალური შესაძლებლობების პირობებში, ყველაზე ეფექტიანად კოოპერაციული წარმოების პირობებშია შესაძლებელი [1].

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესის მნიშვნელობა, რომელიც წარმატებით წარმართა მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში და კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობები ჯერ კიდევ არ არის კარგად გაცნობიერებული საქართველოს მოსახლეობისათვის, რაც ჩვენი სტატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

საკვანძო სიტყვები: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი; დემოკრატიული მართვა; ეკონომიკური მონაწილეობა; პაი; საპაიო შენატანები; საპაიო ფონდი; მეპაიე; ასოცირებული წევრი.

წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა, სახელმწიფო ხელშეწყობისა და დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად კოოპერაციულ სანაწილებზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების ხელშეწყობა მიიჩნიეს, რადგან მხოლოდ კოოპერირების საშუალებით არის შესაძლებელი ორი სანაწილის გაერთიანება: საკუთრების, რომელიც აძლევს მის მფლობელს არჩევანის თავისუფლებას და მასშტაბური წარმოების, რაც განაპირობებს, ერთი მხრივ, – ტექნიკურ და ეკომომიკურ უპირატესობას და მეორე მხრივ – ავტორიტეტსა და წონას სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე [2].

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი წარმოადგენს თავისუფალ მენარმეთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია მართვის დემოკრატიული ფორმა, სადაც მოქმედებს არჩევითობაზე დაფუძნებული მმართველობითი სისტემა პრინციპით – „ქვევიდან – ზევით“, რაც საფუძველშივე გამოორიცხავს მმართველი აპარატის ბიუროკრატიზაციას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შიდასაწარმოო ურთიერთობების ისეთი კომპონენტები, როგორცაა დემოკრატიული მართვა, ეკონომიკური მონაწილეობა, სავალდებულო და დამატებითი საპაიო შენატანები, ასოცირებული წევრი თუ არაწევრი პირებისთვის დაწესებული შეზღუდვები და სხვა, პრაქტიკულად წარმოადგენს ეკონომიკურ მექანიზმებს წარმატებული სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისთვის და მათი სიღრმისეული გააზრების გარეშე, ისინი ვერ შეძლებენ შეინარჩუნონ კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ნიშანთვისებები, რაც მათ არსებითად განასხვავებს სხვა ტიპის სამეწარმეო ფორმებისგან და წარმოადგენს ასეთი ტიპის საწარმოების სიცოცხლისუნარიანობის საფუძველს.

კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობები

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გააჩნია რიგი, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება, რაც ძირითადად მათ შიდასაწარმოო ურთიერთობებში ვლინდება. კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობები წესების კრებულია, რომლითაც შესაძლებელია კოოპერატივმა შეინარჩუნოს ძირითადი არსი (ინდენტობა), რომელიც მას არსებითად განასხვავებს მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისგან (შპს, სააქციო საზოგადოება და სხვა). კერძოდ, კოოპერატივისთვის დამახასიათებელ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს მისი წევრების შრომითი რესურსების უკუგების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის (განსაკუთრებით წვრილი მინათმოსარგებლებისთვის) და არა საპაიო ფონდში შეტანილი მატერიალური სახსრებით

დივიდენდების მიღება. ისეთი კომპონენტებით, როგორცაა: ეკონომიკური მონაწილეობა, სავალდებულო საპაიო შენატანი, დამატებითი საპაიო შენატანი, გარკვეული შეზღუდვების დაწესება არანეკერი პირებისთვის და სხვა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები არეგულირებენ შიდასაწარმოო ურთიერთობებს იმ მთავარი მიზნით, რომ ამ ურთიერთობებში განმსაზღვრელი იყოს შრომის ფაქტორი და მასზე მატერიალურმა კაპიტალმა არ მოახდინოს დომინანტური ზეგავლენა [3].

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია: ნებაყოფლობითი ნევრობა, დემოკრატიული მართვა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეთა ეკონომიკური მონაწილეობა, სოციალური პასუხისმგებლობა, სამართლიანობა და ურთიერთდახმარება, რაზედაც დამყარებულია კოოპერატივის შიდასაწარმოო ურთიერთობები[4].

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დემოკრატიული მართვით მიიღწევა მეპაიეთა თანაბარი შესაძლებლობა, მართონ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და აკონტროლონ მისი საქმიანობა, რისთვისაც თითოეული მეპაიე საერთო კრებაზე სარგებლობს 1 ხმის უფლებით. კოოპერატივის ნევრები აკონტროლებენ მმართველი ორგანოებს სამენარმეო საქმიანობის ყველა დონეზე. კოოპერატივის მმართველობითი და მაკონტროლებელი ორგანოებია: სამეთვალყურეო საბჭო, წარმომადგენელთა კრება, გამგეობა და სარევიზიო კომისია, რომლებიც არჩეული არიან კოოპერატივის მეპაიეების მიერ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში ტერმინს – „ეკონომიკური მონაწილეობა“, პრაქტიკულად ორმაგი დატვირთვა გააჩია, ერთი მხრივ, ის გამოხატავს მეპაიეს ფუნქციას (ქმედებას) – უშუალოდ იყოს ჩართული კოოპერატივის საქმიანობაში, ხოლო მეორე მხრივ – წარმოადგენს მეპაიის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ფარგლებში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ან განეული მომსახურების ღირებულებით მაჩვენებელს.

ეკონომიკური მონაწილეობა დაკავშირებულია მხოლოდ მეპაიის საქმიანობასთან და წარმოადგენს კოოპერატივის სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს. ეკონომიკური მონაწილეობა კოოპერატივის სამეურნეო საქმიანობაში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისგან განსხვავებით, არ არის აუცილებელი სხვა ტიპის კოოპერატივებისთვის (მაგ. სამომხმარებლო, საკრედიტო კოოპერატივები). ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ასეთი მიდგომა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ წარმოადგენს კოოპერატივის შესაძლებლობების შეზღუდვას, რაც მიზანშეუწონილია. საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, კანონმდებელმა უპირატესობა მიანიჭა იმ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ასეთი შეზღუდვა გამართლებულია, რადგან კოოპერატივი უნდა იყოს ორიენტირებული მისი მეპაიეების სასოფლო-სამეურნეო შესაძლებლობების განვითარებაზე და არ გადაიქცეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების ხარჯზე მხოლოდ გარეშე, წარმოებიდან იზოლირებული პირების გამდიდრების საშუალებად. სხვა სამენარმეო

ფორმებისგან განსხვავებით, კოოპერატივის მეპაიე დივიდენდს იღებს არა მისი პაის, არამედ მისი ეკონომიკური მონაწილეობის პროპორციულად.

მომსახურების ტიპის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემთხვევაში, რომელთა რაოდენობა მსოფლიოში არსებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენს, კოოპერატივი პრაქტიკულად წარმოადგენს ფერმერული მეურნეობების დამატებით სამენარმეო რგოლს, რომელიც ემსახურება მათ ინტერესებს და შესაბამისად დამოუკიდებელი ფერმერული მეურნეობების გარეშე კოოპერატივის არსებობას მოტივაცია არ გააჩნია. ასეთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში უშუალოდ მეპაიეები არიან საქონლის დამოუკიდებელი მწარმოებლები და კოოპერატივში განევრებით არ კარგავენ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ასეთი კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მეპაიეს მონაწილეობად ითვლება კოოპერატივის მეშვეობით თავისი პროდუქციის გადამუშავება, დაფასოება, შენახვა, გაყიდვა, კოოპერატივის ტექნოლოგიური მომსახურების გამოყენება, წარმოების საშუალებების შესყიდვა და სხვა.

საწარმოო კოოპერატივის შემთხვევაში (კიბუცი, სხვა სახის კოლექტიური მეურნეობა), რომელთა რაოდენობა როგორც სხვა ქვეყნებში, ასევე საქართველოში შეადგენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაახლოებით 2 – 5%-ს, მეპაიეები უშუალოდ არიან ჩართული კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში საკუთარი შრომით ან/და უწევენ კოოპერატივს გარკვეულ მომსახურებას. ასეთ შემთხვევაში მეპაიეები არ არიან დაკავშირებული კოოპერატივთან როგორც ინდივიდუალური მენარმეები და მათ მიერ კოოპერატივის სამეურნეო საქმიანობაში განეული შრომის ან/და მომსახურების ღირებულება წარმოადგევს მათ ეკონომიკურ მონაწილეობას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრები არიან მეპაიეები და ასოცირებული წევრები. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიე არის კოოპერაციული პროცესის მთავარი სუბიექტი, კოოპერატივის ქონების ნაწილის მესპატრონე, რომლის ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებისთვისაც იქმნება კოოპერატივი. მეპაიე კოოპერატივთან დაკავშირებულია ორი ძირითადი აქტივობით:

1. პაის სახით ახორციელებს ფულად ან/და ქონებრივ შენატანს,
2. უშუალოდ მონაწილეობს კოოპერატივის სამეურნეო საქმიანობაში.

თუ პირი აღნიშნული ორი საქმიანობიდან ახორციელებს მხოლოდ ერთს, ის ვერ ჩაითვლება კოოპერატივის მეპაიედ.

შიდასაწარმოო ურთიერთობების და შესაბამისად კოოპერატივის, როგორც ორგანიზაციული ფორმის ინდენტობის განმსაზღვრელ ერთერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს ის წესები, რომელიც დაკავშირებულია მეპაიის სავალდებულო და დამატებითი საპაიო შენატანების რეგულირებასთან.

პაი არის კოოპერატივის ქონების ნაწილი, რომელიც შექმნილია კოოპერატივის წევრის (მეპაიე, ასოცირებული წევრი) საპაიო შენატანებით. პაი არ წარმოადგენს საე-

მისიო დანიშნულების ფასიან ქალაქს. კოოპერატივის მეპაიემ პაის სახით შეიძლება კოოპერატივში შეიტანოს ფული, მიწის ნაკვეთი, ფასიანი ქალაქები, სხვა უძრავი და მოძრავი ქონება, რომელიც ხდება კოოპერატივის საკუთრება. პაის სახით კოოპერატივზე გადასაცემი ქონების ღირებულების დადგენა ხდება კოოპერატივის გამგეობასა და პაის შემტან ნევრს შორის მოლაპარაკების გზით, რასაც ამტკიცებს საერთო კრება ან სამეთვალყურეო საბჭო. ნევრის მიერ შეტანილი პაი არის პერსონიფიცირებული და წარმოადგენს კოოპერატივის თითოეული ნევრის წილს კოოპერატივის საერთო ქონებაში. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიის საპაიო შენატანები იყოფა სავალდებულო და დამატებით შენატანებად.

სავალდებულო საპაიო შენატანი მეპაიეს აძლევს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობაში მონაწილეობის და კოოპერატივის მოგებიდან დივიდენდის მიღების უფლებას, აგრეთვე ხმის უფლებას კოოპერატივის საერთო კრებაზე. სავალდებულო საპაიო შენატანის ოდენობა განისაზღვრება საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე, კოოპერატივის მიერ ამ მეპაიისთვის გასანევი მომსახურების ან მისანოდებული პროდუქციის ღირებულების პროპორციულად. კოოპერატივზე სავალდებულო საპაიო შენატანის სახით გადაცემული ქონების ვალდებულებით დატვირთვა ხორციელდება მეპაიის წერილობითი თანხმობით [3].

იმ შემთხვევაში, როდესაც კოოპერატივის მეპაიეებს არ შეუძლიათ კოოპერატივის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო რესურსების მობილიზება სავალდებულო საპაიო შენატანების ხარჯზე, საჭირო ხდება დამატებითი რესურსების მოძიება, უპირველეს ყოვლისა, კოოპერატივის მეპაიეებს შორის. მეპაიის მიერ ასეთი ტიპის კაპიტალდაზანდება კვალიფიცირდება როგორც მისი დამატებითი საპაიო შენატანი. ასეთი შენატანი არის კოოპერატივის საჭიროებიდან გამომდინარე, საპაიო ფონდში ფულით ან ფულად ღირებულებაში გამოხატული ქონებით მეპაიის დამატებითი შენატანი, რომელიც მეპაიეს აძლევს დამატებითი დივიდენდის მიღების უფლებას. მნიშვნელოვანია, რომ კოოპერატივის მეპაიეს შეუძლია შეიტანოს დამატებითი საპაიო შენატანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მთლიანადა აქვს დაფარული სავალდებულო საპაიო შენატანი.

იმ შემთხვევაში, როდესაც მეპაიეებს არ შეუძლიათ მათი კოოპერატივის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო რესურსების მობილიზება სავალდებულო და დამატებითი საპაიო შენატანებით, საჭირო ხდება რესურსების მოზიდვა გარეშე პირებიდან. ასეთ შემთხვევაში კოოპერატივების საქმიანობაში ერთგებიან გარეშე იურიდიული ან ფიზიკური პირები, ასოცირებული ნევრების სახით, რომლებსაც საპაიო ფონდში შეაქვთ გარკვეული მატერიალური რესურსები, თუმცა, უშუალოდ არ მონაწილეობენ კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. თავისი შენატანებით ისინი აძლიერებენ კოოპერატივის ეკონომიკურ მდგრადობას, და იღებენ შესაბამის დივიდენდებს კოოპერატივის მოგებიდან. ასოცირებული ნევრი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი (მათ შორის, საზღვარგარეთ რეგისტრირებული).

რებული), რომელსაც კოოპერატივის საერთო კრების გადანყვეტილების საფუძველზე საპაიო ფონდში შეტანილი აქვს გარკვეული შენატანი[4].

ასოცირებულ წევრს არა აქვს ხმის უფლება კოოპერატივის საერთო კრებაზე, მაგრამ იგი უფლებამოსილია – მონაწილეობდეს საერთო კრებაში სათათბირო ხმის უფლებით და არჩეულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გამგეობასა და სამეთვალყურეო საბჭოში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის დამახასიათებელი შიდასაწარმოო ურთიერთობების წესები და დემოკრატიული მართვის ფორმა წარმოადგენს სამეწარმეო რისკების მინიჭუმამდე დაყვანის ეფექტიანი მექანიზმს, რაც მიმზიდველია კოოპერატივში ინვესტიციებით დაინტერესებული პირებისთვის. ამ თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია, რომ კოოპერატივის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, ასოცირებული წევრები სარგებლობენ პრივილეგიებული უფლებით საპაიო შენატანების დაბრუნებასა და გაუნაწილებელი მოგებიდან დივიდენდების მიღებასთან დაკავშირებულ პროცედურაში. ასეთი ნორმა სრულიად გამართლებულია, რადგან ასოცირებული წევრები არ სარგებლობენ კოოპერატივის საერთო კრების მიერ გადანყვეტილებების მიღებისას ხმის უფლებით და ასევე არ მონაწილეობენ კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. შესაბამისად ისინი არ აგებენ პასუხს კოოპერატივის სამეწარმეო საქმიანობით მიღებულ შედეგებზე [3].

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ასოცირებული წევრობა მოსახერხებელი ფორმაა იმ კატეგორიის პირებისთვის, ვისაც სხვა სამსახურში ყოფნის, ასაკის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. ამასთან, მათზე დივიდენდების გაცემა შეიძლება განხორციელდეს კოოპერატივის მხრიდან ამ პირებზე სხვადასხვა მომსახურების (მაგ. უზრუნველყოფა სათბობით, საკვებით, მინის ნაკვეთების დაზღვევებით და სხვა) განევით, მათზე გასაცემი დივიდენდების მთლიანი ან ნაწილობრივი ღირებულების დაფარვის გზით.


ასოცირებული წევრის შენატანი, ისევე როგორც სავალდებულო და დამატებითი საპაიო შენატანები რეგისტრირდება კოოპერატივის წევრთა რეესტრში მისი ოდენობის და კოოპერატივში შეტანის თარიღის მითითებით.

მეპაიის დამატებით საპაიო შენატანს და ასოცირებული წევრის შენატანს პრაქტიკულად გააჩნია ერთი და იგივე ეკონომიკური დანიშნულება და წარმოადგენს კოოპერატივის მიერ დამატებით მოზიდულ კაპიტალდაბანდებას. შესაბამისად, კოოპერატივის მოგების განაწილების წესი ამ ორი კატეგორიის მიხედვით ინდენტურია და ისევე როგორც სხვა სამეწარმეო ფორმებში, განისაზღვრება ამ შენატანების ღირებულების პროპორციულად.

რადგან დამატებითი საპაიო შენატანი შეაქვს მეპაიეს, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს სამეწარმეო რისკებსა და შესაბამისად, კოოპერატივის საქმიანობით გამოწვეულ შედეგებზე, მეპაიეების დამატებითი საპაიო შენატანების შესაბამისი დი-

ვიდენდების განაწილება ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დივიდენდები განაწილება კოოპერატივის ასოცირებულ წევრებზე. მას შემდეგ, რაც კოოპერატივის მოგებიდან სრულად იქნება დაფარული დივიდენდები ასოცირებულ წევრებზე, მათი შენატანების და მეპაიეებზე მათი დამატებითი შენატანების პროპორციულად, დარჩენილი მოგება ნაწილდება კოოპერატივის მეპაიეებზე მათი ეკონომიკური მონაწილეობის პროპორციულად (იხ. სქემა).

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის ძირითად დანიშნულებას მისი მეპაიეების მომსახურება და მათი შემოსავლების ზრდის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ასოცირებული წევრების და მეპაიეების დამატებითი შენატანების მობილიზებით კოოპერატივი აფართოებს დამატებითი რესურსების მოზიდვის შესაძლებლობას, მაგრამ მეორე მხრივ, აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს ამ საინვესტიციო რესურსების მიხედვით დივიდენდების მიღებაზე. ეს მიდგომა აუცილებელია იმ მოტივით, რომ ასოცირებული წევრის და მეპაიის დამატებითი საპაიო შენატანის მიხედვით გასაცემი დივიდენდების მოცულობის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევის, ანუ ზედა ზღვრის დანესების გარეშე, კოოპერატივი შეიძლება გადაიქცეს უპირატესად გარეშე პირების ფინანსური ინტერესების განმხორციელებლად, საკუთარი მეპაიეების ეკონომიკური ინტერესების ხარჯზე. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში არანეერი პირებისთვის დანესებულია გარკვეული შეზღუდვები. საქართველოს კანონით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ, იმ პირებისაგან, რომლებიც მეპაიეები არ არიან, შესყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ან მათთვის განეული მომსახურების მთლიანი ღირებულება საანგარიშო წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წლიური სასაქონლო ბრუნვის 30%-ს [3].



ეს შეზღუდვა არ ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სანარმოო-ტექნოლოგიური პროცესებისა და კვლავწარმოებისათვის აუცილებელ საქონელზე, როგორცაა: ენერგომატარებლები, ტარა-შესაფუთი მასალები, კომბინირებული საკვები, სასუქები, შხამ-ქიმიკატები, მცენარეთა სათესლე მასალა, ნერგები, ცხოველთა გამრავლებისათვის საჭირო პრდუქცია: ხბორები, წინილები, ლიფსიტები და სხვა.

ასეთი შეზღუდვის დაწესება აუცილებელია იმ მთავარი მოტივიდან გამომდინარე, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს მისი მეპაიეების მომსახურება კოოპერატივის საქმიანობაში მათი უშუალო ჩართულობით. იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივი უპირატესად ორიენტირებული იქნება გარეშე პირების მომსახურებაზე, ის დაკარგავს აღნიშნულ ფუნქციას და გადაიქცევა მხოლოდ საკუთარ მოგების გაზრდით დაინტერესებულ კომპანიად, სადაც ეს მოგება მიმართული იქნება მისი დამფუძნებელი რამდენიმე პირის ინტერესების დაკმაყოფილებაზე. ამ შემთხვევაში, მხოლოდ მისი ნევრების მოგების გაზრდის მიზნით, ეს კომპანია „კოოპერატივის“ სახელით, დაინტერესებული იქნება მაქსიმალურად შეზღუდოს ახალი ნევრების მიღება და შეისყიდოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მოსახლეობიდან რაც შეიძლება დაბალ ფასებში. სარეალიზაციო ბაზრებზე წვდომასთან დაკავშირებული პრობლემების გამო მცირემინიანი მოსახლეობა, რაც დღეს სოფლის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს, იძულებული გახდება დათანხმდეს პროდუქციის შესყიდვის დისკრიმინაციულ ფასებს, რომელიც ხშირ შემთხვევაში ვერ ანაზღაურებს ამ პროდუქციის წარმოებაზე განეულ დანახარჯებსაც კი. ასეთი სანარმოო ურთიერთობები სასოფლო-სამეურნეო მცირემინიან მოსახლეობას უკარგავს პროდუქციის წარმოების მოტივაციას და საფუძველშივე სპობს ადგილებზე მათი დამაგრებისა და სამეწარმეო განვითარების პერსპექტივას. ასეთი სანარმოო ურთიერთობები მნიშვნელოვანწილად გახდა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში სოფლის მოსახლეობის გაძლიერებული მიგრაციის და რიგი სასოფლო-სამეურნეო დარგის კრიზისული მდგომარეობის საფუძველი. ამის გაჯანსაღების ყველაზე ეფექტიან საშუალებას უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა ინტერესებზე ორიენტირებული, კოოპერაციული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განვითარება და შიდასანარმოო ურთიერთობების ისეთი ნორმების დაწესება წარმოადგენს, რომელიც კოოპერატივს შეუნარჩუნებს მის ძირითად არსს – უზრუნველყოს მისი მეპაიეების შემოსავლების ზრდა და მათი სამეწარმეო განვითარება, რაც ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს[3].

კოოპერაციის საკანონმდებლო რეგულირების საერთაშორისო გამოცდილება

კოოპერაციის პროცესის სათანადო გააზრებისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყანაში მისი საკანონმდებლო რეგულაციის ფორმების გაცნობა. მსოფლიო გამოცდილებაც ადასტურებს, რომ მოსახლეობის გააქტიურება და წარმატებული სამეწარ-

რემო საქმიანობა ყველაზე უკეთ შესაძლებელია კოოპერაციული სექტორის განვითარების აქტიური მხარდაჭერის შემთხვევაში. ეს პროცესი პირდაპირ აისახება ქვეყნის რეგიონებში გასატარებელ რეფორმებზე, რაც კოოპერაციის მრავალმხრივი ფორმის გამოყენებით მოგვცემს მოსახლეობის მასობრივი დასაქმების, ეროვნული პროდუქციის მოცულობის ინტენსიური ზრდის საშუალებას და უზრუნველყოფს განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ფორმირების შესაძლებლობას.

კოოპერაციის პროცესის ინტენსიური განვითარება ძირითადად დაიწყო XIX საუკუნეში, როდესაც სხვადასხვა ქვეყანაში წარმოიშვა განსხვავებული ტიპის კოოპერაციული ორგანიზაციები. გერმანიაში შეიქმნა პირველი საკრედიტო კოოპერატივები, სამომხმარებლო კოოპერატივები შეიქმნა ინგლისში, ხოლო საფრანგეთში შეიქმნა სანარმოო კოოპერატივები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსებიდანვე მის შემადგენლობაში შედიოდა კოოპერაციის საკითხების შემსწავლელი ეკონომიკური საბჭო, რომელმაც მის პირველივე რეზოლუციებში – „მინის რეფორმა“ (1951წ) და „დაბალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარება“ (1954წ), კოოპერაციას მიანიჭა განსაკუთრებული როლი როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე ქვეყნების მთლიანი ეკონომიკური სისტემის განვითარებაში. დღეისათვის კოოპერატივები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაშია და მასში ჩართულია მილიარდამდე ადამიანი. ყველაზე დიდი გავრცელება ჰპოვა სასოფლო-სამეურნეო (30 %), სავაჭრო (23 %), სადაზღვეო (22 %) და საკრედიტო კოოპერატივებმა (19%).

სხვადასხვა ქვეყანაში კოოპერატივების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის ანალიზი გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ სამართლებრივი რეგულაციების რამდენიმე მიდგომაზე:

1. უნიფიცირებული კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ყველა იურიდიული პირის შექმნასა და საქმიანობას. ამ მიდგომის სამართლებრივი რეგულაციების მთავარი წყაროა სამოქალაქო კოდექსი (ჰოლანდია), ან კანონი იურიდიული პირების შესახებ (გერმანია, დიდი ბრიტანეთი).

გერმანიაში კოოპერაციული საქმიანობა დაფუძნებულია ქვეყნის ფედერალურ კანონზე – „კომერციული და სამეურნეო ამხანაგობების შესახებ“ (1889 წ) [6]. დიდ ბრიტანეთში – კანონზე – „სამრეწველო გაერთიანებებისა და ურთიერთდახმარების საზოგადოებების შესახებ“ (1965 წ) [7].

2. კოოპერაციის ზოგადი სამართლებრივი რეგულირება, რომლის საფუძველს წარმოადგენს კოოპერატივების კოდექსი (პორტუგალია), კანონი კოოპერატივების შესახებ (პოლონეთი, ლიეტუვა, სლოვენია, უნგრეთი, ყაზახეთი), ან კანონი კოოპერაციული საზოგადოებების (გაერთიანებების) შესახებ (საფრანგეთი, შვედეთი).

პორტუგალიაში კოოპერატივების შესახებ კანონმდებლობის ძირითადი საფუძველია კოოპერაციული კოდექსი. აქ კოოპერატივები განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსის იურიდიულ პირებია, რაც გამოიხატება კოოპერატივების მიმართ

საგადასახადო შეღავათებში. სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის ღონისძიებები გათვალისწინებულია კოოპერატივების განვითარების პროგრამაში (2000 წ). კანონით – „კოოპერატივების შესახებ“, რეგულირდება კოოპერატივების სამართლებრივი მდგომარეობა პოლონეთში (2004 წ), ლიეტუვაში (1993 წ), სლოვენიაში (1993 წ) და უნგრეთში (1992 წ).

ფინეთში კოოპერაციული გაერთიანების სტატუსს განსაზღვრავს კანონი „კოოპერაციული გაერთიანებების შესახებ“ (1954 წ). მსგავსი კანონი მოქმედებს შვედეთშიც. ამ ქვეყნებში კოოპერაციულ გაერთიანებებში მოიაზრება ორგანიზაციები, სადაც წევრთა რაოდენობა და კაპიტალი წინასწარ არ არის განსაზღვრული. ეს გაერთიანებები შექმნილია წევრთა ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც ვალდებული არიან გამოიყენონ ამ ორგანიზაციის მომსახურება.

3. განყენებული სამართლებრივი რეგულაციები სხვადასხვა სახის კოოპერატივებისათვის. ამ მოდელის საფუძველია დიფერენცირებული ნორმატიული აქტები კოოპერატივების ტიპებისა და დარგობრივი კუთვნილების მიხედვით. მსგავსი მიდგომა გამოიყენება მოლდოვის, იაპონიის, აშშ-ის, ირლანდიის კანონმდებლობაში.

იაპონიაში არსებობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და სამომხმარებლო კოოპერატივების განსხვავებული სამართლებრივი რეგულაციები. სამართლებრივი რეგულაციები აგრარული კოოპერატივებისათვის მოცემულია კანონში – „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ“ (1947 წ). აქ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში იგულისხმება ფერმერთა გაერთიანებები, რომლებიც შექმნილია წარმოების, მარკეტინგის, წარმოების საშუალებების შესყიდვის, კონსულტაციების განწევის, საკრედიტო და სადაზღვევო მიზნებისთვის. იაპონელი ფერმერების 90% განწევრებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში. სამომხმარებლო კოოპერატივების სამართლებრივი რეგულაციები მოცემულია იაპონიის კანონში – „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“ (1948 წ) [8].

აშშ-ში ფერმერთა საკრედიტო სისტემის ორგანიზაცია მოქმედებს კოოპერაციის საფუძველზე და რეგულირდება კანონებით – „ფერმერთა კრედიტის შესახებ“ (1971 წ), „სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ“ (1987 წ), „ფერმერთა საკრედიტო სისტემის რეფორმირების შესახებ“ (1996 წ). სამართლებრივი საფუძველები საკრედიტო კავშირების საქმიანობის შესახებ დაფუძნებულია აშშ-ს კანონზე – „საკრედიტო კავშირების შესახებ“ (1934 წ). კანონმდებლობა კოოპერატივების შესახებ ასევე რეგულირდება ცალკეული შტატის დონეზე.

იტალიის კანონმდებლობაში კოოპერატივი განსაზღვრული სპეციფიკის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა. კოოპერატივების სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავს სხვადასხვა კანონი. იტალიაში კოოპერაციის სამართლებრივ საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს იტალიის რესპუბლიკის 1947 წელს მიღებული კონსტიტუციის 45-ე მუხლი [5]: „რესპუბლიკა აღიარებს კოოპერაციის სოციალურ ფუნქციას, რომელიც ეფუძნება ურთიერთდახმარებას და არ ისახავს მიზნად სპეკუ-

ლაციურ მიზნებს“. უფრო დაწვრილებით, კოოპერაციის მიზნები ჩამოყალიბებულია იტალიის სამოქალაქო კოდექსში, სადაც მითითებულია, რომ კოოპერაციის მიზანია მისი წევრებისათვის უკეთესი მომსახურებისა და სამუშაო პირობების შექმნა, ვიდრე ეს შეუძლია თავისუფალ ბაზარს.

ევროპის რამდენიმე ქვეყანაში (დანია, ბელგია) დღემდე არ არსებობს სამართლებრივი აქტები, რომელიც არეგულირებს კოოპერატივების საქმიანობას და კოოპერატივების ფუნქციონირებისათვის საჭირო ძირითად მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს წარმოადგენს თვით კოოპერატივების მიერ შემუშავებული შიდა ნორმატიული აქტები. ამის მიუხედავად, აღნიშნულ ქვეყნებში კოოპერაციული მოძრაობა მაღალ დონეზეა განვითარებული. კერძოდ, ბელგიაში კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილი ბაზარზე შეადგენს: რძის – 50 %-ს, ხილის და ბოსტნეულის – 70-90 %-ს, ხორცის – 25-30%-ს, დანიაში – რძის-93%-ს, ხილის და ბოსტნეულის – 20-25 %-ს, ხორცის – 66-93 %-ს, მარცვლეული და კომბინირებული საკვების – 87 %-ს.

2013 წლის 12 ივლისიდან ამოქმედდა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონი. ის პირველი საკანონმდებლო აქტია, რომლითაც დადგინდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნისა და ფუნქციონირების მარეგულირებელი ნორმები. 2015 წლის 25 დეკემბერს ამ კანონში შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები, რითაც განისაზღვრა კოოპერატივის შიდასაწარმოო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი წესები. დღეისათვის სოფლის მეურნეობაში კოოპერირების პროცესი მიმდინარეობს მთელი ქვეყნის მასშტაბით და რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რაოდენობა 1100-ზე მეტია. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შიდასაწარმოო ურთიერთობები რეგულირდება როგორც ორგანული კანონის, ასევე კოოპერატივის წესდებით და კოოპერატივისა და მის წევრს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

დასასრულ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე პერიოდში ქართული სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა დღის წესრიგში აყენებს აგრარულ სექტორში თვისებრივად ახალი პოლიტიკის გატარების აუცილებლობას, სადაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კოოპერაციის პროცესი პირდაპირ აისახება ქვეყნის რეგიონებში გასატარებელ რეფორმებზე, რაც კოოპერაციის მრავალმხრივი ფორმის გამოყენებით მოგვცემს მოსახლეობის მასობრივი დასაქმების, ეროვნული პროდუქციის მოცულობის ინტენსიური ზრდის საშუალებას და უზრუნველყოფს განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ფორმირების შესაძლებლობას.

კოოპერაციის მრავალი წარმატებული მაგალითი გვიჩვენებს, რომ კოოპერაციული შრომის უკუგების ხარისხი გაცილებით მაღალია ინდივიდუალურ შრომასთან

შედარებით და ამის ეკონომიკურ საფუძველს სწორედ კოოპერატივისთვის დამახასიათებელი შიდასაწარმოო ურთიერთობები წარმოადგენს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ორგანიზაციული სრულყოფა და სამართლებრივი რეგულირება, მათი ფუნქციონირების ეკონომიკური მექანიზმი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის როლის, მნიშვნელობის და ადგილის განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში, სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმები და მეთოდები, წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებას, რომლის ქვაკუთხედი კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობებია. სწორედ კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობები აყალიბებს კოოპერატივების სამეწარმეო რისკების მინიმუმამდე დაყვანის რეალურ პირობებს და ქმნის მათი სიცოცხლისუნარიანობის და მდგრადი განვითარების საფუძველს.

ლიტერატურა:

1. კოლუაშვილი პ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესის მნიშვნელობის პოლიტიკური შეფასებისათვის, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, № 1, 2018.
2. კოლუაშვილი პ. მამუკელაშვილი დ. → აგროკოოპერატიული პოლიტიკის ზოგიერთი აქტუალური საკითხი, ჟურნალი „ეკონომიკა“, №12, 2018.
3. მამუკელაშვილი დ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამართლებრივი რეგულირება და შიდასაწარმოო ურთიერთობების წესები (სასწავლო მოდული), ევროკავშირის პროექტი Europe Aid/136454/DH/SER/GE.
4. საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ (2013 წ.).
5. იტალიის კონსტიტუცია (1947 წ.).
6. გერმანიის ფედერალური კანონი „კომერციული და სამეურნეო ამხანაგობების შესახებ“ (1889 წ.).
7. დიდი ბრიტანეთის კანონი „სამრეწველო გაერთიანებებისა და ურთიერთდახმარების საზოგადოებების შესახებ“ (1965 წ.).
8. იაპონიის კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ“ (1947 წ.).

Cooperative Domestic Production Relationships – The Basis for Agricultural Cooperative Viability

Paata Koguashvili

*Professor at Georgian Technical University
paatakoguashvili@hotmail.com*

David Mamukelashvili

*Head of the Targeted Projects Service
Agricultural Cooperatives Development Agency
dmamukelashvili@gmail.com*

Badri Ramishvili

*Associate Professor at Iv. Javakishvili Tbilisi State University
badri.ramishvili@tsu.ge*

The paper deals with the rules of domestic production relations of agricultural cooperative, its relevance, which gives the possibility of formulating the argumentative position – in the current period, which organizational-legal form in Georgia is closer to the socio-economic mission of the state in the agricultural sector and, therefore, which of them should be given priority in terms of state support. This attitude should be properly reflected in the regulation and support of the cooperative process, since the necessity of producing competitive products in the conditions of modern market economy is the continuity of primary production, processing, storage, shipping and realization processes, along with the technical-technological and organizational-management unity, which in the conditions of the Georgian rural population's small lands and less material possibilities, the most efficient cooperative conditions are available. Many successful examples of cooperation show that the quality of cooperative labor returns is much higher compared to individual labor and the economic basis for that is the internal production relations characteristic of cooperative. Components of internal production relations of agricultural cooperatives such as democratic management, economic participation, mandatory and additional share payments, associate member, restrictions imposed for non-member persons and others, practically represent the economic mechanisms for the implementation of successful business activities and without their in-depth understanding, they will not be able to maintain their organizational and legal form of the cooperative traits, which essentially differentiate them from other types of business forms, and represents the basis for the viability of this type of enterprises.

The paper deals with the experience of legal regulation of the process of cooperation in different countries at the legislative level, which is important for the proper understanding of the process. Many successful examples of these countries provide sufficient material for their practical generalization, based on systematic analysis, as successful economies con-

sidered the promotion of functioning organizations on the cooperative basis as the priority direction of development and, therefore, the process based on the origins of solidarity and mutual assistance, in many cases the state played an organizing role.

A new, different view of organizational arrangement of rural and agricultural sectors is particularly noteworthy, which is the basis for successful implementation of the agricultural cooperative process: the main goal of the process ongoing in country's agricultural cooperation is an inclusive socio-economic development of rural population and consequently elimination of poverty in rural areas, stopping migration processes, establishing real prospects for entrepreneurial and social development in the area and the development of agriculture sector is one of the main mechanisms for achieving this goal.

Keywords: Agricultural Cooperative; Democratic Management; Economic Participatio, Pay; Share Deposits; Reserve Fund; Share Fund; Associate Member.

JEL Codes: 010, 013, 019

ქართული თხილის ბაზარი: შეფასება, პერსპექტივები

მარინა ჩავლეიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
marina.chavleishvili@tsu.ge

სტატიაში განხილულია საქართველოში თხილის წარმოების შესაძლებლობები, ქართული თხილის ბაზრის განვითარების ტენდენციები, შეფასებულია თხილის მსოფლიო ბაზარი, არსებული მდგომარეობა და მასში საქართველოს ადგილი, გაანალიზებულია თხილის საექსპორტო პოტენციალი, სამომავლო პერსპექტივები საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველოში თხილის წარმოებისა და ექსპორტის დინამიკის, ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების, კერძოდ, ევროკავშირის, აზიისა და დსთ-ს ქვეყნებში თხილის ბაზრის საექსპორტო დინამიკის ანალიზის, მეთხილეობის დარგში არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე მოცემულია ბაზრის შეფასება, დარგში არსებული მდგომარეობის ანალიზი.

ქართული თხილის საერთაშორისო ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად გამოვლენილია მისი პოტენციური უპირატესობები, სუსტი მხარეები და არსებული პრობლემები. ჩატარებული კვლევა დაეხმარება აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ პირებს, რათა სრულყოფილად გააანალიზონ საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი პერსპექტიული დარგის – მეთხილეობის განვითარების შესაძლებლობები. თხილის ბაზრის განვითარების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: თხილის ბაზარი; ექსპორტი; იმპორტი; ღირებულება; ათა ჯაჭვი; წარმოების პოტენციალი.

საქართველოში თხილის კულტურის წარმოების პოტენციალი და მისი ადგილი მსოფლიო ბაზარზე

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, რაც საექსპორტო პოტენციალის ზრდის შესაძლებლობას იძლევა, მათ შორისაა ქართული თხილი. თხილს კაკლოვან კულტურებს შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია. მეთხილეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი ტრადიციების მქონე სტრატეგიული მნიშვნელობის დარგია. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, თხილის კულტურის

გავრცელება ჩვენს ნელთალრიცხვამდე, VI საუკუნეში დაიწყო შავი ზღვის სანაპიროებსა და კავკასიაში [1]. საქართველოს მოსახლეობისთვის თხილს განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც, შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. 1917 წლამდე ქვეყნიდან ევროპის ბაზრებზე დიდი რაოდენობით თხილი გადიოდა. ევროპული ბაზრების ჩაკეტვამ ექსპორტი, შესაბამისად, თხილის ფართობი და წარმოება შეამცირა. XX საუკუნის 90-იან წლებში მდგომარეობა შეიცვალა და ქართულ თხილზე გაჩნდა მზარდი მოთხოვნა, რომლის შესაბამისად საქართველოში დაიწყო თხილის პლანტაციების გაშენება.

სასარგებლო საკვების, სამკურნალო თვისებებისა და ეკონომიკური მნიშვნელობის გამო, თხილის კულტურა განსაკუთრებულია და მსოფლიო ბაზრის ყურადღების ცენტრშია. ეს, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებულია მისი ნაყოფის მრავალმხრივი გამოყენებით. თხილის ნაყოფი და გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები ფართოდაა ცნობილი. მის კვებით ღირებულებას განსაზღვრავს ნედლეულში ცხიმის, ცილის და ბიოაქტიურ ნივთიერებათა შემცველობა. ჩამოთვლილი ღირებულებები იცვლება მცენარის ჯიშის, ადგილმდებარეობის, ნიადაგურ-კლიმატური პირობების გავლენით. თხილი მეტად მნიშვნელოვანი გახდა სამრეწველო და სხვა ტიპის წარმოებისთვის [2]. თხილის გადამუშავება საინტერესოა უნარჩუნო წარმოების თვალსაზრისით. პრაქტიკულად, ყველა ტიპის პროდუქტი, რომელიც თხილის გადამუშავების შედეგად მიიღება, რეალიზაციას ექვემდებარება.

საქართველოში არსებული მიკროზონების, ნიადაგურ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება თხილის გავრცელების არეალს ზრდის. თხილის სამრეწველო პლანტაციები ფართოდაა წარმოდგენილი შავი ზღვის სანაპიროს ტენიან, თბილ რაიონებში (გურია, სამეგრელო, აჭარა) [3, გვ.20]. მაღალი ყინვაგამძლეობის გამო, თხილი აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონშიცაა გავრცელებული, თუმცა, თხილის მოსავლიანობითა და ნაყოფის ხარისხი უფრო პერსპექტიულია დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკები. საქართველოს ენდემური ჯიშების სიმრავლით საერთაშორისო ბაზრებზე მაღალხარისხიანი პროდუქტის მიწოდება შეუძლია. აქ ბუნებრივად ხარობს თხილის 6 სახეობა: ჩვეულებრივი თხილი, დათვის თხილი, პონტოს თხილი, იმერული თხილი, კოლხური თხილი, კახური თხილი. სულ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულია დაახლოებით 27 ჯიშის თხილი. დახასიათებული ჯიშების ნაყოფმწარმოებლობა იწყება დარგვიდან 3 წლის შემდეგ. ადგილობრივ ჯიშებს შორის უმთავრესია: [4]. „ანაკლიური“, „ბერძნულა“, „გულშიშველა“, „შველისყურა“, „დედოფლის თითი“, „ცხენის ძუძუ“, „ხაჭაპურა“, „ნემსა“. ადგილობრივი ჯიშები გამოირჩევა მაღალი მოსავლით (ერთ ძირზე საშუალო მოსავალი 5-10 კგ-ია, ასევე, ის განსაკუთრებულია რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრებით: პროდუქტიულობა – საშუალოდ 48-55%, ცხიმის შემცველობა 67-70%-ია). აღნიშნული მაჩვენებლებით მსოფლიო ბაზარზე გამორჩეულია ქართული თხილი, რითაც ინარჩუნებს კონკურენტულ უპირატესობას, რასაც განაპირობებს მაღალი ხარისხის ნედლეულის მიღების შესაძლებლობა, ხელსაყრელი ფასისა და ხარისხის თანაფარდობა. თხილი

არ მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებას, გამძლეა ბუნებრივი პირობების მიმართ, ნაკლებ შრომატევადია [3, გვ.21], აქვს ხანგრძლივი ექსპლოატაციის პერიოდი 25-40 წელი და უხვ მოსავალს 20-25 წლის განმავლობაში იძლევა. თხილის მოსავლიანობა საშუალოდ არის 2-4 ტონა/ჰა-ზე. სხვა ქვეყნებთან შედარებით, ქართული თხილის კალორიულობა 7-8%-ით მაღალია [5, გვ.4]. თხილის ნაყოფი ხანგრძლივი შენახვისუნარიანობითა და ტრანსპორტაბელურობით ხასიათდება. კულტურა მნიშვნელოვანია ეკონომიკური თვალსაზრისით, კერძოდ, ის მოსახლეობისთვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა.

2017 წლის მონაცემებით, თხილის კულტურის ფართობი საქართველოში არის 12.054 ათასი ჰა, მათ შორის, რეგიონებზე მოდის: სამეგრელო-ზემო სვანეთი – 62.1%, გურია – 20.3%, იმერეთი – 9.3%. სულ სამივე რეგიონზე მოდის – 91.7%. თხილის ფართობი შედარებით მცირეა ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში (იხ. ცხრილი 1) [6].

თხილის ფართობი საქართველოში (2017 წელი)

ცხრილი 1

| რეგიონები | ათასი ჰა | % |
|------------------------|----------|------|
| სულ საქართველო | 12.054 | 100 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 7.485 | 62.1 |
| გურია | 2.446 | 20.3 |
| იმერეთი | 1.121 | 9.3 |
| აჭარა | 0.542 | 4.5 |
| კახეთი | 0.361 | 3 |
| სხვა | 0.099 | 0.8 |

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) 2017 წლის მონაცემებით, საქართველო თხილნარის ფართობის მიხედვით, მსოფლიოს ძირითად მწარმოებელ ქვეყნებს შორის თურქეთის, იტალიის, აზერბაიჯანის, ირანის, აშშ-ს, ჩილეს, ჩინეთისა და ესპანეთის შემდეგ მეცხრე ადგილზეა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო მსოფლიოში თხილის ფართობით, 2005 წლის მონაცემებით მეშვიდე, ხოლო 2010 წლის მონაცემებით – მეხუთე ადგილზე იყო (იხ. ცხრილი 2) [7].

2017 წელს 2010 წელთან მიმართებით, თხილის ფართობი საქართველოში 23.41%-ითაა შემცირებული (15.739 ათასი-დან 12.054 ათას ჰა-მდე). 2010–2017 წლებში მსოფლიოში თხილის ფართობების გაზრდით დაწინაურდა ჩინეთი, ჩილე, აშშ და ესპანეთი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქვეყნების ნაწილში, მაგალითად, ჩილეში მკვეთრად არის თხილის ფართობი გაზრდილი (2005-2017 წლებში – 83.1%-ით). ამასთან, შეინიშნება საპირისპირო ტენდენციებიც, მაგალითად, 2017 წელს, 2015 წელთან შედარებით, ესპანეთში ფართობები 37%-ით, ხოლო საქართველოში 36.8%-ით არის შემცირებული (იხ. ცხრილი 2) [7].

თხილის მთლიანი ფართობი მსოფლიოსა და ცალკეულ ქვეყნებში


ცხრილი 2

| ქვეყნები | 2005 წელი | | 2010 წელი | | 2017 წელი | |
|--|-----------|-------|-----------|-------|-----------|-------|
| | ჰა | % | ჰა | % | ჰა | % |
| სულ თხილის ფართობი მსოფლიოში (ჰექტარი) | 544.898 | 100 | 618.023 | 100 | 671.421 | 100 |
| თურქეთი | 389.696 | 71.51 | 432.439 | 69.97 | 439.097 | 65.38 |
| იტალია | 55.904 | 10.25 | 67.743 | 10.96 | 79.951 | 11.90 |
| აზერბაიჯანი | 18.228 | 3.34 | 22.691 | 3.67 | 35.782 | 5.32 |
| ირანი | 15.108 | 2.77 | 19.133 | 3.09 | 17.589 | 2.61 |
| აშშ | 11.453 | 2.10 | 11.453 | 1.85 | 14.973 | 2.23 |
| ჩილე | 2.302 | 0.42 | 4.199 | 0.67 | 13.693 | 2.03 |
| ჩინეთი | 8.108 | 1.48 | 10.645 | 1.72 | 13.225 | 1.97 |
| ესპანეთი | 20.343 | 3.71 | 13.803 | 2.23 | 12.806 | 1.90 |
| საქართველო | 9000 | 1.65 | 15.739 | 2.54 | 12.054 | 1.80 |
| სხვა დანარჩენი | 14.756 | 2.77 | 20.178 | 3.30 | 32.245 | 4.86 |

საქართველოში, 2005 წლიდან 2015 წლამდე, თხილის ფართობი სწრაფი ტემპებით იზრდებოდა, მაგრამ, ბოლო სამი წლის განმავლობაში გარკვეული ობიექტური ფაქტორების გავლენით, მისი ფართობი (იხ. დიაგრამა 1) და შესაბამისად, თხილის წარმოებაც შემცირდა (იხ. დიაგრამა 2) [7].


თხილის წარმოება საქართველოში, 2006-2017 წლებში (ათასი ტონა)

დიაგრამა 2



თხილის წარმოების მხრივ, საქართველოში წამყვანი რეგიონებია სამეგრელო და გურია. რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში აღნიშნულ კულტურას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ქვეყანაში თხილის წარმოების შემცირება, ბუნებრივია, აისახა რეგიონებზეც. კერძოდ, 2017 წელს სამეგრელოს რეგიონზე ქვეყანაში წარმოებული თხილის 34.1% მოდიოდა (2016 წელს იყო 52%), ხოლო მეორე ადგილზეა

გურია – 29.9% (2016 წელს იყო 24%). გურიის რეგიონისგან განსხვავებით, სამეგრელოს რეგიონში თხილის მოსავლის მკვეთრი კლება შეინიშნება (იხ. ცხრილი 3) [8].



თხილის წარმოება საქართველოში რეგიონების მიხედვით (2016-2017 წწ. ათასი ტონა)
ცხრილი 3

| რეგიონები | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|------------------------|-------------|-------------|-------------|-------------|
| საქართველო | 33.8 | 35.3 | 29.5 | 21.4 |
| აჭარა | 0 | 0 | 1.5 | 2.4 |
| გურია | 6.2 | 6.2 | 7.2 | 6.4 |
| იმერეთი | 3.2 | 4.2 | 3.4 | 2.8 |
| კახეთი | 0 | 0 | 1.2 | 2.0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 0 | 0 | 0.1 | 0.1 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 20.7 | 18.8 | 15.3 | 7.3 |
| ქვემო ქართლი | 0 | 0 | 0.5 | 0.3 |
| შიდა ქართლი | 0 | 0 | 0.1 | 0.1 |
| დანარჩენი რეგიონები | 3.6 | 6.1 | 0.0 | 0.1 |

მთლიანობაში, 2017 წელს ქვეყნის მასშტაბით წარმოებული თხილის 64% სამეგრელო-ზემო სვანეთისა (34.1%) და გურიის რეგიონებზე (29.9%) მოდოდა.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ინტერესს იწვევს ქართული თხილის წარმოების შესაძლებლობების შეფასება მსოფლიო ბაზრისთვის. მსოფლიო ბაზარზე ქართული თხილის მიწოდების მონაცემები ცვალებადია: 2014 წელს თხილის მსოფლიო ბაზრის 63% თურქეთის თხილს ეჭირა (FAO), მეორე და მესამე ადგილს იტალია (11%) და საქართველო (5%) იკავებდნენ. 2017-2018 წლის საშუალო მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში წარმოებული იქნა 490 ათასი ტონა თხილი (გარჩეული), მათ შორის თურქეთზე მოდიოდა 73% (360 ათასი ტონა), მეორე და მესამე ადგილს იტალია (9%) და აზერბაიჯანი (5%) იკავებდა, მეოთხე ადგილზე იყო საქართველო (3%) (იხ. ცხრილი 4) [9, გვ.26].

**თხილის მსოფლიო და ცალკეულ ქვეყნებში წარმოების საშუალო მაჩვენებელი
(2017-2018 წწ. და 2014-2018 წწ.)**

ცხრილი 4

| ქვეყნები | 2017-2014 წწ. ათასი ტონა | % | 2014-2018 წწ. საშუალო მაჩვენებელი | % |
|---------------|-----------------------------|-----|--------------------------------------|-----|
| სულ მსოფლიოში | 490.028 | 100 | 438.373 | 100 |
| თურქეთი | 360.000 | 73 | 310.000 | 71 |
| იტალია | 42.300 | 9 | 48.010 | 11 |
| აზერბაიჯანი | 25.000 | 5 | 18.410 | 4 |
| საქართველო | 15.313 | 3 | 18.103 | 4 |
| ჩილე | 11.000 | 2 | 7.813 | 2 |
| აშშ | 10.800 | 2 | 13.778 | 3 |
| ესპანეთი | 6.300 | 1 | 8.628 | 2 |
| სხვა | 19.315 | 5 | 13.631 | 3 |

თხილის კულტურის ფართობისა და ნაყოფის წარმოების შემცირება, განაპირობა გარკვეულმა ობიექტურმა ფაქტორებმა, რომელთა შორის მთავარია აზიური ფაროსანა, თუმცა, მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა სოკოვანმა და ბაქტერიულმა დაავადებებმა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ბოლო პერიოდში სერიოზულ აგროტექნიკურ თუ სხვა ადეკვატურ ღონისძიებებს ახორციელებს, რათა სამომავლოდ შემცირდეს დანაკარგი, ამალდეს თხილის მოსავალი და ხარისხი.

თხილის ექსპორტი და იმპორტი

მიუხედავად არსებული პრობლემებისა, თხილის წარმოებით საქართველო წარმატებით იმკვიდრებს ადგილს საერთაშორისო ბაზრებზე და ის თხილის უმსხვილეს მწარმოებელ ქვეყანათა ხუთეულშია. თხილი ძირითადად ევროკავშირისა და დსთ-ს ქვეყნებში გადის. საქართველო, თურქეთთან ერთად, თხილის მსხვილ ექსპორტიორად ითვლება. აღსანიშნავია, რომ საექსპორტო საქართველოში წარმოებული თხილის (გარჩეული გული) 86.2%-ზე მეტი. მოსახლეობის ერთ სულზე თხილის ფაქტობრივი მოხმარების მაჩვენებლით (კგ. წელიწადში) გამოირჩევა შემდეგი ქვეყნები: იტალია (1.31), აზერბაიჯანი (1.02), შვეიცარია (1.10); თურქეთი (0.75). მსოფლიოში 2016 წელს ფაქტობრივი მოხმარების საშუალო მაჩვენებელი იყო 0.06 კგ./წელიწადში [9, გვ.29].

2016 წლის მონაცემებით (FAO), თხილის (გარჩეული) მსოფლიო ექსპორტი წინა წლების დონეზე დარჩა. 2016 წელს ექსპორტის 59% -ს თურქეთზე მოდიოდა, ხოლო მისი საშუალო მაჩვენებელი ბოლო 5 წელში 67%-ია; მეორე ადგილზეა საქართველო, შესაბამისად – 12% და 9% (იხ. ცხრილი 5) [9, გვ.27].


**თხილის მსოფლიო ექსპორტი (2016 წ. და 2014-2018 წწ.
საშუალო მაჩვენებელი-ათასი ტონა)**

ცხრილი 5

| ქვეყნები | 2016 წელი | % | 2014-2018 წწ. საშუალო მაჩვენებელი | % |
|------------------------|-----------|-----|--------------------------------------|-----|
| სულ ექსპორტი მსოფლიოში | 209.251 | 100 | 381.853 | 100 |
| თურქეთი | 123.771 | 59 | 310.000 | 67 |
| იტალია | 24.281 | 12 | 18.119 | 8 |
| აზერბაიჯანი | 10.434 | 5 | 10.971 | 5 |
| საქართველო | 24.836 | 12 | 20.677 | 9 |
| გერმანია | 5.878 | 3 | 5.029 | 2 |
| ნიდერლანდები | 3.256 | 2 | 3.221 | 1 |
| სხვა | 16.795 | 7 | 13.836 | 8 |

საქართველოში თხილი საექსპორტო საქონლის მთლიან წილში განსხვავებული დინამიკით ხასიათდება. 2016 წლის მონაცემებით, საქართველოდან საქონლის მთლიან ექსპორტში თხილი 8,5%-ს იკავებდა და მან გადააჭარბა ლვინის ექსპორტს (5.8%). მომდევნო წლებში, თხილის საექსპორტო პოტენციალი მეკეთრად დაეცა. კერძოდ, 2017 წელს საექსპორტო საქონლის ათეულში 8,5 %- დან 3 %-მდე შემცირებული (იხ. დიაგრამა3)[8].

უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეული 2017 წელს (%)



დიაგრამა 3

თხილის მთლიანი მოსავალი 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, 40%-ით არის შემცირებული, რაც თავისთავად, გავლენას ახდენს ექსპორტის მოცულობაზე. 2017 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოდან 50 მლნ დოლარის თხილი იქნა ექსპორტირებული, მაშინ, როდესაც ის 2016 წლის, ანალოგიურ პერიოდში, 117 მლნ დოლა-

რი იყო. გამომდინარე აქედან, ფერმერებს, რომლებმაც საკმაოდ დიდი ინვესტიცია ჩადეს თხილის პლანტაციებში, შემოსავლების თვალსაზრისით სერიოზული პრობლემები შეექმნათ.

საქართველოდან თხილის ექსპორტი ძირითადად ხორციელდება შემდეგ ქვეყნებში: გერმანია, იტალია, ჩეხეთი, ლიბანი, კანადა, რუსეთი, საბერძნეთი, ესპანეთი, ერაყი, ავსტრია, ხორვატია, ლატვია, სლოვაკეთი. 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, გაუარესებულია, როგორც თხილის ექსპორტის მაჩვენებელი, ასევე ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა, კერძოდ, ექსპორტი განხორციელდა, მხოლოდ, შემდეგ ქვეყნებში: იტალია, გერმანია, ერაყი, საბერძნეთი, ესპანეთი, რუსეთი, საფრანგეთი [6].

მსოფლიოში თხილის მსხვილი იმპორტიორი ქვეყნებია გერმანია და იტალია, რომლებიც არიან თხილის ყველაზე დიდი მომხმარებლები და გადამამუშავებლები. მათზე მსოფლიო თხილის იმპორტის 50%-ზე მეტი მოდის. თურქეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის თხილის გადაზიდვები 50%-ზე მეტი გერმანიისა და იტალიისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო ჩილეში ექსპორტის 92% იტალიამ დაიკავა (იხ. ცხრილი 6) [9, გვ.28].

თხილის იმპორტის დინამიკა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (ათასი ტონა)

ცხრილი 6

| ქვეყნები | 2006 | 2010 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | ზრდა 2006- 2016 წწ. |
|--------------------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|---------------------------|
| გერმანია | 42.127 | 67.882 | 66.624 | 57.151 | 64.204 | 61.450 | 19.323 |
| იტალია | 76.623 | 40.211 | 59.966 | 59.646 | 57.441 | 44.030 | -32.593 |
| საფრანგეთი | 23.304 | 27.894 | 26.997 | 20.477 | 22.733 | 21.068 | -2.236 |
| კანადა | 943 | 7.910 | 10.123 | 10.111 | 12.747 | 11.376 | 10.433 |
| შვეიცარია | 12.083 | 9.482 | 10.037 | 9.761 | 8.890 | 9.448 | -2.635 |
| რუსეთი | 9.967 | 11.016 | 9.187 | 11.270 | 7.018 | 5.541 | -4.426 |
| ბელგია | 14.918 | 7.536 | 7.303 | 6.736 | 5.685 | 4.986 | -9.932 |
| ნიდერლანდები | 9.478 | 3.416 | 3.762 | 3.742 | 5.047 | 3.736 | -5.742 |
| პოლონეთი | 1.582 | 6.987 | 8.842 | 8.077 | 11.686 | 3.704 | 2.122 |
| ესპანეთი | 597 | 5.184 | 5.759 | 4.301 | 3.193 | 2.999 | 2.122 |
| ავსტრალია | 1.126 | 2.333 | 2.923 | 2.629 | 2.593 | 2.839 | 713 |
| აშშ | 5.228 | 2.912 | 4.384 | 2.634 | 1.338 | 2.806 | -2.422 |
| ჩეხეთი | 1.511 | 1.754 | 2.494 | 1.872 | 1.753 | 2.671 | 1.160 |
| ბრაზილია | 1.926 | 2.321 | 2.385 | 3.040 | 3.044 | 2.650 | 724 |
| UK (გაერთ. სამეფო) | 415 | 2.023 | 2.150 | 2.112 | 2.227 | 2.392 | 1.977 |
| ავსტრია | 1.093 | 2.599 | 2.889 | 3.467 | 2.635 | 2.249 | 1.156 |
| ეგვიპტე | 2.315 | 3.896 | 2.773 | 2.059 | 1.882 | 1.832 | -483 |
| საბერძნეთი | 3.040 | 2.242 | 2.049 | 1.555 | 1.179 | 1.315 | -1.725 |
| ისრაელი | 1.299 | 1.320 | 1.182 | 1.268 | 996 | 1.116 | -183 |
| შვედეთი | 917 | 1.109 | 1.308 | 1.250 | 1.258 | 975 | 58 |
| სხვა | 76.649 | 22.709 | 10.629 | 6.265 | 21.523 | 20.063 | -56.586 |
| სულ მსოფლიოში | 288.141 | 232.736 | 237.764 | 219.422 | 239.074 | 209.244 | -78.897 |

2016 წლის მონაცემებით მსოფლიოში თხილის იმპორტის მთლიანი მოცულობა 209.244 ათასი ტონა იყო. აქედან, 4 ქვეყანაზე მოდიოდა იმპორტის 65.86%, კერძოდ, გერმანია – 29.36% (61.459 ათასი ტონა); იტალია – 21.04% (44.130 ათასი ტონა); საფრანგეთი – 10.06% (21.068 ათასი ტონა); კანადა – 5.4% (11.376 ათასი ტონა). მსოფლიოში თხილის იმპორტის ბოლო 10 წლის საშუალო მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით, განსხვავებულია. კერძოდ, მთლიანობაში თხილის მსოფლიო იმპორტი ბოლო 10 წელში შემცირებულია 78.897 ათასი ტონით. აღნიშნული მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით შემდეგია: იმპორტი შემცირდა-იტალიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, რუსეთში, ბელგიაში, ნიდერლანდებში, აშშ-ში, ეგვიპტეში, ისრაელში; იმპორტი გაიზარდა-კანადაში, პოლონეთში, ესპანეთში, ავსტრალიაში, საბერძნეთში, ბრაზილიაში, ავსტრიაში, შვედეთში.

თხილის ბაზარზე იტალია და ესპანეთი არის ნეტო იმპორტიორი ქვეყნები, რაც განპირობებულია ამ ქვეყანებში თხილის გადაამამუშავებელი დარგების განვითარებით. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით ეს ბაზრები მიმზიდველია თხილის ნებისმიერი მწარმოებლისა და ნედლეულის სახით ექსპორტიორი ქვეყნებისათვის, მათ შორის, საქართველოსთვისაც. აღნიშნული ქვეყნებისთვის 82%-იანი წილით მთავარი საიმპორტო პარტნიორია თურქეთი, ხოლო 50%-იანი წილით მთავარი საექსპორტო პარტნიორია გერმანია.

თხილის მოხმარების თვალსაზრისით მსოფლიოში ლიდერია ევროკავშირი, რაც ძირითადად გერმანიის (21,5%) და იტალიისა (20,2%) მოხმარების ტენდენციებზეა დამოკიდებული. აგრეთვე, ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ბელგია, შვეიცარია, რუსეთი, პოლონეთი, საფრანგეთი, აშშ, ესპანეთი, ავსტრია, ჰონგ-კონგი. მათი უმეტესობა ნედლი თხილის იმპორტს გადამამუშავებისა და სხვადასხვა პროდუქტის დასამზადებლად იყენებს. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი არ ფიგურირებს ლიდერ იმპორტიორ ქვეყნებში, მისი მოხმარება მაინც მაღალია ევროკავშირის ქვეყნების შემდეგ, ამავე დროს, თურქეთი არის უდიდესი მწარმოებელიც.

ქართული თხილის ექსპორტი 2008 წლიდან დაიწყო ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, ირანში, ერაყში, სირიაში, საუდის არაბეთში, ყაზახეთში, ტაჯიკეთში, ჩინეთსა და ჰონგკონგში. ეს უკანასკნელი ახდენს რეექსპორტს და შეაქვს თხილი ჩინეთის ბაზარზე. ქართული თხილით დაინტერესებული არიან ასევე აშშ-ის და იაპონიის კომპანიები. საინტერესოა, ასევე, უკრაინის ბაზარი, სადაც ბოლო 6 წლის განმავლობაში თხილის მოხმარება თითქმის 2,5-ჯერ არის გაზრდილი. ამდენად, თხილის ექსპორტის მიმართულებით საქართველოს ბაზრის გაფართოების დიდი პოტენციალი გააჩნია.

საქართველოს თხილის ბაზარზე მიმდინარე ტენდენციები

საქართველოში თხილის წარმოება მთლიანად ორიენტირებულია უცხოურ ბაზრებსა და იქ მიმდინარე ტენდენციებზე. შიდა მოხმარებისათვის საკუთარი წარმოების მხოლოდ 10%-მდე გამოიყენება და საექსპორტოა წარმოებული თხილის დაა-

ხლოებით 90%. საქართველოში თხილის ბაზრის სტრუქტურა სამი მიმართულებით ვითარდება [10, გვ.126], კერძოდ, წამყვანი პოზიციები უკავიათ სადისტრიბუციო კომპანიებს, მომდევნო ადგილზეა თხილის გადამამუშავებელ ქარხნები და ფერმერები. ბოლო 10 წლის განმავლობაში შეიცვალა ფერმის მასშტაბები, გაიზარდა შედარებით მსხვილი ფერმების რაოდენობა, მაგრამ წვრილი ფერმერები თხილის დისტრიბუტორების ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ. მაგალითად, ჩვენ მიერ გურიის რეგიონში ჩატარებული გამოკითხული ფერმერების (200 ფერმერი) 50%-მა ბოლო 10 წლის განმავლობაში გაზარდა წარმოების მასშტაბები (ფართობები) და მათ მფლობელობაში არის 5-დან 10 ჰა-მდე თხილის პლანტაციები. რეგიონებში მსგავსი პროცესების მიმდინარეობის ფონზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ 2008 წელს თხილწარმომადგენელი ფართობის 95%-ს ფლობდნენ წვრილი ფერმერები, ხოლო მსხვილმასშტაბიანი ფერმერებს 7%-იანი წილი ეკავათ [10, გვ.126-127], დღეისათვის, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მსხვილმასშტაბიანი ფერმერების ხვედრითი წონა 10%-ს აჭარბებს.

მნიშვნელოვანია თხილის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი, რომელშიც გამოკვეთილია ქართული თხილის მომხმარებელთა დამოკიდებულება. აღნიშნულ სქემაში დაახლოებით 70%-მდე ევროპელ, 30%-მდე – აზიელ და 1%-მდე – სხვა მომხმარებლებზე მოდის. აღნიშნული მომხმარებლების მიერ თხილი შესაბამისი რეგიონების გადამამუშავებლებს, შემდეგ საცალო მოვაჭრეებს და ბოლოს, მომხმარებლებს მიეწოდება. მაგალითად, ევროპელი და თურქეთის დისტრიბუტორები (70%-იანი წილით) ქართული ექსპორტის დაახლოებით ევროპელ გადამამუშავებლებს, შემდეგ, საცალო მოვაჭრეებს და ბოლოს, მომხმარებელს აწვდიან. დარჩენილი დისტრიბუტორების მიერ შესყიდული თხილი (1%-ზე ნაკლები წილით) სხვადასხვა ქვეყნის გადამამუშავებელ საწარმოებსა და მომხმარებლებს მიეწოდება.

საოჯახო და წვრილი ფერმერული მეურნეობების დაქსაქსულობის გამო, თხილის «სეზონზე» უამრავი მცირე წვრილი სადისტრიბუციო ფირმა (გადამყიდველები) წარმოიქმნება. შესაძლებელია გამოვყოთ რეგიონული შემგროვებლები; ადგილობრივი დისტრიბუტორები. თხილის ბაზარზე წარმოდგენილია თხილის გადამამუშავებელი და ექსპორტიორი ფერმები. ამ ფირმათა დაყოფა პირობითად სამ ჯგუფადაა შესაძლებელი, ესენია: ა) მხოლოდ ექსპორტიორი ფერმები, ბ) მცირე გადამამუშავებელი საწარმოები და გ) მსხვილი გადამამუშავებელი და საექსპორტო კომპანიები [11, გვ.22].

თხილის მსოფლიო ბაზარზე თურქეთი, როგორც თხილის მთავარი მწარმოებელი, თავისუფლად აკონტროლებს თხილის ფასს და თხილის ბაზარსაც. ბუნებრივია, ქართული თხილის ფასზე თურქეთი ახდენს გავლენას. თუმცა, არსებობს ფასებს შორის განსხვავება, ქართული თხილი უფრო იაფია, ვიდრე თურქული, რაც აიხსნება ქართულ და თურქულ თხილს შორის გამოსავლიანობაში არსებული განსხვავებით. კერძოდ, 1კგ. გაუტეხავი ქართული თხილიდან გამოდის 0.4 კგ. გული, ხოლო თურ-

ქული თხილის გამოსავლიანობა 0.5 კგ.-ია. პრობლემაა ქართული თხილის ხარისხის მენეჯმენტის სისტემა, არასტაბილური მინოდება და ნაკლები ცნობადობა [12].

როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, თხილის გადამამუშავებელ კომპანიათა უმეტესობა არ ფლობს საკუთარ პლანტაციებს. ისინი ძირითადად სამეგრელოს რეგიონში არიან კონცენტრირებულნი, საკუთარი სიმძლავრეების 80%-ს იყენებენ და უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილების მნიშვნელოვან რაოდენობას.

ქართული თხილის წარმოება საგრძობლად განვითარდა ბოლო 10-15 წლის განმავლობაში, თუმცა, არსებული რესურსები სრულად ათვისებული არ არის. დარგის განვითარებას გააჩნია გარკვეული პრობლემები, მავნებლებისა და მცენარეთა დაავადებებისაგან დაუცველობა, რაც საფრთხეს უქმნის წარმოების მოცულობას, ხარისხს და, შედეგად, საქართველოს სურსათის ექსპორტის სანდოობას. ეს მაშინ, როცა საქართველოს რეგიონებში შესაძლებელია წარმოებული იყოს მაღალხარისხიანი და კონკურენტუნარიანი ნედლეულის წარმოება. სხვა კულტურებთან შედარებით 1 ჰა-ზე თხილის გაშენებას და მოვლას ნაკლები დანახარჯები ჭირდება, რაც დღეისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ქართველი ფერმერისათვის.

მიუხედავად გარკვეული დადებითი ტენდენციებისა, ბოლო პერიოდში თხილის წარმოების ხარისხი გაუარესდა. ასევე ბაზარზე შეინიშნება თხილის ფასის მკვეთრი მერყეობა (ვარდნა). ადგილობრივი მწარმეებისა და ფერმერებთან ინტეგრაციების დროს გამოიკვეთა აღნიშნული პრობლემის ორი მიზეზი: თხილის ბიზნესის მართვის სადავეების გარკვეული ჯგუფის მიერ მონოპოლიზება და „ევროპაში ქართული თხილის „სახელის გატეხვა“. ასევე, მნიშვნელოვანია დახვეწილი დომინანტი ჯიშების მოვლა-მოყვანის პირველადი გადაამუშავებისა (შრობა) და შენახვის ტექნოლოგიების სიმცირე და ჯიშური სტანდარტული ნერგის ხელმისაწვდომობა. ქვეყანას, ამ სფეროში, შესაძლოა ჰქონოდა კონკურენტული უპირატესობა, მაგრამ სანერგე სექტორის არასაიმედოობის გამო, ის სრულად არაა ათვისებული [13]. საქართველოს შედარებითი უპირატესობა ყველა პროდუქტისთვის არ არის თანაბარი. ქვეყნის მიწის ფართობი შეზღუდულია, სასოფლო-სამეურნეო მიწა დაყოფილია მიწის შედარებით მცირე ნაკვეთებად. საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების 75% 1 ჰა-ზე ნაკლები ზომისაა [14, გვ.4]. ყოველივე ეს არ იძლევა საშუალებას გაიზარდოს მეურნეობათა მასშტაბები და ბაზარზე კონკურენცია გაენიოს წამყვან ქვეყნებს, რომლებსაც მსხვილი, მსგავსი პირობების მქონე მიწის ნაკვეთები აქვთ.

დასკვნები და წინადადებები

საქართველოს აგროსექტორში თხილის წარმოება ერთ-ერთი პერსპექტიული დარგია, შესაბამისად, საქართველოსათვის აქტუალურია ქართული თხილის განვითარების ტენდენციების კვლევა, განვითარების პრიორიტეტების დასახვა და დარგში საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ჩამოვყალიბეთ შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები:

- საქართველოში აგრარული პროდუქტების წარმოებაში, განსაკუთრებული უპირატესობა იკვეთება თხილის წარმოებაში, იგი კონკურენტუნარიანია, მისი განვითარებისათვის ქვეყანაში ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური შესაძლებლობებია;

- თხილის წარმოების დარგში, საქართველო უკვე ფლობს გარკვეულ ნიშას საერთაშორისო ბაზარზე, შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს და ხელს უწყობდეს ამ უპირატესობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, ასევე, სხვა პოტენციური უპირატესობის მიღწევას;

- თხილის მსოფლიო ბაზარი ზრდადია. ამ ბაზარზე, წარმოების გაფართოებით საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდის პერსპექტივები მაღალია; საექსპორტო მოცულობის გაზრდით მას აქვს ევროკავშირის, დსთ-სა და აზიის ბაზრებზე დამკვიდრების ფართო შესაძლებლობა;

- საექსპორტო პოტენციალის გაზრდისა და ახალი ბაზრების ათვისებისათვის საჭიროა წარმოების როგორც პროდუქტიულობის, ასევე წარმოების მასშტაბის გაფართოება. თხილის წარმოების ფართობების ზრდა შესაძლებელია დაუმუშავებელი ფართობების, განსაკუთრებით კი ჩაის ამორტიზებული მიწების ათვისებით. ამისთვის საჭიროა საკმაოდ დიდი ინვესტიციების განხორციელება და მთავრობის მხარდაჭერა;

- პრობლემაა ქართული თხილის ხარისხი და სტანდარტები, რაც დღემდე მკაცრად არ არის რეგულირებული;

- თხილის ფასის რყევის დაძლევისთვის საჭიროა თხილი ბაზარს სტანდარტიზებულად მიენოდოს, პროდუქტი უნდა გაკონტროლდეს როგორც უვნებლობის, ასევე, ხარისხობრივი პარამეტრებით;

- არსებულ ვითარებაში მნიშვნელოვანია დარგში გავრცელებული მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა, კერძოდ, სამთავრობო და უცხოელი პარტნიორების მხრიდან ეფექტიანი პროგრამების განხორციელება, რათა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი მოსალოდნელი ზარალი;

- მნიშვნელოვანია თხილის საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. ამ ეტაპზე ძირითადია ექსპორტირებული პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება, რათა შესაძლებელი გახდეს ახალ, მოთხოვნად ბაზრებზე შესვლა.

ლიტერატურა:

1. გოცირიძე ვ. თხილის კულტურა საქართველოში, თბილისი, 1973.
2. <http://www.new.ruraltourism.ge>
3. ხარაიშვილი ე., ჩავლეიშვილი მ. თხილის ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები საქართველოში, აგროინფო, #1, თბილისი, 2008.
4. <http://gprnuts.ge/text.php?id=216>
5. Georgian Scientific-Research Institute of Horticulture, Viticulture and Wine making of the Georgian Academy of Agricultural Sciences, Recommendation, Tbilisi, 2003.

6. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მონაცემთა ბაზის საფუძველზე. <http://www.moa.gov.ge/>
7. გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO). <http://www.fao.org/faostat/en/#data/QC>
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge
9. NUTS&DRIED FRUITS, INC INTERNATIONAL NUT AND DRIED FRUIT COUNCIL, Statistical Yearbook, 2017-2018, pp.26, 27, 28, 29 https://www.nutfruit.org/files/tech/1524481168_INC_Statistical_Yearbook_2017-2018.pdf
10. ხარაიშვილი ე. კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011.
11. Chavleishvili M., Consumer Market for Georgian Hazelnut and the Strategy to Improve its Competitiveness, International Conference on Business, Economics and Management. International Science Index, Roma, 2015.
12. <http://eugeorgia.info/ka/article/34/qartuli-txili-evropashi-kargad-rom-gaiyidos-eqsporti-unda-gaizardos/>
13. UNDP_GE_ED_Hazelnut_Production_manual_201604.pdf
14. მაქსიმოვი ა. საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტის პოტენციალის ათვისება, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი, 2017 წელი. https://www.get-georgia.de/wp-content/uploads/2017/10/PP_01_2017_ge.pdf

Georgian Hazelnut Market: Assessment, Perspectives

Marina Chavleishvili

Associate Professor at

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

marina.chavleishvili@tsu.ge

In the article, the hazelnut world and local market are complexly evaluated. Specifically, the possibilities of hazelnut production in Georgia and the potential of its export and import are discussed, and the Georgian hazelnut place in the international market, its development trends and future prospects are highlighted.

About 35 countries provide hazelnut in the world market, including Georgia, which has high potential for development of the industry and its own niche on the market. Georgian hazelnuts are distinguished with qualitative, quantitative characteristics, diversity of local varieties. The extension area of hazelnut is mainly in western Georgia (more than 70% of production). Based on the data of 2017, Georgia occupies the ninth position in the world (12.806 ha) according to the hazelnut harvested area and the fourth position – according to the volume of production (21.4 thousand tons). For the last two years, it is noticeable the

decreasing trend in the area harvested as well as in the level of productivity, which is mainly due to the spread of pests and diseases in the hazelnut field. In relation to the data of 2016 year, the production has been reduced by about 27% and in relation to the data of 2013 it has been reduced by 46%. According to the data of 2016, the share of hazelnut was 8.5% between the ten biggest export products in Georgia, what is more, it exceeded the wine export in that year. In 2017 the above-mentioned indicator was 3%.

Georgia is among the five largest producers of hazelnut and together with Turkey, is a large supplier of hazelnut. Georgia's share according to the average indicator of the last 5 years in global export is 12%. The export of hazelnut is mainly carried out in EU countries, mainly based on Germany's (21.5%) and Italian (20.2%) consumption tendencies. Also important markets are CIS and Asia. The freight transportation from Turkey, Georgia and Azerbaijan were more than 50% for Germany and Italy. Spain and Italy are also the largest net importers in the world market. Turkey is the main importer partner with the share of 82% and Germany is the main exporter partner with the share of 50%. The analysis revealed that Georgia should increase partnerships with these countries in order to increase the export of hazelnut.

Hazelnut is a competitive and highly exportable product. 90% of the hazelnut produced by Georgia is exported, and the local consumption of the country is 10%. Hence, the hazelnut production in Georgia is entirely focused on foreign markets and their current tendencies. Market research has shown certain trends, in particular, three market stakeholders are revealed: Distribution companies, hazelnut processing factories and farmers. As a result of the survey, it was revealed that the share of large scale farmers in 2008 increased by 3% in 2017 and exceeds the 10%, however, the share of small farmers is still high.

In the hazelnut value chain scheme, about <70% of European, <30% Asian and <1% comes on other hazelnut consumers. Due to the scattering of the householders and small farms, there have been appeared lots of small distribution companies (resellers) in the hazelnut market.

As the survey shows, most of the hazelnut processing companies do not own their own plantations. They are mainly concentrated in Samegrelo region, using 80% of their capacity and provide a significant number of jobs.

Despite some positive trends, the hazelnut quality (due to the widespread illness) has deteriorated; the steep fluctuation of the hazelnut price has been revealed. In the current situation, in order to prevent the expected losses and improve the quality of the product the state support for the sector and the implementation of the effective programs are very important.

Keywords: Hazelnut Market; Export; Import; Value Chain; Production Potential.

JEL Codes: J43, L10, L11

ჯანმრთელობის კაპიტალი – წარმოების მდგრადი განვითარების ფაქტორი

თენგიზ ვერულავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
tengiz.verulava@gmail.com

ადამიან-კაპიტალის ფორმირებაში მნიშვნელოვანია ინვესტიციები ჯანმრთელობაში. საქართველოში ბოლო 25 წლის პერიოდში გაიზარდა მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა და ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯები, შემცირდა ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობა, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. თუმცა, ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯები და ამბულატორიული მიმართვიანობა ჩამორჩება ევროპის რეგიონის მაჩვენებელს. მიზანშეწონილია პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხელშეწყობა, ხოლო ჯანდაცვის სახელმწიფო ხარჯებთან მიმართებით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინება.

საკვანძო სიტყვები: ჯანმრთელობის კაპიტალი; ადამიან-კაპიტალი; ეკონომიკური ზრდა.

ადამიან-კაპიტალის კონცეფცია

ადამიან-კაპიტალი ადამიანის მიერ ინვესტიციების შედეგად დაგროვილი ფიზიკური ჯანმრთელობის, ცოდნის, უნარების, შესაძლებლობებისა და მოტივაციების გარკვეული მარაგია, რომელიც გამოიყენება შრომის ამა თუ იმ სფეროში მოხმარებისათვის და მოაქვს შემოსავლები როგორც დასაქმებულისათვის, ასევე დამსაქმებლისათვის [1].

ადამიან-კაპიტალის კონცეფცია შემუშავებულ იქნა XX საუკუნის 60-იან წლებში. ეკონომისტმა ტ. შულცმა პირველად გამოიყენა ტერმინი – „ადამიანისეული კაპიტალი“, რომელშიც გულისხმობდა ადამიანში ინვესტიციების ერთობლიობას, რაც ამაღლებს მის შრომისუნარიანობას [2]. შულცის იდეები განავითარეს ე.წ. “ჩიკაგოს სკოლის” წარმომადგენლებმა (გ. ბეკერი, პ. ბოვენი, ე. ჰანსენი), რომლებმაც ჩამოაყალიბეს ადამიან-კაპიტალის კონცეფციის ძირითადი დებულებები.

ნობელის პრემიის ლაურეატის გ. ბეკერის მიხედვით, „ადამიან-კაპიტალი წარმოდგენს ადამიანის თანდაყოლილ შესაძლებლობების, შეძენილი უნარების, ცოდნის და მოტივაციების ერთობლიობას, რაც გამოიყენება საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის და ადამიანისა და საზოგადოების შემოსავლის წყაროა“ [3]. ბეკერი

მიიჩნევს, რომ ინვესტიციები ადამიან-კაპიტალში მცირდება ასაკთან ერთად, რადგან დროთა განმავლობაში მცირდება მოსალოდნელი მოგება. საპენსიო ასაკის მიღწევისას შემოსავლების გენერირებაში ჯანმრთელობა კარგავს თავის მნიშვნელობას [4].

თავდაპირველად, ადამიან-კაპიტალის ფორმირებაში უმთავრეს ფაქტორად განიხილებოდა განათლება. 1970-იან წლებში მ. გროსმანმა ადამიან-კაპიტალის თეორიაზე დაყრდნობით, წარმოადგინა ჯანმრთელობის კაპიტალის როლი, რომლის მიხედვით ადამიანი დაინტერესებულია განათლებასა და ჯანმრთელობაში ჩადებული ინვესტიციებით მომავალში გაზარდოს საკუთარი შემოსავლები [3]. შესაბამისად, იზრდება ადამიანის მწარმოებლურობა, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას [4].

ჯანმრთელობის კაპიტალი გულისხმობს ადამიანში ისეთ ინვესტიციებს, რაც საჭიროა მისი ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შესანარჩუნებლად. ჯანმრთელობა გავლენას ახდენს ადამიანის კეთილდღეობაზე. იგი როგორც სამომხმარებლო, ასევე ინვესტიციური საქონელია. ჯანმრთელობა, როგორც მოხმარების საქონელი, გულისხმობს, რომ ჯანმრთელობა ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს, შესაბამისად, ჯანმრთელობაზე, როგორც სამომხმარებლო საქონელზე არის მოთხოვნა. ჯანმრთელობა როგორც საინვესტიციო სიკეთე, გულისხმობს, რომ ის მას მუშაობის და, შესაბამისად, შემოსავლების გამომუშავების საშუალებას აძლევს. ჯანმრთელობის საინვესტიციო სიკეთე განისაზღვრება მისი სიკეთის მეშვეობით მიღებული სარგებლის ღირებულებით. მაგალითად, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა ნიშნავს შრომითი საქმიანობის დამატებით წლებს, რომლის განმავლობაში ადამიანი ღებულობს შემოსავლებს და ახდენს ინვესტირებას საკუთარ კაპიტალში. შეზღუდული შესაძლებლობა, ავადმყოფობა, სიკვდილიანობა განიხილება როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დანაკარგები, რაც იწვევს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს. ცხადია, ინვესტიციები ჯანმრთელობის კაპიტალში ხელს უწყობს შრომისუნარიანი მოსახლეობის ზრდას, ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის შემცირებას, რაც დადებითად ზემოქმედებს ადამიან-კაპიტალზე.

ჯანმრთელობა განსაზღვრავს ადამიანს რამდენი დროის დახარჯვა შეუძლია თავის შრომით საქმიანობაში. ჯანმრთელმა ადამიანმა, ნაკლებად სავარაუდოა, გააცდინოს სამუშაო, შესაბამისად, იგი უფრო პროდუქტიულია. ჯანმრთელობა ზრდის შრომისუნარიან დღეთა რაოდენობას. ამგვარად, ჯანმრთელობის წარმოება გავლენას ახდენს ადამიანის სარგებლიანობაზე – იზრდება ადამიანის კმაყოფილება არამარტო ჯანმრთელობის კარგი მდგომარეობით, არამედ მუშაობისათვის ჯანმრთელი დღეების რაოდენობა, ანუ შემოსავლების მიღების შესაძლებლობა, რაც აისახება შემოსავლების ზრდაში.

ამ კონტექსტით, ჯანმრთელობის სტატუსი ადამიან-კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილია. ადამიანს მემკვიდრეობით აქვს მიღებული ჯანმრთელობის თავდაპირველი მარაგი მაგრამ, როგორც ფიზიკური კაპიტალი, ისიც განიცდის ამორტიზაციას, ჯა-

ნმრთელობის კაპიტალი შეიძლება გაუფასურდეს დროთა განმავლობაში. ამიტომ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ადამიანები ახდენენ მასში ინვესტირებას. შეიძლება ითქვას, რომ ჯანმრთელობის კაპიტალს აქვს როგორც ინდივიდუალური, ასევე საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რადგანაც ჯანმრთელობას სარგებელი მოაქვს როგორც ადამიანისათვის, ასევე საზოგადოებისათვის. გროსმანის აზრით, სადღეისოდ, ჯანმრთელობის კაპიტალს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მოხმარებულ სხვა საქონელს და მომსახურებას [5].

სამუელ პრესტონმა პირველმა შეისწავლა ჯანმრთელობის მდგომარეობის კავშირი მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლებთან [6]. მის მიხედვით, ეროვნული შემოსავლის დონესა და სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის არსებობს დადებითი კავშირი. იგივე შედეგები იქნა ასახული მსოფლიო ბანკის ანგარიშებში [7]. თავდაპირველად აქცენტი კეთდებოდა ჯანმრთელობის როლზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებში. ჯანმრთელობა განიხილებოდა როგორც სიღარიბისგან თავის დაღწევის საშუალება [8]. შემდგომ პერიოდში, ლარობ და მდიდარ ქვეყნებს შორის განსხვავების ანალიზისას, ყურადღება გამახვილდა ჯანმრთელობის როლზე ეკონომიკის ზრდაში. ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ეკონომიკურ ზრდაში ჯანმრთელობის მდგომარეობა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე განათლების დონე [9, 10].

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება დადებითად აისახება ეკონომიკურ მწარმოებლურობაზე. ამ მხრივ გამოიყოფა 5 მთავარი მექანიზმი [11]:

1. მწარმოებლურობა, ეფექტიანობა. ჯანმრთელობა და განათლება არის ინდივიდის პროდუქტიულობისა და ეფექტურობის განმაპირობებელი ფაქტორი. არსებობს ემპირიული მტკიცებულებები, რომლის მიხედვით, შედარებით ჯანმრთელ მუშაკებს გააჩნიათ უფრო მეტი ფიზიკური და ფსიქიკური ენერჯია, გამოირჩევიან საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომით და პროდუქტიულობით [12, 13]. ჯანმრთელობა ასევე გავლენას ახდენს შრომის მინოდებაზე, რადგან ჯანმრთელობის პრობლემა განაპირობებს სამუშაოზე გამოუცხადებლობის ბევრ შემთხვევას [14]. ასევე, ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანი შეიძლება გამოცხადდეს სამუშაოზე, მიუხედავად იმისა, რომ მისი საქმიანობა შესაძლოა ნაკლებად პროდუქტიული აღმოჩნდეს [15].

2. სიცოცხლის ხანგრძლივობა. ჯანმრთელობის გაუმჯობესება ხელს უწყობს სიცოცხლის ხანგრძლივობის ამაღლებას. თავის მხრივ, რადგან ადამიანები მოელიან ხანგრძლივ სიცოცხლეს, ინვესტიციები განათლებაში უფრო მიმზიდველი ხდება და ამავე დროს, ჩნდება საპენსიო ასაკში მეტი დანაზოგების გაკეთების მოტივაცია [16]. შედეგად, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა ხელს უწყობს განათლების კვალიფიკაციის და დანაზოგების დონის ამაღლებას.

სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა გავლენას ახდენს მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე. ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება და სიცოცხლის ხანგრძლივობის ამაღლება განაპირობებს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის პრო-

პორციულ ზრდას. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, შობადობის მაჩვენებლის შემცირების ფონზე, მოსალოდნელია საპირისპირო ეფექტი. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში შობადობის მაჩვენებლის შემცირება განაპირობებს შრომისუნარიანი მოსახლეობის წილის შემცირებას.

3. სწავლის უნარი. კვლევები ადასტურებს, რომ ჯანმრთელობის გაუმჯობესება ხელს უწყობს უკეთესი კოგნიტიური შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებას, დადებითი საგანმანათლებლო შედეგების მიღწევას [17, 18]. რაც უფრო ჯანმრთელია ადამიანი, მით უფრო მაღალია კოგნიტიური უნარები, მით ნაკლებია სკოლაში ან სამსახურში გამოუცხადებლობა, უფრო მეტად შეუძლიათ აითვისონ და დააგროვონ ცოდნა.

4. შემოქმედებითობა, კრეატიულობა. კარგი ჯანმრთელობით მიღწეული უკეთესი საგანმანათლებლო შედეგები დადებითად ზემოქმედებს შემოქმედებით და ინოვაციურ საქმიანობაზე. განათლებული ადამიანები არიან კარგი ნოვატორები და უფრო მოქნილნი ტექნოლოგიურ ცვლილებებთან მიმართებით. შესაბამისად, განათლების ამაღლება აჩქარებს ტექნოლოგიურ განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ ჯანმრთელი და განათლებული მუშაკები უფრო ადვილად რეაგირებენ ტექნოლოგიურ ცვლილებებსა და ინოვაციურ პროცესებზე, რაც ცვლილების წარმატებით განხორციელების განმსაზღვრელი ფაქტორია.

5. უთანასწორობა. ადამიან-კაპიტალში ჩადებული ინვესტიციების სხვადასხვაობა განაპირობებს განსხვავებულ შემოსავლებს. ამ კონტექსტით, ჯანმრთელობის გაუმჯობესება შეიძლება განვიხილოთ, როგორც შემოსავლების უთანასწორობის შემცირების საშუალება. რაც უფრო შემცირდება ადამიანების შემოსავლებს შორის უთანასწორობა, მით უფრო მეტ ადამიანს ექნება საკუთარი განათლების და ჯანმრთელობის საჭიროების დაფინანსების შესაძლებლობა, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს მათ ეკონომიკურ მდგომარეობას [19]. იმის გათვალისწინებით, რომ ჯანმრთელობა და შემოსავლები ერთმანეთთან კავშირშია, ადამიანების შემოსავლებს შორის უთანასწორობის შემცირება ინვესტს ჯანმრთელობის უთანასწორობის შემცირებას. ამრიგად, ჯანდაცვის სექტორში ინვესტირება შეამცირებს შემოსავლებს შორის უთანასწორობას, გაზრდის შრომის პროდუქტიულობას და, შესაბამისად, ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას.

ჯანმრთელობის კაპიტალი და საქართველო

მოსახლეობის ჯანმრთელობის კაპიტალის ფორმირებაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: მოსახლეობის ავადობა, შეზღუდული შესაძლებლობა, სიკვდილიანობა, მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა, ჯანდაცვაზე დანახარჯები და ამბულატორიულ მიმართვიანობათა რაოდენობა (იხ. ცხრილი).

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 1995-2017 წლების პერიოდში 2.5-ჯერ გაიზარდა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდის მაჩვენებელია [34,

35, 36]. დროის მოცემულ პერიოდში 12.2%-ით გაიზარდა ადამიანური განვითარების ინდექსი (ყოველწლიური საშუალო ზრდა 0.83%) და 2017 წლისათვის 0.780 შეადგინა. ამ მაჩვენებლით საქართველო 70-ე ადგილზეა 188 ქვეყანას შორის [24].

ჯანმრთელობის კაპიტალზე მოქმედი ფაქტორები (საქართველო – 1990-2017 წწ.)

| | 1990 | 1995 | 2000 | 2005 | 2010 | 2015 | 2017 |
|---|---------|--------|---------|---------|---------|----------|----------|
| მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (მიმდინარე ფასებით), აშშ დოლარი | 1614.6 | 569 | 692 | 1530.1 | 2964.5 | 3796 | 4046.8 |
| ადამიანური განვითარების ინდექსი | - | - | 0.672 | 0.711 | 0.735 | 0.754 | 0.780 |
| მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა | 71.4 | 70.3 | 71.3 | 74 | 74.4 | 72.9 | 73.5 |
| საერთო ავადობის მაჩვენებელი (პრევალენტობა) მოსახლეობის 100000 სულზე | - | - | 27006.5 | 35823.3 | 49553.9 | 101154.1 | 105200.1 |
| პირველადი ავადობის მაჩვენებელი (ინციდენტობა) მოსახლეობის 100000 სულზე | 22498.2 | 9077.5 | 10623.8 | 15902.6 | 26076.6 | 59677.3 | 60300.1 |
| სიკვდილიანობა მოსახლეობის 1000 სულზე | 9.6 | 7.8 | 10.7 | 9.3 | 10.6 | 13.2 | 12.8 |
| 1 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა მოსახლეობის 1000 სულზე | 22 | 29 | 27.3 | 29.5 | 16.9 | 8.6 | 9.6 |
| 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხალშობილზე | 47 | 34 | 30.1 | 31.5 | 18.9 | 10.2 | 11.1 |
| დედათა სიკვდილიანობა 100000 ცოცხალშობილზე, | 41.5 | 53.1 | 47.8 | 23.9 | 21.7 | 32.2 | 13.1 |
| შობადობა მოსახლეობის 1000 სულზე | 14 | 11 | 10 | 10.7 | 10.7 | 15.9 | 14.3 |
| ამბულატორული მიმართვიანობა მოსახლეობის 1 სულზე | - | 1.1 | 1.5 | 2.1 | 2.1 | 3.6 | 3.5 |
| ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები (მლნ ლარი) | - | 31 | 61.7 | 194 | 414.8 | 914 | 1063.7 |
| ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი | - | 4.9 | 16.7 | 19.5 | 23.1 | 36.3 | 37.2 |
| ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში | - | 0.9 | 1.2 | 1.7 | 2 | 2.9 | 3.1 |
| ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მშპ-თან მიმართებით. | - | 0.9 | 1.2 | 1.7 | 2 | 2.9 | 3.1 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე დადებითად იმოქმედა მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდამ, დედათა სიკვდილიანობის, 1 წლამდე და 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირებამ, ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ზრდამ.

მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 1990-2017 წლების პერიოდში, 2.5 წლით გაიზარდა (მერყეობს 71-დან 73.5-მდე) და მხოლოდ 4.5 წლით ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნების სიცოცხლის საშუალო საშუალო ხანგრძლივობას (78 წელი). თუმცა, ზოგი მკვლევარის აზრით, ეს მაჩვენებელი ბოლო ათწლეულში ერთგვარ სტაგნაციას განიცდის [22].

1 წლამდე და 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამსახველი ერთ-ერთი მგრძობიარე მაჩვენებელია. 0-1 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1990-2017 წლების პერიოდში 12.4-ით შემცირდა (22-დან 9.6-მდე), ხოლო 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი – 4-ჯერ (მერყეობს 47-დან 11.1-მდე). ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, აღნიშნული მაჩვენებლები საქართველოში ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებს მცირედით აღემატება. შედარებისათვის, 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ევროპის რეგიონში შეადგენს 11.3-ს.

დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100 000 ცოცხალშობილზე 1990-2017 წლებში 41.5-დან 13.1-მდე შემცირდა. შედარებისათვის, აღნიშნული მაჩვენებელი ევროპის რეგიონში შეადგენს 16-ს.

ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები წლითინლობით იზრდება. სახელმწიფო დაფინანსება განსაკუთრებით გაიზარდა 2013 წლის შემდეგ, როდესაც ამოქმედდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა (2012 წ. 450 მლნ ლარი – 2016 წ. 1063 მლნ ლარი), რაც ცხადია, დადებითად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობის მაჩვენებლებზე. საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის კეთილდღეობის 2017 წლის კვლევის მიხედვით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა, კერძოდ, 2015-2017 წლებში იმ შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომლებსაც ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა არ ჰქონდათ, 43.1%-დან 22.3%-მდე შემცირდა [27]. სოციალურად დაუცველ ქრონიკულ ავადმყოფთა მედიკამენტებზე ფინანსურ ხელმისაწვდომობა გარკვეულწილად გაზარდა ქრონიკული დაავადებების მქონე პირებისათვის სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამამ, რომელიც 2017 წლის ივლისიდან ამოქმედდა [28, 29].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ყოველწლიურად იზრდება ჯანდაცვის ხარჯებში სახელმწიფო დაფინანსების წილი, ის მაინც ჩამორჩება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდებულ ზღვარს [23]. 2016 წლის მონაცემებით, ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში ყველაზე მაღალია კერძო ხარჯები (61%), სახელმწიფო ხარჯები შეადგენს 37%-ს, ხოლო საერთაშორისო დახმარება – 1.6%-ს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯები უნდა შეადგენდეს ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების 40%-ზე მეტს. ქვეყნებში, სადაც ეს მაჩვენებელი 40%-ზე ნაკლებია, სახელმწიფოს შეზღუდული პასუხისმგებლობა გააჩნია ჯანდაცვის სექტორში მდგარი პრობლემების გადასაჭრელად. საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები შეადგენს 37.2%-ს, შესაბამისად, სახელმწიფო დაფინანსების წილი 2.8%-ით ჩამორჩება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით გათვალისწინებულ ზღვარს. საქართველოსთან შედარებით ეს ზღვარი გადალახეს სომხეთმა (41.7%), ყაზახეთმა (53.1%), უკრაინამ (54.5%), ყირგიზეთმა (59%), ხოლო ჩინეთში, ლიტვაში, თურქეთში, გერმანიაში, იაპონიაში, აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს შესაბამისად – 55.8%, 66.6%, 77.4%, 76.8%, 82.1%-ს. ყოველივე აღნიშნულის გამო, საქართველოში ჯანდაცვაზე მნიშვნელოვანი ხარჯების (დაახლოებით 63%) გაღება უშუალოდ მოსახლეობას უწევს. აქვე გასათვალისწინებელია, რომ 2015 წელს, ფარმაცევტული კომპანია გილეადის მიერ ქვეყნისთვის უსასყიდლოდ გადმოცემული C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების ღირებულება (1.2 მლრდ ლარი) ჯანდაცვის ეროვნულ ანგარიშებში არ არის გათვალისწინებული.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მთლიანი სახელმწიფო დანახარჯებში უნდა შეადგენდეს 15 %-ს მაინც [21]. საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი მატების მიუხედავად, მისი წილი სახელმწიფო ბიუჯეტში საკმაოდ დაბალია და შეადგენს 6.9%-ს. აღნიშნული, თითქმის ორჯერ მცირეა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ მაჩვენებელთან შედარებით. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა აშშ, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს შესაბამისად – 15.8%-ს, 19.4%-ს, 20%-ს, 20.7%-ს.

ევროპის რეგიონში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მთლიან სახელმწიფო ხარჯებში მერყეობს 4%-დან, თითქმის 20%-მდე [25]. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანდაცვის ხარჯების პრიორიტეტულობა ეროვნული შემოსავლების ზრდასთან ერთად იზრდება; თუმცა, ზოგიერთი დაბალშემოსავლიანი ქვეყანა უფრო მეტ სახელმწიფო სახსრებს გამოყოფს ჯანდაცვაზე, ვიდრე მაღალშემოსავლიანი ქვეყნები. 2007 წლის მონაცემებით, 22 დაბალშემოსავლიან ქვეყანაში ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახელმწიფო ხარჯები შეადგენდა ბიუჯეტის 10% -ზე მეტს, ხოლო 11 მაღალშემოსავლიან ქვეყანაში დაიხარჯა ბიუჯეტის 10% -ზე ნაკლები [25]. ზოგიერთ ქვეყანაში ჯანდაცვა საბიუჯეტო პოლიტიკის პრიორიტეტად არ ითვლება რამოდენიმე მიზეზის გამო. მათ შორის უმთავრესია ფინანსური და პოლიტიკური ფაქტორები. კერძოდ, ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა ჯანდაცვას განიხილავს ეკონომიკურად არაეფექტიან სფეროდ. ამის საპირისპიროდ, ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა დაინტერესებულია, რომ ჰყავდეს ჯანმრთელი მოსახლეობა.

ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ზრდა არ არის ჯანდაცვის დაფინანსების პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა. სახელმწიფო დაფინანსების ზრდა შეიძლე-

ბა გამართლებული იყოს მხოლოდ ჯანდაცვის სისტემის მიერ ამოცანების უფრო ეფექტიანად მიღწევის, არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენების შემთხვევაში [33]. რესურსების ხარჯთეფექტიანად გამოყენების მრავალი საშუალება არსებობს, რომელთაგან უმთავრესია ქვეყანაში გამართული პირველადი ჯანდაცვის სისტემის არსებობა, პრევენციული სერვისების მიწოდების ზრდა, რაც გაცილებით ნაკლები ღირს, ვიდრე დაავადებათა მკურნალობა, ჯანდაცვის სერვისების დაფინანსების პროსპექტული მეთოდების გამოყენება, დაფინანსების კონკურენტული სტრატეგია (კონკურენტული სადაზღვევო მოდელი, სერვისების უტილიზაციის მართვის მეთოდების დანერგვა, სამედიცინო მომსახურების გარკვეულ ნაწილის ხარჯებში პაციენტის თანამონაწილეობა [26, 30].

საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ზრდის შედეგად, 1995-2017 წლებში, თითქმის 3-ჯერ გაიზარდა ამბულატორიული მიმართვიანობა მოსახლეობის ერთ სულზე (1.1-დან 3.5-მდე), რაც დადებითად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. თუმცა, ის თითქმის ორჯერ ჩამორჩება ევროპის რეგიონის ქვეყნების მაჩვენებელს (7.5), რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პაციენტებს ნაკლები მოტივაცია აქვთ პროფილაქტიკური მიზნით, მეთვალყურეობისათვის მიმართონ პირველადი ჯანდაცვის ექიმს და მხოლოდ დაავადების გამწვავების დროს ცდილობენ ჩაიტარონ სამედიცინო მომსახურება. პაციენტები უპირატესობას ანიჭებენ ჰოსპიტალურ მომსახურებას. კვლევის მიხედვით, პირველადი ჯანდაცვის დანესებულებები ჯანდაცვის სისტემასთან პირველი კონტაქტის ადგილის სახით, აირჩია იმ პირთა ნახევარმა (50.9%), რომელმაც საკუთარი სამედიცინო პრობლემის გამო მიმართა სამედიცინო დანესებულებას [19].

კვლევები ადასტურებს [31], რომ ოჯახის ექიმებთან დაბალი მიმართვიანობა განპირობებულია მათ მიმართ უნდობლობით, დაბალი ინფორმირებულობით ოჯახის ექიმის კომპეტენციების შესახებ. არაადეკვატური ანაზღაურების გამო ოჯახის ექიმებს არ აქვთ სათანადო მომსახურების ჩატარების საკმარისი მოტივაცია. უწყვეტი პროფესიული განათლების სათანადო სისტემის განუვითარებლობა ნეგატიურად ზემოქმედებს პროფესიულ განვითარებაზე. აღნიშნული გვიჩვენებს, რომ პირველადი ჯანდაცვის სისტემა ვერ ასრულებს ე.წ. „მეკარიბჭის“ როლს; ოჯახის ექიმის ინსტიტუტი და საერთოდ პირველადი ჯანდაცვა საქართველოში ვერ განვითარდა იმ სტანდარტებით, რაც უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია არსებობს ბევრ ქვეყანაში [20].

ამრიგად, ბოლო 25 წლის მანძილზე საქართველოში გაიზარდა მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, შემცირდა დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა, გაიზარდა ჯანდაცვაზე დანახარჯები და ამბულატორიული მიმართვიანობა, რაც დადებით გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. თუმცა, ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯები ჯერ კიდევ ჩამორჩება სტანდარტს, ხოლო ამბულატორიული მიმართვიანობა ორჯერ ჩამორჩება ევროპის რეგიონის მაჩვენებელს. რადგან ჯანმრთელობის კაპიტალი მნიშვნელოვან

როლს ასრულებს გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში, მიზანშეწონილია პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხელშეწყობა, ხოლო ჯანდაცვის სახელმწიფო ხარჯებთან მიმართებით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინება [32].

ლიტერატურა:

1. Campbell R. McConnell, Stanley L. Brue, Sean M. Flynn. Economics: Principles, Problems and Policies. McGraw-Hill Education. 19th edition. 2011.
2. Schultz T. (1961). Investment in Human Capital, *The American Economic Review*, 51 (1), 1-17.
3. Becker G (1964) Human Capital, 2nd edn. Columbia University Press, New York, 1975 and 3rd 1994.
4. Becker G.S. Human capital: a theoretical and empirical analysis with special reference to education, 2nd ed. New York, National Bureau of Economic Research, 1975.
5. Grossman M. The demand for health: a theoretical and empirical investigation. New York, Columbia University Press, 1972.
6. Preston S. (1975). The Changing Relation between Mortality and the Level of Economic Development, *Population Studies*, 29 (2), 231-48.
7. World Bank (1993). World Development Report 1993: Investing in Health, Washington, D.C.
8. Sala-i-Martin, X. (2005). On the Health Poverty-Trap, in López-Casasnovas, G., Rivera, B., & Currais, L. (Eds.). *Health and Economic Growth: Findings and Policy Implications*. Cambridge: The MIT Press, 95-114.
9. Barro R. (1996). Health and Economic Growth, Mimeo-graph. Pan American Health Organization (PAHO).
10. Knowles S., & Owen P. (1997). Education and Health in an Effective-Labour Empirical Growth Model, *The Economic Record*, 73 (223), 314-328.
11. Howitt P. (2005). Health, Human Capital and Economic Growth: A Schumpeterian Perspective, in López-Casasnovas, G., Rivera, B., & Currais, L. (Eds.). *Health and Economic Growth: Findings and Policy Implications*. Cambridge: The MIT Press, 19-40.
12. Shultz T. (2005). Productive Effects of Health, in López-Casasnovas, G., Rivera, B., Currais, L. (Eds.). *Health and Economic Growth: Findings and Policy Implications*. Cambridge: The MIT Press, 287-311.
13. Cai L., & Kalb G. (2006). Health Status and Labour Force Participation: Evidence from Australia, *Health Economics*, 15 (3), 241-261.
14. Bloom D., & Canning, D. (2008). Population Health and Economic Growth, Commission on Development and Growth, World Bank Working Paper, 24.
15. Productivity Commission (2006). Potential Benefits of the National Reform Agenda, Report to the Council of Australian Governments, Canberra.

16. Kalemli-Ozcan, S., Ryder, H., & Weil, D. (2000). Mortality Decline, Human Capital Investment and Economic Growth, *Journal of Development Economics*, 62 (1), 1-23.
17. Miguel E. (2005). Health, Education and Economic Development. *Health and Economic Growth: Findings and Policy Implications*. Cambridge: The MIT Press, 143-168.
18. Case A., Fertig A., & Paxson C. (2005). The Lasting Impact of Childhood and Circumstance, *Journal of Health Economics*, 24 (3), 365-389.
19. ჯანდაცვის ეფექტურობის შეფასება (2013). შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. თბილისი.
20. ვერულავა თ. (2015). პირველადი ჯანდაცვის რეფორმისთვის გასატარებელი პოლიტიკის პირველი ნაბიჯები. სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020. თბილისი. 2015. <https://idfi.ge/ge/georgia-2020s-blogpost-on-healthcare-reform>
21. Organisation of African Unity, 2001. African Summit on HIV/AIDS, tuberculosis and other related infectious diseases. *Abuja Declaration on HIV/AIDS, Tuberculosis and Other Related Infectious Diseases*.
22. მალლაფერიძე ნ., ჩოდრიშვილი მ. (2014). მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ცვლილების ანალიზი საქართველოში. საჯარო პოლიტიკის კვლევისა და ტრენინგების ცენტრის პოლიტიკის ანგარიში. გამოცემა III. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
23. ვერულავა თ. (2015) ჯანდაცვის დანახარჯები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებით და საქართველოს ჯანდაცვის დაფინანსება. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI).
24. Human Development Report 2015. United Nations Development Programme.
25. World Health Report 2010. Health Systems Financing: The Path to Universal Coverage. World Health Organization.
26. ვერულავა თ. ჯანდაცვის პოლიტიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2016.
27. გაეროს ბავშვთა ფონდი (2018). მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მოკლე მიმოხილვის ანგარიში.
28. Verulava T., Jorbenadze, R., Dagadze B., Eliava E. Access to Ambulatory Medicines for the Elderly in Georgia. *Home Health Care Management & Practice*, 2018.
29. ვერულავა თ. (2018). ამბულატორიული მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობა ხანდაზმულთათვის. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, №0 5. ჯანდაცვის პოლიტიკისა და დაზღვევის ცენტრი.
30. ვერულავა თ. (2017). შეზღუდული კონკურენცია ჯანდაცვის ბაზარზე: გადანყევტის გზები. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები, გამოწვევები” შრომების კრებული. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 72-78.
31. ვერულავა თ., ბერუაშვილი დ. ოჯახის ექიმთან მიმართვიანობის პრობლემები საქართველოში. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 5 (1). ჯანდაცვის პოლიტიკისა და დაზღვევის ცენტრი, 2019.
32. Verulava T., Dangadze B. Health Capital and Economic Growth: Evidence from Georgia. *The Open Public Health Journal*. 2018; 11:401-406.

33. Verulava T., Maglakelidze T. (2017). Health Financing Policy in the South Caucasus: Georgia, Armenia, Azerbaijan. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 11 (2): 143-150.
34. Verulava T., Jincharadze N., Jorbenadze R. (2017). Role of Primary Health Care in Re-hospitalization of Patients with Heart Failure. Georgian Medical News, 264 (3): 135-139.
35. Silagadze A. Post-Soviet paradoxes of unemployment rate. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences 2017; 11 (1): 136-141.
36. Silagadze A. History of Georgian economic thought: relation between the center and the region. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences 2017; 11 (4): 138-143.
37. Papava, V. The problem of the catch-up effect and post-crises economic growth in the world leading countries. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences 2016; 10 (4): 97-104.

Health Capital – A Sustainable Development Factor in Production

Tengiz Verulava

Professor at Ilia State University

tengiz.verulava@gmail.com

The health capital implies investments in a human being that are necessary for maintaining his health and capacity. Health influences a person's wellbeing. It represents the goods that can be consumed as well as invested. Health, as the consumable good, implies that it gives pleasure to a person. Health, as an investment advantage means that a person is able to work and make incomes. The health investment advantage is determined with the value of the benefit received as a result of the advantage. For example, the life expectancy growth means additional years of work through which a human being receives incomes and invests in his own capital. Disabilities, illness, mortality are perceived as the loss in terms of the social health, causing significant economic losses. Naturally, investments in the health capital promote increasing the number of population capable of working, as well as reducing illness and death rate which in turn has a positive impact on a human capital.

The following factors influence formation of the health capital of population: illness of people, disabilities, mortality rate, life expectancy, healthcare expenses and outpatient referral rate. In the period of 1995-2015, in Georgia GDP increased 6.7 times, that indicates the country's economic growth. The human development index has increased by 12.2% in this period and hit 0.780 by the year of 2016; According to the rate, Georgia is ranked 70th among 188 countries.

The average life expectancy growth has had a positive impact on the country's economic growth. The same has been done by reduction of maternal and children's mortality rate and

higher state expenses on healthcare. Infant mortality rate decreased from 22 to 9.6 in 1990-2017 and under-five mortality rate – from 47 to 11.1. For comparison, under-five mortality rate is 11.3 in Europe. Maternal mortality rate dropped from 41 to 13.1. For comparison, maternal mortality rate in Europe is 16.

General government expenditure on health has increased and almost doubled in the latest 3 years; that has a positive impact on the population's health. But, despite these, Georgia is still significantly lagging behind the threshold set by the WHO recommendations. According to WHO recommendations, state expenditures on health should represent more than 40% in total healthcare expenditures. State expenditures on health care in Georgia represents 37.2% of the total expenses on healthcare, thus Georgia is below the recommendations of the WHO. Due to all above mentioned, Georgian people have to pay by themselves for healthcare issues (up to 63%) [23, 24].

Outpatient referral rate increased from 1.1 to 3.6 per person as the state expenses increased, that positively reflects on the population's health condition. But this rate is still less than that of European countries (7.5 per person), which is caused by the circumstance that patients are less motivated to go to a doctor for prevention and decide to receive medical service only when they are in critical condition. All this shows that the primary healthcare system cannot fulfill the role of the so-called 'gatekeeper'. In general, the primary healthcare system has not developed in Georgia.

As the health capital fulfils significant role in terms of the country's economic growth in a long-run perspective, it is highly advisable to promote the development of the primary healthcare system and taking WHO recommendations concerning state healthcare expenses into account.

Keywords: Health Capital; Human Capital; Economic Growth.

JEL Codes: I10, I11, I18, I19

საქართველოს აგრარულ საქმეებში მიმდინარე პროექტების ანალიზი*

ნინო რუხაია-მოსამდგომელი

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული
თავდაცვის აკადემიის ასისიტენტ-პროფესორი
ninorukhaia@gmail.com

სტატიაში მოყვანილი და გაანალიზებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები საქართველოს აგრარულ სექტორში არსებულ ისეთ პრობლემებთან დაკავშირებით, როგორცაა მცირე და საშუალო ფერმერების განწყობა ფერმერული გაერთიანებების, კოოპერატივების, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მხარდამჭერი პროგრამებისა და განვითარების შესახებ. ნაშრომში ილუსტრირებულია, როგორ აღიქვამენ ფერმერები ზემოაღნიშნულ ინიციატივებს. ბოლოს შემოთავაზებულია ჩვენი აზრით, აუცილებელ ღონისძიებათ ნუსხა, რაც ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის სწრაფ განვითარებას, ფერმერთა ჩართულობის ამაღლებას და მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონში მცხოვრებთა შემოსავლებს, შეამცირებს ქვეყანაში სოციალურად დაუცველთა რიცხვს და გამოათავისუფლებს საბიუჯეტო სახსრებს ეკონომიკის ზრდის სტიმულირებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ბიო-ნარმოება; კოოპერატივი; აგრო-ექსპორტი; აგრარული სექტორი; ფერმერთა განწყობა.

კვლევის ამოცანები, მიმართულებები და მეთოდები

ექსპორტის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში საყოველთაოდ ცნობილია და ამ ფონზე შემამფოთებელია საერთაშორისო ვაჭრობაში საქართველოს მზარდი უარყოფითი სალდო. ეს მაშინ, როცა შედარებითი უპირატესობის მიხედვით, საქართველოს შეუძლია კონკურენტუნარიანი გახდეს აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების მიხედვით[1, გვ 6]. მაგრამ, დღეისათვის აგროსასურსათო სექტორში პროდუქტების უმეტესობა არაკონკურენტუნარიანია[2] და მწარმოებელთა 62%-ის აზრით, ამ სექტორში კონკურენციის განევა რთულია[3, გვ 103]. ამავე დროს, ევროპისა და აზიის ქვეყნებში საკმაოდ მაღალკონკურენტული სასურსათო ბაზრები ფუნქციონირებს. ამიტომ, ნებისმიერი ქვეყნისთვის, ასევე მწარმოებლისთვის მთავარი ამოცანაა ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი პროდუქტის მიწოდება [4,

1 * სტატია მომზადებულია სსიპ შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდული გრანტის YS-2016-23 ფარგლებში.

გვ1]. წინა შრომებში შეთავაზებული გვქონდა აგრარული სექტორის მონყობის მოდელი [5, გვ.104], რაც ხელს შეუწყობდა ქვეყანაში მაღალხარისხიანი და ბიო პროდუქტების წარმოებას, რომელზეც ძალიან მაღალია მოთხოვნა ევროკავშირის ქვეყნებში, მაგრამ, რამდენადაც ყველაზე ეფექტიანი მოდელების განვითარებისთვისაც კი აუცილებელია რომ არსებობდეს ძალა, რომელსაც სურს ამ გეგმაში მონაწილეობა და მისი განხორციელება, ჩვენ გადაწყვიტეთ მიმდინარე კვლევის ფარგლებში შეგვესწავლა ქართველი ფერმერების განწყობები და შეხედულებები აგრარული სფეროს პრობლემებზე, კოოპერაციასა და ექსპორტის შესაძლებლობებზე. ამასთან დაკავშირებით, ჩამოვაცალიბეთ შემდეგი ამოცანები:

1. დარგის ძირითადი სამუშაო ძალის- სოფლად და რეგიონებში მცხოვრები გლეხებისა და ფერმერების განწყობების და შეხედულებების ანალიზი. ამ კვლევამ მოგვცა ინფორმაცია რეგიონებში მოსახლეობის განწყობის შესახებ, უკვე განხორციელებულ პროექტებზე მათი შეხედულებების, ძლიერი და სუსტი მხარეების, სახელმწიფოსთან თანამშრომლობის სტიმულატორების და დამაბრკოლებელი ფაქტორების შესახებ. გარდა ამისა, ფოკუს-ჯგუფზე გამოვლინდა ახალი ტიპის სირთულეები და შესაძლებლობები;

2. მთავრობის მიერ უახლოეს წარსულში განხორციელებული აგრარული პროექტების შედეგების გამოკვლევა, ძირითადი სირთულეებისა და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა. აღნიშნული საკითხის შესახებ, ფაქტობრივად, აქამდე არ განხორციელებულა ადეკვატური სამეცნიერო კვლევა. ამ კვლევის შედეგად მივიღეთ ძალიან ფასეული ინფორმაცია იმის შესახებ, რამდენად ეფექტიანად რეაგირებს საზოგადოება და ფერმერები მთავრობის ინიციატივებზე, პროექტების რომელი კომპონენტი იყო უფრო ეფექტიანად გამოყენებადი ქართულ რეალობაში.

3. განვითარებულ ქვეყნებში აგრარული კლასტერების და სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის მოდელების შესწავლა და მათი გამოცდილების მორგება ქართულ რეალობასთან.

საკითხის შესწავლისას გამოყენებულია მარკეტინგული და ემპირიული კვლევის მეთოდები:

- რეგიონებში ფერმერების გამოკითხვისათვის გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის ინტერვიუების მეთოდი. თითოეულ რეგიონში შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა 10-10 ფერმერი/გლეხი.

- ჩატარდა 5 ჩაღრმავებული ინტერვიუ ფერმერთა გაერთიანებების წარმომადგენლებთან.

- დავამუშავეთ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული არაერთი სტატია, ფერმერთა ბლოგები, ჯგუფური დისკუსიები და ა.შ.

- ჩავატარეთ ფოკუს-ჯგუფი, სადაც მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა აგრო-პროდუქტის მწარმოებელი 80-მდე ბიო-ფერმერი. განვიხილეთ კონკრეტულად ამ მიმართულების ძლიერი და სუსტი მხარეები, ექსპორტის მიმართ დაინტერესება, სახელმწიფო პროგრამების მნიშვნელობა და სხვა პრობლემური საკითხები.

- შევინსავლეთ FAO-ს მიერ მხარდაჭერილი აგრარული კლასტერების მოქმედების პრინციპები. აგრეთვე აგრარული კლასტერების მოქმედების სფერო და არეალი ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. ევროპის ერთიანი აგრარული პოლიტიკა და მისი შედეგები, წინააღმდეგობები და განვითარების ეტაპები;

- გავანალიზებთ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები; სტატისტიკური მასალები, ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული აგრარული პოლიტიკის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა დროს მომზადებული დასკვნები; კვლევის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე ვმონაწილეობდით საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, სადაც განვიხილავდით უცხოელი ეკონომისტების ნაშრომებსა და ჩვენს შეხედულებებს კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით.

- დავამუშავებთ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ვებ-გვერდები, ფბ პლატფორმები და youtube არხები, საინფორმაციო საშუალებები (როგორც ონლაინ, ასევე ტელევიზიით გასული სიუჟეტები)

სხვადასხვა ელექტრონული გამოცემების აგრარული თემატიკის ბლოგები და ა.შ.

კვლევის ძირითადი შედეგები

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო ტენდენცია: დღესდღეობით აგრარულ სექტორში წვრილი და ნაწილობრივ საშუალო (დაახლოებით 5-10 კაცს ასაქმებენ სეზონურად) ფერმერები არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ რეგიონში და მამა-პაპის მიწებს ამუშავებენ (46%) ან ცხოვრობენ დედაქალაქში და ცდილობენ რეგიონში ააწყონ აგრო-ბიზნესი(34%). მხოლოდ 15%-ია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც რეგიონში ცხოვრობენ და დაქირავებულ მუშა-ხელს ან მიწას იყენებენ. მკვეთრად განსხვავდება ამ სეგმენტების მიდგომაც ისეთი ფუნდამენტური საკითხების მიმართ, როგორიცაა ახალი ცოდნის შექმნა, სახელმწიფოს დახმარება და ა.შ.


ადამიანების უმრავლესობა, რომლებიც მამაპაპისეულ მიწებს ამუშავებენ, არ ცდილობენ წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას (უფრო ხშირად დაფიქსირდა პასუხი, „ესაა რის მოყვანასაც ვახერხებ“), არ არიან დაინტერესებული ექსპორტით ან მიაჩნიათ, რომ ეს ფუფუნებაა, რომელსაც „ვერ შესწვდებიან“, ყველაზე კარგ შემთხვევაში კი უნდათ, რომ ტურისტებს მიჰყიდონ თავიანთი საქონელი. ამბობენ, რომ იცინა სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების და იაფი აგრო-კრედიტის შესახებ, თუმცა, უმეტესობას არ უსარგებლია. ამის მიუხედავად, კითხვაზე, „თქვენი აზრით, როგორ უნდა დაგეხმაროთ სახელმწიფო ისე, რომ თქვენი ფერმა წარმატებულ ბიზნესად იქცეს?“- გვპასუხობდნენ, რომ უნდა გაუწიონ სუბსიდირება, დაეხმაროს სახელმწიფო პროდუქციის ჩაბარებაში, შეზღუდოს ზოგიერთი პროდუქციის იმპორტი თურქეთიდან ან დაუნესოს გადასახადები ფასის გასათანაბრებლად და ა.შ.

აბსოლუტურად განსხვავებული სურათია იმ ადამიანების პასუხებში, რომლებიც თბილისიდან რეგიონებში ეწევიან აგრარულ ბიზნესს, რაც ალბათ ლოგიკურიცაა. ამ ადამიანებმა წინასწარი გათვლით და გაცნობიერებულად დაინყეს აგრარული ბიზნესი და ცხადია, მეტად „კომერციული“ დამოკიდებულება აქვთ საქმის მიმართ.

კითხვაზე-„როგორ შეაფასებდით თქვენ მიერ წარმოებულ პროდუქციას“, პასუხები ასე გადანაწილდა(იხ. დიაგრამა 1):

წარმოებული პროდუქციის ხარისხის შეფასება


დიაგრამა 1.



მნიშვნელოვანია ისიც, რომ მათმა უმეტესობამ ბიზნესი არც თუ დიდი ხნის წინ დაიწყო (იხ. დიაგრამა 2):

აგრარული ბიზნესის გამოცდილება

დიაგრამა 2.




შესაბამისად, ბევრ მათგანს ჯერ მოგება არც კი მიუღია, მაგრამ მაინც თვლის, რომ წარმატებას მიაღწევს. თავისი საქმიანობა მათ თავად ასე შეაფასეს: გამოკითხულთა არც თუ მცირე ნაწილი-21% აწარმოებს მხოლოდ საკუთარი საქმიანობისათვის, რამდენადაც მისთვის საჭირო, უსაფრთხო პროდუქტი უბრალოდ არაა ბაზარზე. დიდია იმ ადამიანთა რიცხვიც (27%), რომლებიც თვლიან, რომ აგრარული წარმოება იმდენად მცირე მოგებას უტოვებს, რომ არ აძლევს ღირსეულად ცხოვრების საშუალებას, ამიტომ აქვთ სხვა, დამატებითი შემოსავალიც. მხოლოდ 20%-მდეა იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც წარმატებული აგრო-ბიზნესი აქვთ და ამით იღებენ სტაბილურ, ღირსეული ცხოვრებისათვის საჭირო შემოსავალს.

კიდევ ერთი ტენდენციაა ის, რომ თითქმის ყველა კითხვარში დაფიქსირდა რამდენიმე პასუხი კითხვაზე-„აგრარული სექტორის რომელ დარგში საქმიანობთ?“. როგორც ჩანს ადამიანები მინიმუმ 2-3 დარგის კომბინირებულად მოვლას ცდილობენ.

ჩვენთვის მოულოდნელი იყო კოოპერატივების შესახებ კითხვებზე მიღებული პასუხები: კითხვაზე, „ხართ თუ არა განევრებული კოოპერატივში?“, პასუხები ასე გადანაწილდა(იხ. დიაგრამა 4):

კოოპერატივების წევრობის შესახებ

დიაგრამა 4.



მკვეთრად უარყოფითია იმ ადამიანების პოზიციაც, ვინც უკვე არიან კოოპერატივის წევრები. ისინი აღნიშნავენ, რომ კოოპერატივში განევრებებამ არ გაუადვილა რეალიზაციის პროცესი, რაც მნიშვნელოვანი პრობლემაა მათთვის. დაახლოებით 10% თვლის, რომ მხოლოდ წარმოების პროცესი გააადვილა კოოპერატივმა. აბსოლუტური უმრავლესობა – 56% კი მიიჩნევს, რომ დიდი განსხვავება არაა და მათთვის არაფრისმომცემია კოოპერატივი.

ვფიქრობ, ბევრის მანიშნებელია ის ფაქტიც, რომ გამოითხულთა 80%-ს გაუგია და იცნობს სახელმწიფო პროგრამებს. რომელთაგან ყველაზე ხშირად სახელდება:

- „ანარმოე საქართველოში“,
- „დანერგე მომავალი“,
- იაფი აგრო-კრედიტი,
- კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამა.

თითქმის არავის დაუსახელებია „აგრო-დაზღვევის პროგრამა“, მაგრამ აშკარაა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა კარგად იცნობს მას. კითხვაზე, „იცით თუ არა სახელმწიფო დაზღვევის პროგრამის შესახებ?“, პასუხები ასე გამოიყურება(იხ. დიაგრამა 5):

სახელმწიფო დაზღვევის პროგრამის ცნობადობის შესახებ

დიაგრამა 5.




მხოლოდ 9%-ია კმაყოფილი დაზღვევით. დანაწილებები ან ვერ ინაზღაურებენ, ან იციან, რომ მეზობელმა ვერ აინაზღაურა, ან უბრალოდ თვლიან, რომ არ სჭირდებათ დაზღვევა.

ანალოგიური მდგომარეობაა პროექტის – „ანარმოე საქართველოში“, ირგვლივ. 44%-მა მიიღო მონაწილეობა და ვერ მოიპოვა დაფინანსება, 27%-მა „იცის რომ აზრი არ აქვს“ და ამიტომ არ შეაქვს პროექტი. 16% ფიქრობს, რომ „შეიძლება ცდა, მაგრამ არ სცალია ამ ეტაპზე“ და მხოლოდ 7%-ია კმაყოფილი აღნიშნული პროგრამით.

კვლევის ერთ-ერთი მიმართულება იყო ექსპორტი და მასთან დაკავშირებული პრობლემები. კითხვაზე – „ხართ თუ არა დაინტერესებული ექსპორტით“, პასუხები ასე გადანაწილდა(იხ. დიაგრამა 6):

ექსპორტით კმაყოფილება

დიაგრამა 6.




დამაფიქრებელია, რომ ჩვენს რესპონდენტებში არ აღმოჩნდა არცერთი ექსპორტიორი, მეტიც-დაახლოებით 30% სხვადასხვა მიზეზით არაა დაინტერესებული ექსპორტით. 40%-ს სურს მისი პროდუქციის საზღვარგარეთ გატანა, მაგრამ სხვადასხვა გარემოების გამო ვერ ახერხებს ექსპორტირებას და მხოლოდ 30%-ი აცხადებს, რომ დაინტერესებულია და ემზადება საქსპორტოდ.

მათთვის, ვინც დაინტერესებულია და ვერ ახერხებს პროდუქციის ექსპორტირებას, ხელისშემშლელი ფაქტორები ასეთია (იხ. დიაგრამა 7):

ექსპორტის ხელშემშლელი ფაქტორები

დიაგრამა 7.



დასკვნა და რეკომენდაციები

➤ იმის მიუხედავად, რომ დადებითი ტენდენციები თვალსაჩინოა, სახელმწიფო პროგრამებმა ვერ მიაღწია საყოველთაოობის იმ მიზანს, რისთვისაც იყო შექმნილი.

➤ სახელმწიფო პროგრამების ბენეფიციარების ძალიან დიდი უმრავლესობა ან დედაქალაქის მუდმივი მაცხოვრებელია, ან უკვე წარმატებული ფერმერი.

➤ მნიშვნელოვნად დიდია იმ კომპანიების/ფერმერების რიცხვი, რომლებმაც ისარგებლეს მხარდამჭერი პროგრამებით და მისი დასრულებისთანავე დატოვეს ბაზარი.

➤ ძალიან სუსტია კომუნიკაცია რეგიონში მცხოვრებ ადამიანებთან, შედეგად დღეს მცირე და საშუალო ფერმერები არ არიან მზად ჩაერთონ და ეფექტიანად გამოიყენონ სახელმწიფო ინიციატივები.

➤ ძალიან არაეფექტიანია აგრო-დაზღვევა (ხშირია კორუფციის შემთხვევები)

➤ სხვადასხვა მხარდამჭერ პროგრამას სხვადასხვა მოთხოვნა აქვს. მაგალითად, პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, მოითხოვს ამხანაგობად დარეგისტრირებას, რომელიც სხვა პროგრამისთვის შემდეგ არ არის მისაღები.

➤ ყველა ქვედარგში არის ინდივიდუალური პრობლემები, რაც წარმოების ეფექტიანობას მკვეთრად ამცირებს და მოითხოვს დამატებით რეგულირებას სახელმწიფოს მხრიდან.

➤ ძალიან ნელი ტემპით ვითარდება გადამამუშავებელი, სამაცივრე, სასაწყობო მეურნეობები (ამჟამად ყველა პროგრამა ამ მიმართულებით შეჩერებულია).

➤ საჭიროა დამატებითი მხარდამჭერა ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

➤ დარგში სპეციალისტების სერიოზული დეფიციტია.

➤ გარემოს დაბინძურებით საფრთხე ექმნება მიღებული პროდუქციის ხარისხს, რაც შემდგომ გასაყიდ ფასსა და მიზნობრივ ბაზრებზე მოქმედებს.

➤ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება გასაღების ბაზარი და ცვალებადი ფასები .

➤ ფერმერები თვლიან, რომ გადასახადებიც ძალიან მძიმე ტვირთია მათთვის (არა მარტო მოგების და საშემოსავლო, არამედ მიწის, წყლის და ა.შ.).

➤ ვერ ახერხებენ ქსელური მარკეტებში პროდუქციის შეტანას, ისევე საგადასახადო დაბეგვრის და დამატებითი საბანკო გარანტიების საჭიროების გამო.

დარგის ეფექტიანობის გაზრდა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება არსებითად მასშტაბის ეფექტიანა შესაძლებელი და ამისათვის საჭიროა ისედაც მცირე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები სრულად ჩაერთოს წარმოებაში. ამიტომ, ვფიქრობთ, გასაუმჯობესებელია კომუნიკაცია წვრილ და საშუალო ფერმერებთან, რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებსა და აგრო-მწარმოებლებთან. იმისთვის, რომ ეს ადამიანები მასობრივად ჩაერთონ სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში. ამისთვის, ჩვენი აზრით, საჭიროა:

➤ მეტი ხელმისაწვდომი ინფორმაცია .

➤ არა ზოგადი ტრენინგები ბიზნესგეგმის წერის ტექნიკაზე, არამედ რეალურად „საქმეში ჩახედული“ კონსულტანტები, რათა დაეხმარონ მათ იურიდიული ფორმის შერჩევაში, წარმოების დაგეგმვაში (აგრარული კონსულტანტი) და სხვა.

➤ სათანადოდ უნიფიცირებული და ფერმერის ინტერესებზე მორგებული პროგრამები.

➤ მკვეთრად განსაზღვრული სტრატეგია სოფლის მეურნეობის პრიორიტეტების შესახებ, რომელიც არ შეიცვლება წელიწადში რამდენჯერმე.

საჭიროა ექსპორტზე ორიენტირებული აგრარული პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს:

➤ გარემოს დაცვით ღონისძიებებს და პროდუქციის ხარისხის კონტროლის მაღალ სტანდარტებს.

➤ საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ მაინც უნდა გავიმეოროთ – აუცილებელია სახელმწიფოს ჩართულობა მელიორაციის და აგრო-სპეციალისტების პრობლემის მოსაგვარებლად. ჩვენს კვლევაშიც ყველზე დასახელებადი და მნიშვნელოვანი პრობლემები იყო: აგრო-ტექნიკა, მელიორაცია და სპეციალისტების არ არსებობა.

➤ აუცილებელია ფერმერები დავარწმუნოთ კოოპერირების სარგებლიანობაში და აგრეთვე დასახვეწია გაერთიანებების ფორმები და საშუალებები.

მიგვაჩნია, რომ საქართველოსთვის ძალიან კარგი შესაძლებლობაა ისეთ მზარდ ბაზარზე შესვლა, როგორცაა ბიოლოგიურად სუფთა, მზარდ აგრო-პროდუქტების ბაზარზე. ამისთვის საჭიროა:

➤ ბიო-წარმოება გამოხადდეს პრიორიტეტად,

➤ მოხდეს ბიო-სერტიფიკატის მოპოვების სრული დაფინანსება,

➤ მოხდეს ფერმერებთან ამ საკითხის მასობრივი პოპულარიზება,

➤ სერტიფიცირებულ ბიო-მეურნეებს მიენიჭოთ ეროვნული განსმასხვავებელი ნიშანი (ლოგო),

➤ აუცილებელია შხამ-ქიმიკატებისა და პესტიციდების მოხმარების კონტროლი,

➤ ჩამოყალიბდეს კლასტერული ტიპის გაერთიანება, რომელიც იზრუნებს ხარისხიანი პროდუქციის მოძიებასა და საზღვარგარეთ ექსპორტირებისათვის საჭირო პროცედურებში დახმარებაზე.

➤ საჭიროა შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები გარემოს დაცვის კუთხით (განსაკუთრებით პრობლემურია სარწყავი წყლის დაბინძურების საკითხი);

➤ მოხდეს ორგანული მწარმოებლების ნახალისება. მწარმოებელი ყოველთვის მონადინებულია, მიიღოს მაქსიმალური შემოსავალი და საკუთარი შრომით ღირსეულად ცხოვრების შესაძლებლობა. უარს არც საკანონმდებლო დონეზე დაცვისგან იტყვის, თუ მის კონკურენტებს ხელოვნურად შეზღუდავენ, მაგრამ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პრინციპები, მომხმარებელთა ინტერესები და საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები პირიქით, ფართო და თავისუფალი კონკურენციის პრინცი-

პების გატარების აუცილებლობის წინაშე აყენებს მთავრობას. თუმცა, ევროპის აგრარული პოლიტიკის განვითარების ისტორია ადასტურებს, რომ სანყის ეტაპზე გარკვეული სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე რეცესირებული დარგის განვითარების და საბაზრო, კონკურენტუნარიან მწარმოებლად გარდაქმნის შესაძლებლობა, ფაქტობრივად, არ არსებობს. სწორედ ამიტომ, აუცილებელია იმ “ოქროს შუალედის” პოვნა, რომლის ფარგლებშიც მოხდება ადგილობრივი წარმოების სტიმულირება და ფერმერთა ინტერესების დაცვა საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით და უცხოელ პარტნიორებთან დადებული ხელშეკრულებების პირობების თანახმად.

➤ ნებისმიერი ეკონომიკისათვის აგრო-წარმოების განვითარება უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ექსპორტის სტიმულირებისა და უარყოფითი საერთაშორისო სავაჭრო ბალანსის დაძლევისათვის, ვფიქრობთ, აუცილებელია, მოხდეს არამხოლოდ ნედლეულის, არამედ უკვე გადამამუშავებული პროდუქციის ექსპორტირება. ნედლეულის არსებობა თავისთავად ქმნის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო ნიადაგს, მაგრამ სანყის ეტაპზე აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა ისეთ საკითხებში, როგორცაა ნედლეულის ფასი: მწარმოებელს სურს იაფი ნედლეულის მოპოვება, ფერმერს კი ისეთი შემოსავლის მიღება, რომ ღირსეულად ცხოვრება შეძლოს... სწორედ ამ შემთხვევაშია აუცილებელი სახელმწიფო სუბსიდირება, გონივრულ მინიმუმამდე თანხის შევსება. ეს, ერთი მხრივ, გამოიწვევს წარმოების მოცულობის გაზრდას და მეორე მხრივ, ფერმერების სტიმულირებას წარმოების გაფართოებისა და თვითღირებულების შემცირებისაკენ.

ყოველივე ზემოთჩამოთვლილის განხორციელება უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში, გამოიწვევს დარგში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მკვეთრ ინტენსიფიკაციას. ექსპორტის სტიმულირებისათვის აუცილებელია სახელმწიფო დაეხმაროს კერძო სექტორს წმინდა მარკეტინგული კუთხითაც და მის ხელთ არსებული ყველა არხის და რესურსის გამოყენებით მოახდინოს საქართველოს, როგორც მაღალხარისხიანი აგრარული პროდუქტის მწარმოებელი ქვეყნის პოზიციონირება მსოფლიო ბაზარზე. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იქნება საექსპორტო პროდუქციის ხარისხის მკაცრი კონტროლი და ადგილწარმოშობის ფალსიფიკაციისაგან კომპანიების დაცვა. საბოლოოდ კი, ეს ღონისძიებები გამოიწვევს აგრარული სექტორის სწრაფ განვითარებას, ფერმერთა ჩართულობის ამაღლებას და მკვეთრად გაზრდის რეგიონში მცხოვრებთა შემოსავლებს, რაც შეამცირებს ქვეყანაში სოციალურად დაუცველთა რიცხვს და გამოათავისუფლებს საბიუჯეტო სახსრებს ეკონომიკის კიდევ უფრო მეტად სტიმულირებისათვის.

ლიტერატურა:

1. ხარაიშვილი ე. ლენის ბაზარი და მევენახეობა-მელვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში. გამომცემლობა “უნივერსალი”, თბილისი, 2017 ISBN 978-9941-26-082-7.

2. ხარაიშვილი ე. კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი 2011.
3. ხარაიშვილი ე. მამარდაშვილი ფ. საქართველოს აგრარული პროდუქტების კონკურენტუნარობის შეფასება, ჟურნალი «ეკონომიკა», მაისი, 2009.
4. მენარმის სამაგიდო წიგნი, მენარმეობის მხარდამჭერი საერთაშორისო ცენტრი, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის კვლევა, თბილისი, 2008.
5. განვითარების სტრატეგიები“ https://www.researchgate.net/profile/Eteri_Kharaishvili/publication/301204785_Competitive_Ability_of_Georgian_Hazelnut_and_Strategies_of_Production_Ability/links/570c950a08ae8883a1fff126/Competitive-Ability-of-Georgian-Hazelnut-and-Strategies-of-Production-Ability
6. The Ways of Increasing Profitability and Competitiveness of Farming in The Caucasus Region on Example of Georgia Republic <http://www.globalacademicinstitute.com/wp-content/uploads/2017-prague-conference-proceedings.pdf>
7. Nino Rukhaia-Mosemgvdlishvili. "How to sell"-Opportunity for small farmers to global market. International Academic Conference on Management, Economics, Business and Marketing, Vienna, Austria. https://books.google.ge/books?id=K4M_DwAAQBAJ&printsec=frontcover&dq=iac+proceedings+2017&hl=ka&sa=X&ved=0ahUKewjenrDOWfzeAhVDYVAKHdzwAYYQ6AEISzAF#v=onepage&q=iac%20proceedings%202017&f=false

Analysis of the Current Projects in the Georgian Agricultural Sector

Nino Rukhaia-Mosemgvdlishvili,

Assistant Professor at

David Agmashenebeli National Defence Academy

nino.rukhaia@gmail.com

As the results of the survey show, small and medium farmers are not ready to engage and effectively use state initiatives, grant projects or other activities. This is confirmed by the fact that all the supporting projects are still used by medium and large farmers, or those persons who were engaged in a certain business-activity and wanted to expand it. Theoretically, it is not bad and may be good on one hand, but the efficient development of the field is possible only through the scale effect and for this it is necessary to have small agricultural lands in full engagement. Therefore, we believe that it is necessary to improve communication with small and medium-sized farmers, with people living in the regions and agro-producers. In order to make these people massively engage in state programs, they need: more information in their understandable language; not general trainings on the design of the business plan, but experienced consultants to help them in the selection of legal forms, planning in production (agricultural consultant), etc.

In addition, during our empirical research, one more flaw was identified – different projects initiated by the state, which actually have one and the same targeted segments, require different legal forms of registration which causes more confusion among the peasants and strengthens their alienation from common initiatives. Uniformity of such type of activities is necessary.

Farmers should be convinced of the necessity of cooperatives and also the forms and means of the unions are to be elaborated. In our previous studies we published an agrarian cluster model [6, p. 111], which in our view is a more efficient way to unite. However, in the focus group, the research showed that farmers are not nearly ready to participate in similar “experiments”.

The most important – the way of the country’s development should be the production of bio (organic) products that will be exported to the European market. The European consumer is certain about product quality standards and along with the increase of living standards the demand for ecologically clean food products continues to grow. This is not a very fast market, as the resource for producing fresh products is limited, which in our opinion can become a competitive advantage for Georgia. In the case of correct agricultural and export policy, this will be a real, stable and profitable niche for Georgian products.

Promotion of bio-production development should be carried out through the farmers’ monetary compensation for environmental and sustainable development activities, setting premiums for non-use of chemical fertilizers, and most importantly, through the setting of high subsidized price on ripened products. The subsidized price should be set on products that have export potential. Decision on setting the price should be made on the basis of special studies and the demand of associations. In addition, the price should be reimbursed only when handing raw material in the processing plant. Formation of the market price should usually be made according to market laws.

Keywords: Bio-Production; Cooperative; Agro-Expor; Agrarian Sector; Farmers’ Disposition.

JEL Codes: Q10, Q11, Q13,

მცირე ბიზნესის ხელშეწყობის საგადასახადო პოლიტიკა საქართველოში

ინა ბუკია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
izabukia@yahoo.com

საქართველოში მენარმეობის განვითარებისთვის და განსაკუთრებით, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმეებისთვის რიგი მასტიმულირებელი ქმედება ხორციელდება საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებით.

მცირე ბიზნესის სტატუსი საქართველოში საგადასახადო კოდექსით განისაზღვრა და 2011 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა, რათა გადასახადის გადამხდელებს, რომლებსაც შედარებით დაბალი ერთობლივი შემოსავალი ჰქონდათ, გარკვეული შეღავათებით ესარგებლათ. სტატუსის შემოღების შემდეგ, გადასახადის გადამხდელების სასარგებლოდ, 2018 წელს დამატებით ცვლილება განხორციელდა. თუმცა, აღნიშნული ცვლილებით, შეიძლება ითქვას, სახელმწიფო ბიუჯეტმა დაკარგა გარკვეული შემოსავლები, ასევე შეიქმნა გარკვეული რისკ-ფაქტორები, რამაც შესაძლოა სახელმწიფოს შემოსავლები დამატებით შეუმციროს.

საკვანძო სიტყვები: მცირე ბიზნესი; საგადასახადო პოლიტიკა; ბიუჯეტი; საგადასახადო კანონმდებლობა.

თავდაპირველად, როდესაც საგადასახადო კანონმდებლობაში შემოღებულ იქნა მცირე ბიზნესის სტატუსი (2011წ), ის შეიძლებოდა მინიჭებოდა მენარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან (საქართველოს მთავრობას უფლება აქვს აკრძალოს ცალკეული საქმიანობის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მცირე ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს მენარმე ფიზიკურ პირს) მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში 100 ათას ლარს არ აღემატებოდა [1, გვ. 69. მუხლი 88], დასაბეგრი შემოსავალი კი 5%-ით იბეგრებოდა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკურ პირს ერთობლივი შემოსავლის 60% ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები ჰქონდა, ის 3%-ით იბეგრებოდა [1. გვ. 70. მუხლი 90]. იმ შემთხვევაში, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმის დასაბეგრი შემოსავალი გადააჭარბებდა 100 ათას ლარს, მაშინ მას ჰქონდა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება, რაც თავის მხრივ, მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებას გულისხმობდა [1, გვ. 71, მუხლი 92].

2018 წლის 1 ივლისს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება და ერთობლივი შემოსავლის ზღვარი 100 ათასი ლარიდან 500 ათას ლარამდე გაიზარდა. დასაბეგრი შემოსავალი 5%-ის ნაცვლად 1%-ით იბეგრება, თუმცა, 3%-იანი განაკვეთით იბეგრება იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა მისმა ერთობლივმა შემოსავალმა 500 ათას ლარს გადააჭარბა. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი დადგენილი განაკვეთით იბეგრება შესაბამისი თვის (ერთობლივი შემოსავლის 500 ათას ლარიანი ზღვრის გადაჭარბების დაფიქსირების შემთხვევაში) დასაწყისიდან კალენდარული წლის დასრულებამდე [2, გვ 84, მუხლი 90]. თუმცა, მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება, თუ პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა 2 კალენდარული წლის მიხედვით, თითოეული კალენდარული წლის განმავლობაში 500 ათას ლარს გადააჭარბა [2, გვ 84, მუხლი 89]. რაც შეეხება დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციას, ის წინააღმდეგობაში არ მოდის მცირე ბიზნესის სტატუსთან, როგორც ეს პირველ შემთხვევაში იყო.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იმ მენარმეებმა, რომლებსაც მცირე ბიზნესის სტატუსი აქვთ მინიჭებული, საგადასახადო პოლიტიკით გატარებული ღონისძიებების შედეგად მკვეთრად გამოხატული შელავათები მიიღეს, რაც გამოიხატა, როგორც ერთობლივი შემოსავლის ზღვრის გაზრდით, ასევე დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთის შემცირებით (იხ. ცხრილი).

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმეების, დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთისა და ერთობლივი შემოსავლის მაქსიმალური ზღვრის შედარება 2011-2018 წლებში

| მცირე ბიზნესი | 01.01.2011 | 01.07.2018 |
|---|--|---|
| დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთი | 5% | 1% |
| ერთობლივი შემოსავლის მაქსიმალური ზღვარი | 100 ათასამდე | 500 ათასამდე |
| მცირე ბიზნესი | 01.01.2011 | 01.07.2018 |
| დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთი | 3% | 3% |
| შენიშვნა | იმ შემთხვევაში, თუ მენარმეს აქვს ერთობლივი შემოსავლის 60%-ის ოდენობის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი | იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა მისმა ერთობლივმა შემოსავალმა 500 ათას ლარს გადააჭარბა. |

რაც შეეხება საქმიანობის იმ სახეობებს, რომლის განხორციელების შემთხვევაში მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება არის აკრძალული, ხოლო უკვე მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირს, უუქმდება აღნიშნული სტატუსი, არის შემდეგი:

„1. საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას, გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 26¹ პუნქტით გათვალისწინებული („საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვა“) საქმიანობისა;

2. საქმიანობები, რომელთა განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას (აქციზური საქონლის წარმოება);

3. სავალუტო ოპერაციების განხორციელება;

4. სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა;

5. სათამაშო ბიზნესი;

6. პერსონალით უზრუნველყოფა;

7. აქციზური საქონლის წარმოება” [3, გვ. 4, დანართი №4].

საქართველოში მცირე ბიზნესის სტატუსი დაახლოებით 120 ათასამდე მენარმე ფიზიკურ პირს გააჩნია [4], აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ამ გადამხდელების წახალისება სხვადასხვა შეღავათით. მიუხედავად რაოდენობისა, მოცემული კატეგორიის გადასახადის გადამხდელებისგან მიღებული საგადასახადო შემოსავლები მნიშვნელოვან გალენას არ ახდენს საერთო საგადასახადო შემოსულობებზე, რადგან ამ ცვლილების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს დაახლოებით 40 მლნ ლარი დააკლდება [5]. ზოგადად, მცირე მენარმეობის წილი კი ეკონომიკურ ბრუნვაში დაახლოებით 6%-ს შეადგენს [6].

რაც შეეხება რისკ-ფაქტორებს, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ამ საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ და რამაც შესაძლოა დამატებით შეამციროს საგადასახადო შემოსავლები საშემოსავლო გადასახადის წრილში, მდგომარეობს შემდეგში: მომსახურების სფეროში, მაგ: სამშენებლო ბიზნესში, პირებს, რომლებიც სარემონტო მომსახურებაზე არიან დასაქმებულები, შეუძლიათ მიიღონ მცირე ბიზნესის სტატუსი, რაც არ შედის აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალში, ხოლო დამქირავებელი (ამ შემთხვევაში სამშენებლო კომპანია) აღარ დაბეგრავს საშემოსავლო გადასახადით, ანუ ნაცვლად 20%-ისა (საშემოსავლო გადასახადი) დაიბეგრებიან 1%-ით (მცირე ბიზნესის სტატუსი). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს არის საკმაოდ დიდი რისკი იმისა, რომ ბიუჯეტში შემოვიდეს უფრო ნაკლები შემოსავლები საშემოსავლო გადასახადის წრილით, ვინემ დაგეგმილია. ასევე, რისკ-ფაქტორად შეგვიძლია განვიხილოთ ინფორმაციის ნაკლებობა, რაც გამოიხატება შემდეგში: მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე გადასახადის გადამხდელებს უფლება აქვთ დეკლარაციაში არ მიუთითონ ინფორმაცია სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთების შესახებ, ასევე ფასნამატის შესახებ და ა.შ. იქიდან გამომდინარე, რომ მას აქვს უკვე ინფორმაციული ხასიათი და არ არის სავალდებულოდ შესავსები ველები, რაც თავის მხრივ, გართულებს შემოსავლების სამსახურისთვის გადასახადის გადამხდელების (მცირე ბიზნესის სტატუსის საქმიანობის ფარგლებში) შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და შესაბამისად გაკონტროლებას.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესს აქვს დიდი წილი ზოგადად ბიზნესსექტორში, როგორც შემოსავლების, ასევე დასაქმებულების კუთხით, და შესაბამისად, დიდი ყურადღება ექცევა მის განვითარებას, თუმცა, საქართველოში ჯერ-ჯერობით მცირე ბიზნესის წილი უმნიშვნელოა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იზრდება მხარდაჭერა მცირე ბიზნესის მიმართ საქართველოში სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებით, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის შეღავათს, როგორც იყო მაგ: მიკრო, მცირე და ფიქსირებული სტატუსების შემოღება და შესაბამისად, სხვადასხვა ტიპის შეღავათის მიცემა სტატუსების მიხედვით.

აღნიშნული საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმეებისთვის, როგორც ერთობლივი შემოსავლის ზღვრის გაზრდას, ასევე დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთის შემცირებას, ბუნებრივია, დიდი სტიმულია მოცემული კატეგორიის მენარმეებისთვის, თუმცა, ასევე საჭიროა დინამიკაში მოხდეს დაკვირვება, ხომ არ გამოვლინდება ამ საკანონმდებლო ცვლილების შემდგომ რაიმე დამატებითი რისკ-ფაქტორი, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზებას. თუმცა, ზემოთ ხსენებული რისკ-ფაქტორი (რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს საშემოსავლოს გადასახადზე) უნდა იყოს დაკვირვების ობიექტი დინამიკაში, რათა უკვე მოსალოდენლი შემცირებული შემოსავალი ბიუჯეტში, კიდევ უფრო არ შემცირდეს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი, 2010. 2011 წლის 12 მარტის მდგომარეობით.
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი, 2010. 2018 წლის 07 დეკემბრის მდგომარეობით.
3. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილება „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“
4. www.rs.ge – შემოსავლების სამსახური
5. <http://eugeorgia.info/ka/> – Europe for Georgia
6. www.parliament.ge – საქართველოს პარლამენტი

Supporting Tax Policy for Small Business in Georgia

Iza Bukia

Doctoral Student at

Iv. Javakishvili Tbilisi State University

izabukia@yahoo.com

There are a number of stimulating actions in the direction of tax policy for entrepreneurs who have an entrepreneurial and especially small business status in Georgia. The status of small business in Georgia was determined by Tax Code and entered into force on 01 January 2011 in order to take advantage of certain preferences for taxpayers who had a relatively low level of income. However, it is noteworthy that after the introduction of the status additional amendment has been made in favor of taxpayers in 2018. However, in this regard we can say that the state budget has lost its revenues and there are also some risk factors that could further reduce the state revenues.

On July 1, 2018, the amendment has been made into the Tax Code and the joint revenue margin has increased from 100 000 GEL to 500 000 GEL. While taxable income is taxed by 1% instead of 5%, however, the rate is changed to 3% if its joint income from economic activity exceeds 500,000 GEL.

There are about 120 000 entrepreneurs who have small business status in Georgia, therefore, it is important to encourage these taxpayers with different benefits, because quantitative terms are relatively voluminous.

As for the risk factors that can be identified after this legislative amendment and that could additionally reduce the tax revenue within income tax, here lies the following: in the field of service, e.g. in a construction business, persons employed in a repair service, they can be granted the status of small business, which does not include the list of prohibited activities, and the employer (in this case the construction company) will no longer be taxed with income tax, instead of 20% (income tax) will be taxed by 1% (small business status). Therefore, we can conclude, it is a big risk that the budget will likely receive less income taxes than it is planned. We can also consider the lack of information as a risk factor, taxpayers with small business status have the right not to indicate the information on the balance, as well as the price tag, etc. Based on the fact that it is an informative character and is not obliged to fill the fields, which in turn will complicate the collection of information about taxpayers (within the scope of small business status) for the Revenue Service and to monitor it accordingly.

However, the above-mentioned risk factor (which can affect the tax on income) should be an object of observation in dynamics, since the expected income having been already reduced in the budget, would not be decreased even more.

Keywords: Small Business; Tax Policy; Budget; Tax Legislation.

JEL Codes: H20, H25, H29

მარკეტინგი ✧ მენეჯმენტი ✧ ტურიზმი
MARKETING ✧ MANAGEMENT ✧ TOURISM

საკადრო პოლიტიკისა და ადამიანური რესურსების სტრატეგიული
მართვის სრულყოფისათვის

ნუზზარ პაიჭაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
nugzarpaichadze@mail.ru

საკადრო პოლიტიკაში აირეკლება საზოგადოების ყველა დონეზე მართვის სუბიექტის მნიშვნელოვანი პოზიციები ადამიანთა მიმართებით. ის განსაზღვრავს ორგანიზაციაში ადამიანის პროფესიული შესაძლებლობების მართვის შინაარსს. საკადრო პოლიტიკა აძლევს ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკას სისტემურობას, მეცნიერულობას, მიმართებას, გეგმიანობას. სწორედ აღნიშნულ პრობლემაზეა შესრულებული წინამდებარე სტატია. მასში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა: საკადრო პოლიტიკა და ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა; არსი, დონეები, სტრატეგიის ფორმირება, განვითარება და რეალიზაცია. საქართველოში მართვის სხვადასხვა დონეზე საკადრო პოლიტიკისა და ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის არსებული მდგომარეობის კრიტიკული ანალიზიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია ზოგიერთი კონკრეტული წინადადება.

საკვანძო სიტყვები: საკადრო პოლიტიკა; საკადრო პოლიტიკის დონეები; ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა; ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის კონცეფცია; განვითარება და რეალიზაცია.

საკადრო პოლიტიკა და ადამიანური რესურსების სტრატეგიული
მართვა:

საკადრო პოლიტიკაში იგულისხმება ადამიანურ რესურსებთან მუშაობის მიმართულებების განმსაზღვრელი თეორიული შეხედულებების, იდეების, მოთხოვნებისა და პრინციპების სისტემა, მისი ფორმები და მეთოდები. ის განსაზღვრავს კადრებთან მუშაობის გენერალურ მიმართულებას და საფუძვლებს. თეორიული ცნობიერების დონეზე მასში ხშირად მოიაზრებენ მართვის სუბიექტის საქმიანობას კადრებთან მი-

მართებით. ყველაზე ზოგადი გაგებით, ესაა მართვის სუბიექტის ინტერესებითა და მიზნებით განპირობებული მისი (მართვის სუბიექტის) საქმიანობა და ურთიერთობათა სისტემა კადრებისა და საკადრო პოტენციალთან მიმართებით

საკადრო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია: 1) ორგანიზაციის უზრუნველყოფა მაღალი ხარისხის სამუშაო ძალით. ის მოიცავს კადრების დაგეგმვას, მოზიდვას შერჩევას, დაქირავებას, განთავისუფლებას, პენსიაზე გასვლას და ა. შ.; 2) მომუშავეთა განვითარება-პროფორიენტაცია, კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, სამსახურებრივი ატესტაციის ჩატარება, სამსახურებრივი გადაადგილებების ორგანიზაცია და სხვ.; 3) შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ორგანიზება, უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფა, სოციალური უზრუნველყოფა და ა. შ.

საკადრო პოლიტიკის არსებობის აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: ა) შრომის შინაარსსა და ხასიათთან, მის დანაწილებასა და ორგანიზაციასთან დაკავშირებული ფაქტორები; ბ) მართვის სუბიექტების საქმიანობის მოწესრიგებასთან დაკავშირებული ფაქტორები; გ) ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებთან, მათ ეკონომიკურ სტრატეგიასთან დაკავშირებული ფაქტორები.

თანამედროვე საკადრო პოლიტიკა, წინა პერიოდისაგან განსხვავებით, მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: შრომითი კონფლიქტები, ურთიერთობები ადმინისტრაციასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, სოციალური პროგრამები და მისი როლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში და ა. შ.

საკადრო პოლიტიკა საზოგადოების სოციალური მართვის მთავარი შემადგენელი ნაწილია. სოციალური პრაქტიკა ხასიათდება მრავალმხრივობით, რაც განაპირობებს სოციალური და, შესაბამისად, საკადრო პოლიტიკის მართვის მრავალმხრივობას. საზოგადოების მასშტაბით სოციალური მართვის სუბიექტია სახელმწიფო, როგორც სოციალური ინსტიტუტი. მისი უპირველესი ფუნქციაა: საზოგადოების მთლიანობის, ადამიანის განვითარებისა და და მისი უსაფრთხო ცხოვრების უზრუნველყოფელი საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგება. მოცემულ შემთხვევაში, ცხადია, საქმე გვაქვს სახელმწიფო საკადრო პოლიტიკასთან.

სახელმწიფო საკადრო პოლიტიკა მოიცავს რეგიონულ სახელმწიფო პოლიტიკას, რომლის საფუძველზე ფორმირებულია მუნიციპალური საკადრო პოლიტიკა. მოცემულ შემთხვევაში საკადრო პოლიტიკის სუბიექტებია სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. მათი მოქმედების ობიექტებია სახელმწიფო და მუნიციპალური სამსახურების კადრები. ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, თითოეული სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანო (სამინისტროები, უწყებები, მერიები, მუნიციპალური საკრებულოები და სხვ.) ვალდებულია, ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, გააჩნდეს კარგად დამუშავებული საკადრო პოლიტიკის კონცეფცია.

საკადრო პოლიტიკა მუშავდება, აგრეთვე, ორგანიზაციებში. მოცემულ შემთხვევაში საკადრო პოლიტიკის სუბიექტებია მათი მართვის ორგანოები. ბიზნესის ორგა-

ნიზაციებში, როგორც წესი, ესაა სააქციო საზოგადოებათა სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭო ან ორგანიზაციების ხელმძღვანელები. ისინი მოქმედებენ სახელმწიფოს არსებული სამართლებრივი აქტების და მათი სტატუსისა და ფუნქციონირების შესახებ არსებული აქტების შესაბამისად. მსხვილ დასავლურ ფირმებში საკადრო პოლიტიკა და მისი მნიშვნელოვანი მიმართულებები, ჩვეულებრივ, ოფიციალურად ცხადდება და ფიქსირდება ზოგადკორპორაციულ დოკუმენტებში-მემორანდუმში, ინსტრუქციებში და ა. შ. [1, გვ. 40].

გამოყოფენ საკადრო პოლიტიკის, როგორც სოციალური მოვლენის, შემდეგ დონეებს: 1) სახელმწიფო საკადრო პოლიტიკა; 2) სახელმწიფო მმართველობის (სამინისტროებისა და უწყებების) საკადრო პოლიტიკა; 3) მუნიციპალური ორგანოების საკადრო პოლიტიკა და 4) ორგანიზაციების საკადრო პოლიტიკა.

საკადრო პოლიტიკის თითოეულ დონეს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებები. **სახელმწიფო საკადრო პოლიტიკა** სხვა დონის საკადრო პოლიტიკისაგან იმით განსხვავდება, რომ ის ფორმირდება მთელი ქვეყნის სოციალური განვითარების ტენდენციების შესწავლის საფუძველზე და წამოადგენს საზოგადოების ლეგიტიმურ სახელმწიფო სოციალურ ინსტიტუტს, რომელიც მოწოდებულია მართვის ყველა დონისათვის განსაზღვროს საკადრო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. ის ადგენს საკადრო პოლიტიკის დამუშავების ყველაზე ზოგად სამართლებრივ საფუძველს, რომლის შესრულება სავალდებულოა მართვის ყველა სხვა დონის სუბიექტისათვის. სახელმწიფო საკადრო პოლიტიკის ობიექტებია: საზოგადოების საკადრო პოტენციალი, შრომითი და საკადრო ურთიერთობათა ფორმირების ზოგადი პრინციპები, სახელმწიფო მოსამსახურენი, მომუშავეთა ინტერესების დაცვის მექანიზმის დამუშავება და ა.შ. სახელმწიფო ადგენს საგანმანათლებლო სტანდარტებს, განათლებისა და თვითგანათლების ფორმებს. შრომის კოდექსში და სხვა სამართლებრივ აქტებში მოცემულია დაქირავების, სამუშაოდან განთავისუფლებისა და სხვა მსგავს საკითხთა მარეგულირებელი დებულებები. ამით სახელმწიფო ქმნის პირობებს საზოგადოების საკადრო პოტენციალის ფორმირებისა და განვითარებისათვის, რაც გამოიყენება საკადრო პოლიტიკის სხვა დონეების სუბიექტების მიერ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო საკადრო პოლიტიკა-ესაა სახელმწიფოს სტრატეგია საზოგადოების საკადრო პოტენციალის კვლავნარმოებაზე, ადამიანების შრომის ეფექტიანობის ამაღლებასა და მათი უფლებების დაცვაზე.

საზოგადოებაში მიმდინარე დემოკრატიულ და სხვა ცვლილებებს თან უნდა ახლდეს სახელმწიფო საკადრო პოლიტიკის ტრანსფორმაცია. ხელისუფლებისათვის ან მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლის საშუალებიდან, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა პერიოდში, ის უნდა გადაიქცეს საზოგადოების უძვირფასესი კაპიტალის_დამიანის პროფესიულ შესაძლებლობათა რაციონალური ორგანიზაციის სოციალური მართვის საშუალებად. ამასთან, აუცილებელია სახელმწიფო საკადრო პოლიტიკას

ახორციელებდეს არა ნმინდა ადმინისტრაციული მეთოდებით, არამედ მის შესახებ სამართლებრივ-ნორმატიული ნორმების დადგენით, რომელმაც ასახვა უნდა პოვოს შესაბამის კანონმდებლობაში.

სხვა დონის ყველა საკადრო პოლიტიკას გააჩნია რიგი თავისებურება. ყველა ისინი მუშავდება სახელმწიფო საკადრო პოლიტიკის კონცეპტუალურ დებულებათა გათვალისწინებით. მაგალითად, როცა საკითხი ეხება ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო პროფესიული სწავლების განვითარებას, სასწავლო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებს. მისი შესრულება შესაბამის სასწავლო დანერგულებებს საშუალებას აძლევს მიაღწიოს ადამიანებს შესაბამისი სერტიფიცირებული კვალიფიკაცია. რაც შეეხება პერსონალის დაქირავების სფეროში საკადრო პოლიტიკას, სახელმწიფო არამარტო ახდენს რიგი დებულებების დეკლარირებას, არამედ ადგენს შესაბამის სამართლებრივ საფუძვლებს, რაც უნდა აისახოს მართვის სხვა დონეების (მუნიციპალურ და ორგანიზაციების) სუბიექტების საკადრო პოლიტიკაში. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მოქმედებს კანონი დასაქმების შესახებ, კანონი შრომითი უფლებების დაცვაზე, კანონი დასაქმებისას სქესობრივი დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ და ა. შ. [2, გვ. 27)].

კომპანიებში (კორპორაციებში, ფირმებში, საწარმოებში და ა. შ.) **საკადრო პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლებია:** 1) ორგანიზაციის სტრატეგიასთან კავშირი; 2) პერსპექტიულ დაგეგმვაზე ორიენტაცია; 3) პერსონალის როლის განსაკუთრებული მნიშვნელობა; 4) მომუშავეთა მიმართებაში ფირმის (საწარმოს და ა.შ.) ფილოსოფია და ა. შ. პერსონალთან მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტრატეგიულ ასპექტებს. **ორგანიზაციის საკადრო პოლიტიკის ნარმატების სტრატეგიული ასპექტებია:** ა) ორგანიზაციის მუშაობის ორიენტაცია ბაზარზე; ბ) კლიენტების მომსახურება შესაბამისი პროგრესული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით; გ) პროდუქციისა და მომსახურების მაღალი ხარისხი; დ) სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის შედეგების გამოყენება; ე) ეკონომიკური პასუხისმგებლობის გრძნობა; ვ) კვალიფიციური საკადრო პოტენციალი; ზ) მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურები.

ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის სუბიექტებია ორგანიზაციის პერსონალის მართვის სამსახური და უმაღლესი ხაზობრივი და ფუნქციური ხელმძღვანელობა, ხოლო მისი ობიექტებია: ორგანიზაციის ერთობლივი შრომითი პოტენციალი, მისი განვითარების დინამიკა, სტრუქტურები და მიზნობრივი ურთიერთკავშირები, პოლიტიკა ადამიანური რესურსების მართვისთან მიმართებით, ადამიანური რესურსების მართვის ტექნოლოგიები და პრინციპები. ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის ობიექტად განიხილება, აგრეთვე, პერსონალის ისეთი არსებითი მაჩვენებლები, როგორიცაა: ცოდნა, უნარ-ჩვევები, ქცევისა და ფასეულობათა ნორმები, პროფესიულ-კვალიფიკაციური, იერარქიული და დემოგრაფიული სტრუქტურები, პერსონალის მართვის ტექნოლოგიები. ერთობლიობაში ისინი წარმოადგენენ ორგანიზაციის შრომით პოტენციალს.

ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავებისათვის აუცილებელია სათანადო ცოდნით აღჭურვილ ადამიანთა ერთობლივი მუშაობა. ამ მიზნით, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ფირმებში (საწარმოებში და ა. შ.), როგორც წესი, იქმნება სპეციალური ჯგუფები. მასში შედის 10-15 კაცი (ძირითადად ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები, შრომითი კოლექტივის წარმომადგენლები, გარეკონსულტანტები და სხვ.). მათ მიერ მუშავდება ორგანიზაციის ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის ფუძემდებლური პრინციპები და მისი ალტერნატიული მოდელები. ცხადია, სტრატეგიის ფორმირებისას შეუძლებელია ყველაფრის გათვალისწინება. ნებისმიერ მომენტში, როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე მის გარეთ, შეიძლება წარმოიშვას ახალი მოვლენები. ასეთ შემთხვევაში არაა საჭირო მთელი სტრატეგიის შეცვლა, საკმარისია მასში სათანადო ცვლილებების შეტანა. ხშირად, მონიწივე ორგანიზაციებს, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, აქვთ არა ერთი, არამედ რამდენიმე სტრატეგია. მათ შორის წამყვანია **გენერალური სტრატეგია**, რომელიც მოიცავს ორგანიზაციის მისიის განხორციელების წესებსა და გზებს. თითოეული განსაკუთრებული შემთხვევისათვის ამუშავებენ სპეციალურ სტრატეგიებს [3, გვ. 139].

სტრატეგიული როლიდან გამომდინარე, **ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის კონცეფციის ძირითადი ამოსავალი პრინციპებია**: 1) ადამიანური რესურსების მართვის ინტეგრაცია ბიზნესის სტრატეგიასთან; 2) მომუშავის განვითარების განსაზღვრაში პიროვნების მზარდი როლი; 3) ჯგუფებისა და მომუშავეების მოტივაციური განწყობის ცოდნა და მისი მართვა. საბაზრო ეკონომიკის ახლანდელ პირობებში ადამიანური რესურსების მართვა, კადრების ადმინისტრირების კლასიკური ამოცანების შენარჩუნებასთან ერთად, უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ძირითად სტრატეგიულ კონცეფციას. ის ორგანულად უნდა იყოს შერწყმული ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიასთან. ამასთან ერთდ, აუცილებელია ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორიცაა: ორგანიზაციის გრძელვადიანი განვითარება, საფინანსო წონასწორობის შენარჩუნება, საბაზრო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, მიღებული დადებითი შედეგების განმტკიცება და ა. შ.

ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პერსონალის, განსაკუთრებით ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების, **კომპეტენტურობის** ამაღლებას [4, გვ.35]. იზრდება, აგრეთვე, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურების მნიშვნელობა, რომელთა უპირველესი ამოცანაა ადამიანური რესურსების მართვის ტექნოლოგიების დამუშავება.

ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის მთავარი ამოცანაა ორგანიზაციის **კონკურენტუნარიანი შრომითი კოლექტივის ფორმირება**. ამის მიხედვით, მისი ყველა ფუნქცია შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგ სამ მიმართულებად: 1) ორგანიზაციის უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური შრომითი პოტენციალით; 2) შრომითი პოტენციალის განვითარება; 3) შრომითი პოტენციალის კვლავწარმოება.

ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა ორმაგი ხასიათისაა. ერთი მხრივ, ის ორგანიზაციის სტრატეგიული მართვის ჩარჩოებში ერთ-ერთი ფუნქციური მიმართულებაა, ხოლო მეორე მხრივ, მისი რეალიზება ხდება პერსონალის მართვის კონკრეტული ფუნქციების საშუალებით, რაც მიმართულია პერსონალის მართვის სტრატეგიის შესასრულებლად. ამ თვალსაზრისით, ის პერსონალის მართვის სისტემის ფუნქციური ქვესისტემაა.

ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტადიაა **პერსონალის მართვის სტრატეგიის რეალიზაცია**. მისი მთავარი მიზანია ორგანიზაციის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და, მათ შორის პერსონალის მართვის სისტემის სტრატეგიული გეგმების კოორდინირებული დამუშავებისა და რეალიზაციის უზრუნველყოფა. სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში წყდება შემდეგი ამოცანები: 1) ადგენენ ორგანიზაციულ ამოცანებს შორის პრიორიტეტულს, რაც უნდა შეესაბამებოდეს ადამიანური რესურსების მართვის იმ სტრატეგიას, რომელიც რეალიზდება ორგანიზაციისა და ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მიერ. ეს, უპირველეს ყოვლისა, ისეთ ამოცანებს ეხება, როგორცაა: 1) რესურსების განაწილება, ინფორმაციული, ნორმატიულ-მეთოდოლოგიური, სამართლებრივი და სხვა ქვესისტემების შექმნა; 2) დგინდება შესაბამისობა პერსონალის მართვის არჩეულ სტრატეგიასა და შიგარგანიზაციულ და პერსონალის მართვის სისტემის შიგა პროცესებს შორის. მისი მიზანია ორგანიზაციის საქმიანობის ორიენტირებულობის უზრუნველყოფა არჩეული სტრატეგიის განხორციელებასთან; 3) ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიისათვის აუცილებელი და შესაბამისი ხელმძღვანელობის სტილის არჩევა, როგორც მთელი ორგანიზაციის, ასევე, ცალკეული ქვედანაყოფისათვის.

ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის წარმატებით რეალიზაცია დიდადა დამოკიდებული ზემოაღნიშნული ამოცანების შესრულებაზე, რომელშიც, როგორც წესი, ჩართულია ორგანიზაციის მრავალი სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაკები. ამდენად, ყველა დონის ხელმძღვანელი სტრატეგიის შემსრულებელია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში [5, გვ.155]. აღნიშნული პროცესი ორი ეტაპისაგან შედგება: 1) სტრატეგიის დანერგვა და მის რეალიზაციაზე სტრატეგიული კონტროლი; 2) კოორდინაცია კონტროლის შედეგებიდან გამომდინარე მოქმედებებზე.

არსებული ნაკლოვანებების დაძლევის ძირითადი მიმართულებები

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას თან ახლდა მართვის ყველა დონეზე საკადრო პოლიტიკაში მრავალი პოზიტიური ცვლილება. ის ძირითადად გამომწვეული იყო, სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სახელმწიფო-ადმინისტრაციული მეთოდებით რეგულირებიდან, პროგრამულ-ნორმატიულ რეგულირებაზე გადასვლით, რაც გულისხმობს ნორმატიული აქტების (კანონები, ბრძანებულებები, დადგენილებები და ა. შ.) მეშვეობით სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სუბი-

ექტებისათვის მოქმედების საზღვრების დადგენას. ასეთი ნორმატიული აქტებია: შრომითი კანონმდებლობის საფუძვლები, კანონი «დასაქმების შესახებ» (რომელიც საქართველოში 2006 წლამდე არსებობდა და უსაფუძვლოდ გააუქმეს), საპენსიო კანონმდებლობა, ნორმატიული აქტები მოსახლეობის ცალკეული კატეგორიისათვის, სოციალური და შრომითი უფლებების დაცვის შესახებ, პროფესიული კავშირების შესახებ და ა. შ. სამწუხაროდ, საქართველოში საკადრო პოლიტიკის სფეროში, მის ყველა დონეზე, საკმაოდ ბევრი ნაკლოვანებაა. მათ შორისაა:

1) მართვის ყველა დონეზე ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა საკადრო პოლიტიკის შემუშავებას. იშვიათად ხდება მათი დაყვანა ორგანიზაციის ყველა მომუშავემდე და მისი ძირითადი მომენტების განხილვა შრომით კოლექტივებში. მასში, როგორც წესი, იშვიათად მონაწილეობენ გარედან მოწვეული სპეციალისტები და შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო ორგანიზაციები;

2) ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილის საკადრო პოლიტიკის დეკლარირებული მიზნები ხშირად ვერ პასუხობს მისი (ორგანიზაციების) განვითარების სტრატეგიას. ისინი უმეტესად ეხება მოქმედებათა უახლოეს პერიოდს და ნაკლები ყურადღება ექცევა ხანგრძლივი პერიოდისათვის გათვალისწინებულ მიზნებს;

3) ორგანიზაციების ნაწილში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა საკადრო პოლიტიკის წარმატების ისეთ სტრატეგიულ ფაქტორებს, როგორცაა: ორგანიზაციის მუშაობის ორიენტაცია ბაზარზე; სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების გამოყენება; ეკონომიკური პასუხისმგებლობის ამაღლება და ა. შ. ;

4) ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არაა დამუშავებული ადმინისტრაციული რესურსების სტრატეგიული მართვის ტექნოლოგია. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს არასასურველი პრობლემების წარმოშობას ადმინისტრაციული რესურსების მართვის სისტემაში;

5) მართვის ყველა დონეზე, საკადრო პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავებისას, ნაკლები ყურადღება ექცევა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების კომპეტენტურობის ამაღლებას. უმეტესად, სწორედ ამ უკანასკნელთა ნაკლებკომპეტენტურობითაა გამოწვეული ნაკლოვანებანი საკადრო პოლიტიკის დაგეგმვა-შემუშავებასა და განხორციელებაში;

6) დღეს ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ახორციელებს არა აქტიურ საკადრო პოლიტიკას, არამედ გვევლინება სამუშაო ძალის პასიური მომხმარებლის როლში და მხოლოდ ისეთი საკითხებითაა დაკავებული, როგორცაა: თანამშრომელთა სამუშაოზე მიღება და სამუშაოდან გათავისუფლება, მათი თანამდებობრივი გადაადგილებები, საშტატო განრიგის შედგენა-დამტკიცება და ა. შ. ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები კი, როგორცაა: პერსონალის ქცევის მართვა, კონფლიქტების მართვა, შრომის ანაზღაურების მართვა და ა. შ. ყურადღების მიღმა რჩება;

7) სამწუხაროდ, არც ისე იშვიათია შემთხვევა, როცა მართვის სხვადასხვა დონეზე საკადრო პოლიტიკა ხორციელდება არა სამართლებრივ-ნორმატიული, არამედ წმინდა ადმინისტრაციული მეთოდებით;

8) საზოგადოებაში მიმდინარე დემოკრატიულ და სხვა სახეობის ცვლილებებს ყოველთვის არ ახლავს საკადრო პოლიტიკის ტრანსფორმაცია. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ 2004 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „უმალესი განათლების შესახებ“ და მისგან გამომდინარე სხვადასხვა სამართლებრივი აქტი თავიდანვე შეიცავდა მრავალ ნაკლს, ის, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ხელუხლებელი დარჩა და მოქმედებაშია დღესაც [6, გვ. 9] მაშინ, როცა ამ კანონის მიღების შემდეგ ქვეყანაში განხორციელდა მრავალი დემოკრატიული ცვლილება და განათლებისა და მეცნიერების მართვაში დაგროვდა მრავალი მდიდარი გამოცდილება. სამწუხაროდ, სხვა მრავალი მსგავსი მაგალითის მოტანა შეიძლება;

9) საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს ეფექტიანი საკადრო პოლიტიკა დასაქმების სფეროში. ძირითადად, სწორედ ამითაა გამოწვეული, რომ ქვეყანაში უკანასკნელ წლებში დასაქმების სახელმწიფო რეგულირების მიმართულებით, მდგომარეობა არათუ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა კიდევ [7, გვ.9]. 2005 წელს გაუქმდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შემადგენლობაში ფუნქციონირებადი შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი. როგორც აღნიშნეთ, 2006 წელს, ასევე, გაუქმდა კანონი „დასაქმების შესახებ“ და მისგან გამომდინარე უმუშევართა პროფესიულ მომზადება-გადამზადებასთან, უმუშევრებისთვის დახმარების დანიშვნასა და გაცემასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტები. ამავე წელს გაუქმდა დასაქმების სახელმწიფო სამსახური, რომლის ფუნქციები იყო უმუშევართა აღრიცხვა და მათი პროფესიული მომზადება-გადამზადება, უმუშევრებისათვის შემწეობის დანიშვნა და ა. შ. [8, გვ.29]; სამწუხაროდ, ე.წ. ვარდების რევოლუციის შედეგად მოსული ხელისუფლება ძირითადად დაკავებული იყო ისეთი „ცრუ დასაქმების პროგრამებით“ [9, გვ. 209], როგორცაა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სტუდენტების დასაქმების პროგრამა, სამუშაო ადგილებზე მომუშავეთა პროფესიული მომზადების პროგრამა და სხვ., რომლებსაც გარდა ფულადი სახსრების ფუჭად ხარჯვისა, დადებითი შედეგი არ მოყოლია.

10) ქვეყანაში ზოგიერთი სამინისტროს ფუნქციური სტრუქტურა ხშირად ვერ უზრუნველყოფს რაციონალური საკადრო პოლიტიკის გატარებას. ხშირია, სიახლეთა დანერგვის მომიზეზებით, სამინისტროების ერთმანეთთან მექანიკური მიერთება-გაყოფის, მათთვის ფუნქციების გამოკლება-მიმატების და სხვა დაუსაბუთებელი მოქმედებები. ასეთ არაეფექტიან სიახლეთა დანერგვა არათუ სასარგებლოა, არამედ საზიანოა საქმიანობის ცალკეულ სფეროში სწორი საკადრო პოლიტიკის გატარებისათვის. მაგალითად, სრულიად დაუსაბუთებელი იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის ისეთი ფუნქციების გადაცემა, როგორცაა კულტურისა და სპორტის მართვა, შრომის სამინისტროს შერწყმა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან და ა. შ. ასეთი გაუმართლებელი ინოვაციებისას, როგორც წესი, განსაკუთრებით ზიანდება საქმიანობის იმ სფეროების საკადრო პოლიტიკა, რომლებიც უერთდება სხვა სამინისტროებს. მაგალითად, შრომის სამინისტროს ჯანმრთელობის სამინისტროსთან შერწყმამ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მთლიანად მოშალა დასაქმების

რეგულირების სფეროში არსებული საკადრო პოლიტიკა. საქმე ისაა, რომ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, გამართლებულია, როცა ერთიანდება ფუნქციურად მომიჯნავე სამინისტროები და ყალიბდება ერთიანი და გამართული მართვის ახალი სისტემა, რასაც, მართვის ერთიანი რგოლებისა და სამსახურების ჩამოყალიბების შედეგად, მოყვება საქმიანობის არსებული სფეროს (სფეროების) მართვის სრულყოფა და ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეკონომია. სამწუხაროდ, ჩვენში ეს ასე არ ხდება. ხშირია შემთხვევა, როცა სამინისტროები ერთიანდება მხოლოდ მექანიკურად, რასაც თან არ ახლავს ახლადჩამოყალიბებული სამინისტროს მართვის ერთიანი სისტემის შექმნა. არის შემთხვევები, როცა ყოფილი სამინისტროების ზოგიერთი ფუნქციური სამსახური განაგრძობს ცალკე ფუნქციონირებას. უფრო მეტიც, ტერიტორიულადაც ძველ მისამართზე აგრძელებენ მუშაობას. ცხადია, მოცემულ შემთხვევაში, ასეთ ინოვაციებს მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოაქვს და ის ყოველად გაუმართლებელია.

საქართველოში, საკადრო პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განხორციელდეს ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა:

1) აუცილებელია მართვის ყველა დონეზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საკადრო პოლიტიკის შემუშავებას. რეგულარულად ხდებოდეს მათი ძირითადი მომენტების განხილვა შრომით კოლექტივში. მასში, საჭირო შემთხვევაში, უნდა მონაწილეობდნენ გარედან მონვეული სპეციალისტები და შესაბამისი სასწავლო და სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სასურველია, მსხვილ ორგანიზაციებში, შესაბამისი სპეციალისტებისა და მეცნიერების მონაწილეობით, როგორც ამას ადგილი აქვს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, შემუშავდეს ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის ალტერნატიული ვარიანტები, რომლებშიაც წამყვანი იქნება ე.წ. გენერალური სტრატეგია და ახალი შიგა და გარე გარემოებებიდან გამომდინარე, რეგულარულად შეიტანენ მასში ცვლილებას. ამასთან ერთად, თითოეული განსაკუთრებული შემთხვევისათვის სასურველია შემუშავდეს სპეციალური სტრატეგიები;

2) საკადრო პოლიტიკის დეკლარირებული ძირითადი მიზნები აუცილებლად პასუხობდეს ორგანიზაციის მისიასა და განვითარების კონცეფციას. პერსონალის მართვა ორგანულად უნდა იყოს შერწყმული ორგანიზაციის განვითარების კონცეფციასთან. ასეთმა პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს ორგანიზაციის გრძელვადიანი განვითარება, მისი საბაზრო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, საფინანსო წონასწორობის შენარჩუნება და მიღებული შედეგების განმტკიცება;

3) სათანადო ყურადღება მიექცეს საკადრო პოლიტიკის წარმატების ისეთ სტრატეგიულ ფაქტორებს, როგორიცაა: ა) ორგანიზაციის მუშაობის ორიენტაცია ბაზარზე; ბ) პროდუქციისა და მომსახურების მაღალი ხარისხი, გ) სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების გამოყენება; დ) ეკონომიკური პასუხისმგებლობის ამალგება; ე) კვალიფიციური საკადრო პოტენციალი; ვ) მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურები;

4) აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის ტექნოლოგიის უახლესი მეთოდების დამუშავე-

ბას, რომელშიაც წამყვანი როლი უნდა შეასრულოს პერსონალის მართვის სამსახურმა;

5) ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების კომპეტენტურობის ამაღლებას, რაც უზრუნველყოფს გამართული და სამართლიანი საკადრო პოლიტიკის შემუშავებასა და დამკვიდრებას ;

6) აუცილებელია მართვის ყველა დონის სუბიექტმა მეტი ყურადღება დაუთმოს აქტიური საკადრო პოლიტიკის განხორციელებას და არ მოგვევლინოს სამუშაო ძალის მხოლოდ პასიური მომხმარებლის როლში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მომავალზე ორიენტირებულ საკადრო პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა: პერსონალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი დაგეგმვა; 2) პერსონალზე დანახარჯების სტრუქტურირება; 3) საკადრო მარკეტინგი, 4) კვალიფიციური კადრების მომზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება; 5) ხელფასის ორგანიზაციის თანამედროვე პროგრესული ფორმებისა და სისტემების დანერგვა და ა. შ. [3, გვ.139-140];

7) აუცილებელია აღმოიფხვრას საკადრო პოლიტიკის განხორციელება წმიდებად ადმინისტრაციული მეთოდებით, რასაც, სამწუხაროდ, დღეისათვის, არც ისე იშვიათად, ადგილი აქვს მართვის ნებისმიერ დონეზე;

8) აუცილებელია საზოგადოებაში მიმდინარე დემოკრატიულ და სხვა სახეობის ცვლილებებს თან ახლდეს საკადრო პოლიტიკის ტრანსფორმაცია. მაგალითად, საჭიროა და აუცილებელიც 2004 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის – „უმალღესი განათლების შესახებ“ და მისგან გამომდინარე სამართლებრივი აქტების, რომლებიც თავიდანვე შეიცავდა მრავალ ნაკლს, მთლიანად განახლება, ანუ ახალი კანონის მიღება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება როგორც მასში ამჟამად არსებული ნაკლოვანებები, ასევე, 2004 წლის შემდეგ ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული და სხვა სახეობის ცვლილებები, განათლებისა და მეცნიერების მართვაში მდიდარი მსოფლიო გამოცდილება;

9) ქვეყანაში მოსახლეობის დასაქმების ინტერესებიდან გამომდინარე, სრულყოფილ იქნეს სახელმწიფო საკადრო პოლიტიკა დასაქმების სფეროში. დაიხვეწოს დასაქმების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა. ამ მიზნით, განხორციელდეს ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა: «დასაქმების შესახებ» კანონის (რომელიც არსებობდა და 2006 წელს გაუქმდა) მიღება, 2006 წლამდე სხვადასხვა სახელწოდებით (შრომის ბირჟა, დასაქმების სახელმწიფო სამსახური და სხვ.) ფუნქციონირებადი დასაქმების სახელმწიფო სამსახურის აღდგენა და ა. შ. [7, 2016, გვ.24];

10) სამინისტროებისა და უწყებების მიერ ეფექტიანი საკადრო პოლიტიკის გატარების ინტერესებიდან გამომდინარე, გაუმჯობესდეს მათი სტრუქტურა. შეწყდეს სამინისტროების ერთმანეთთან მექანიკურად მიერთება-გაყოფის, მათთვის ფუნქციების მიმატება-გამოკლების და სხვა დაუსაბუთებელი ქმედებები, რომლითაც,

როგორც უკვე აღნიშნული იყო, განსაკუთრებულად ზიანდება საქმიანობის იმ სფეროების საკადრო პოლიტიკა, რომლებიც უერთდება სხვა სამინისტროებს.

* * *

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეისათვის საქართველოში საკადრო პოლიტიკასა და ადამიანური რესურსების სტრატეგიულ მართვას მრავალი ნაკლოვანება გააჩნია. მართვის ყველა დონეზე საკადრო პოლიტიკის შემუშავებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილის საკადრო პოლიტიკის დეკლარირებული მიზნები ხშირად ვერ პასუხობს მისი (ორგანიზაციის) განვითარების კონცეფციას და, შესაბამისად, პერსონალის მართვა ორგანულად არაა შერწყმული მასთან. სათანადო ყურადღება არ ექცევა ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის ტექნოლოგიის დამუშავებას. ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ახორციელებს აქტიურ საკადრო პოლიტიკას. საზოგადოებაში მიმდინარე დემოკრატიულ და სხვა სახეობის ცვლილებებს ყოველთვის არ ახლავს საკადრო პოლიტიკის ტრანსფორმაცია. ქვეყანაში ფუნქციონირებადი სამინისტროებისა და უწყებების არსებული სტრუქტურა ხშირად ვერ უზრუნველყოფს რაციონალური საკადრო პოლიტიკის გატარებას და ა.შ.

დასასრულ, დასახელებულ ნაკლოვანებათა ანალიზის საფუძველზე, შემოთავაზებული წინადადებების განხორციელება, ავტორის აზრით, ხელს შეუწყობს მათ შეძირებას.

ლიტერატურა:

1. Веснин Р. Управление персоналом Теория и практики. М., 2008.
2. Турчинов А. и др. Управление персоналом. М., 2009.
3. პაიჭაძე ნ., ადამიანური რესურსების მართვა, თბ., 2019.
4. პაიჭაძე ნ. პროფესიული კომპეტენტურობა როგორც საჯარო მოსამსახურეთა მუშაობის ეფექტიანობის გადამწყვეტი ფაქტორი, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2015, №2.
5. პაიჭაძე ნ. პერსონალის მართვა, თბ., 2003.
6. პაიჭაძე ნ. ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს კანონზე „უმადლესი განათლების შესახებ“, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2015, №4.
7. პაიჭაძე ნ. უმუშევრობის პრობლემა საქართველოში და მისი დაძლევის გზები, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2016, №1.
8. ტულუში მ. დასაქმების ეფექტიანი სახელმწიფო რეგულირებისათვის, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2013, №2.
9. პაპავა ვ. ოთხი წელი „ვარდისფერ პარლამენტში“ თბ., 2009.

For the Improvement of Personnel Policy and Human Resources Strategic Management

Nugzar Paichadze

*Associate Professor at
Iv. Javakishvili Tbilisi State University
nugzarpaichadze@mail.ru*

Personnel policy is the main component of social management. The multilaterality of personnel policy is determined by multilaterality of social practice. By the scale of community the state is the subject of social management and, therefore, the personnel policy. Obviously, in this case, we are dealing with state personnel policies. It, in turn, covers the regional state policy on the basis of which the municipal personnel policy is formed. Personnel policy is also developed in organizations.

The article also discusses the issues related to human resources strategic management such as the formation of human resources management strategies, the core approach principles for the concept of human resources management strategy, human resource management system and realization, etc.

The transition to market economy in Georgia was accompanied by many positive changes in management at all levels, mainly caused by the transition from the regulation of social-labor relations through state-administrative methods to program-normative regulation. Despite this, unfortunately, there are many shortcomings in the field of personnel policy at its all level. Among them are: less attention is paid to the development of personnel policy at all levels of management; the goals of personnel policy declared by the most of organizations frequently don't meet its development strategy. Strategic management technology of human resources is not properly developed yet. At all levels of management, less attention is paid to the enhancement of competence of the managers and specialists participating in the development of personnel policy; The democratic and other types of changes in society are not always accompanied by the transformation of personnel policies; in Georgia there is not an effective personnel policy in the field of employment yet; the functional structure existing in some of the functioning ministries in the country can not provide the formation of a rational personnel policy.

Finally, on the basis of the analysis of the mentioned shortcomings, the implementation of the proposals put forward by the author will facilitate their reduction.

Keywords: Personnel Policy; Levels of Personnel Policy; Strategic Management of Human Resource; Concept of Human Resources Strategic Management, Development and Realization.

JEL Codes: M50, M54, M59

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა: ლაბვიის გამოსდილება

ირაკლი არაბიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტი

Irakli.arabidze91@gmail.com

ნუნუ ოვსიანიკოვა

ასოციირებული პროფესორი

nunu.ovsyannikova@tsu.ge

შრომის უსაფრთხოების სისტემა ლაბვიაში პოსტსატჭოთა პერიოდში მრავალი წინააღმდეგობისა თუ გამოწვევის წინაშე იდგა, რომელსაც თან დიდი ვარაუდების პერიოდი ახლდა.

ცვლილებები მოიცავდა ფორმირების ფართო სპექტრს, როგორცაა: ფუნდამენტურად განსხვავებული კანონმდებლობის შემუშავება, ახალი მოთხოვნების იმპლემენტირება ეროვნულ კანონმდებლობაში, ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარება სოციალურ პარტნიორებთან ერთად, საფესპერტო საქმიანობის გაუმჯობესება შრომის ინსპექციაში და სხვა. ამავდროულად, ლაბვიის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია იცვლება რადიკალურად და ყალიბდება ახალი კომერციული ორგანიზაციები, რომელსაც თან ახლავს გარკვეული ინდუსტრიული სექტორების დომინირება.

შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ცვლილებამ გამოიწვია სანარმო/დანესებულებების დონეზე შიდა უსაფრთხოების სისტემების ცვლილების აუცილებლობა და მისი თანამედროვე სტანდარტებზე მორგება.

სწორედ ამ პერიოდში ვითარდება პრევენციული მიდგომა, რომელიც ეფუძნება საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკების შეფასების პრინციპებს. ლაბვიის შრომის უსაფრთხოების სისტემა აგებულია ქვეყანაში უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაზე, დასაქმებულთა სიცოცხლისუნარიანობის გაზრდასა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ამჟამად, რომ ცენტრალურ დონეზე გადადგმული ნაბიჯები წარმოადგენს ფუნდამენტურ საფუძვლებს პრევენციული პოლიტიკის გატარების ეტაპზე და ეწინის საზოგადოებაში შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბების მყარ გარანტიებს.

ამ მიზნით, ლაბვიის მავალითის შესწავლა წარმოადგენს მნიშვნელოვან ფასეულობას საქართველოს, ასევე მეტ-ნაკლებად მისი მსგავსი პოლიტიკური და საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის.

საკვანძო სიტყვები: შრომის უსაფრთხოება; პოლიტიკის ფორმირება; ლაბვიის უსაფრთხოების სისტემა; შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია.

შრომის უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის საკითხის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას და შესაბამისი ხელშეწყობი ინსტრუმენტების იმპლემენტირებას.

1991 წელს ლატვიის საბჭოთა კავშირიდან გამოყოფას მოყვა გარდაქმნების პერიოდი ქვეყნის ისტორიაში. თავდაპირველად სახელმწიფოში მთლიანად მოიშალა საზედამხედველო კონტროლი კერძო კომპანიებზე და დამსაქმებლების მხრიდან სრულიად იქნა იგნორირებული შრომის უსაფრთხოების წესები. უფრო მეტიც, გარდამავალი პერიოდის შრომის ბაზარი ვერ უზრუნველყოფდა დასაქმებულების დაცვას სანარმოო ტრავმატიზმისაგან და მას დამსაქმებლის კეთილ ნებას უკავშირებდა. ქვეყნის განვითარების მიზნით გადადგმული ნაბიჯები უფრო მეტად მიზნული იყო ეკონომიკური პოლიტიკის გაძლიერებაზე, ვიდრე სახელმწიფოში სოციალური გარანტიების შექმნაზე [1].

1993 წლამდე ლატვიას არ ჰქონდა დამოუკიდებელი შრომის ინსპექცია, ახალი ინსტიტუტის სტრუქტურული განვითარება რთულ ამოცანას წარმოადგენდა იმდროინდელი მთავრობისათვის, თუმცა, 1995-1998 წლებში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ბალტიისპირეთის ქვეყნებში ტექნიკური თანამშრომლობის სხვადასხვა პროგრამის დახმარებით, ლატვიამ შეძლო შრომის უსაფრთხოების დაცვა გაეხადა სახელმწიფო პოლიტიკის საკვანძო საკითხი.

შრომის უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის ფორმირება

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ტექნიკური დახმარების პროექტების გათვალისწინებით, ლატვიის შრომის უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები 2000-იანი წლების დასაწყისში გადაიდგა, რაც აისახა ახალი ნორმატიული აქტების შემუშავებით, ცნობიერების ამაღლების კამპანიებით, სოციალურ პარტნიორობთან ურთიერთობით, ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული პროექტებითა და შრომის ინსპექტორთა ეფექტიანი მუშაობით [2].

აღსანიშნავია, რომ ლატვიაში ახალი კანონმდებლობის შემუშავება და მიღება ერთ-ერთ მთავარი გამოწვევას წარმოადგენდა ბიზნესისთვის. შრომის უსაფრთხოება არ იყო ადვილად ადაპტირებადი სიახლე კომპანიებისათვის და მისი მიღებისთვის 10-15-წლიანი პერიოდიც კი გახდა საჭირო. ახალი პოლიტიკური ხედვის ჩამოყალიბების პირობებში შექმნილი საკანონმდებლო პროექტები ითვლისწინებდა არსებულ მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ადეკვატურ რეაგირებას, ასევე, საერთაშორისო სტანდარტების მაქსიმალურად გაზიარებას. გარდაქმნების პერიოდში გადაწყვეტილების მიმღებნი ხვდებოდნენ, რომ გასათვალისწინებელი იყო კომპანიის ისტორიული წარსული და იმ მიდგომებზე დაფუძნება, რომელთა დახმარებითაც იმართება კომპანიის შიდა შრომის უსაფრთხოების სისტემა.

ნიშანდობლივია, რომ შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება და განხორციელება ვერ იქნება ეფექტიანი დამატებითი მექანიზმების და-

მკვიდრების გარეშე. ამ მიზნით, ლატვიის ხელისუფლებამ უზრუნველყო ქმედითი სისტემის სრული სპექტრის ჩამოყალიბება: პოლიტიკის დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება, რის საფუძველზეც მკვეთრად შემცირდა საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევების რაოდენობა და დასაქმებულთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა აღიარებულ იქნა როგორც მთავარი ფასეულობა სამუშაო ადგილებზე [3].

ამავე პერიოდში, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2003 წლის „შრომის უსაფრთხოების გლობალურ სტრატეგიას“ და 1994 წლის „შრომის უსაფრთხოების დეკლარაცია ყველასათვის“, რითაც განისაზღვრა შრომის უსაფრთხოების სისტემის მიზანი: ხელისუფლებამ დაადგინოს საკანონმდებლო რეგულაციები საწარმოო დონეზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სოციალური, ეკონომიკური, ტექნიკური და ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება. ამასთან, შრომის უსაფრთხოების სისტემის ამოცანას წარმოადგენდა სამუშაო გარემოს რეაბილიტაცია, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა, უბედური შემთხვევების შემცირება, პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება და სტაბილური სისტემის შექმნა.

საყურადღებოა, რომ ლატვიის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკანონმდებლო ბაზა განსაზღვრულია 2001 წლის 20 ივნისის „შრომის დაცვის შესახებ“ კანონით, რომელიც ძალაში შევიდა 2002 წლის პირველ იანვარს. „შრომის დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად, მოხდა ევროკავშირის ჩარჩო დირექტივის - „შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, ძირითადი მოთხოვნების ტრანსპოზიცია ეროვნულ კანონმდებლობაში. ახალმა შრომის დაცვის კანონმა ჩაანაცვლა 1993 წლის 4 მაისის „შრომის დაცვის“ კანონი. ძველი კანონის ახლით ჩანაცვლების აუცილებლობა განსაზღვრული იყო არამხოლოდ ლატვიის მისწრაფებით დაახლოებოდა ევროკავშირის მოთხოვნებსა და სტანდარტებს, არამედ იმ ფაქტით, რომ წინა კანონმდებლობის პრინციპები უკვე მოძველებული იყო ტექნოლოგიების განვითარების პირობებში და მისი ძირითადი მიზნები და ამოცანები ვერ უზრუნველყოფდა სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სრულ დაცვას. ახალი კანონმდებლობა მთელი შრომის უსაფრთხოების სისტემის ჭრილით დაეფუძნა რისკების პრევენციის პრინციპებს (უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს ჩამოყალიბება, საფრთხეების იდენტიფიცირება და რისკების შეფასება, სამუშაო ადგილების დასაქმებულთა საჭიროებებზე მორგება და ა.შ) [4].

ლატვიაში შრომის უსაფრთხოების სისტემის რეგულირება და მისი ჰარმონიზაცია ევროკავშირის შესაბამის მოთხოვნებთან, წარმოადგენდა აუცილებლობას ნაბიჯებს პროგრესის მისაღწევად, თუმცა, ეს ვერ იქნებოდა განხილული როგორც ერთადერთი და გადაამწყვეტი მექანიზმი შრომის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებისთვის ეროვნულ და საწარმოო დონეზე. მნიშვნელოვანი იყო, კანონმდებლობის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობის მიღწევა.

ამ მიზნით, ლატვიაში გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები: შემუშავდა ნორმატიული აქტები შრომის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ყველა შესაბამისი სამთავრობო

უნყება ჩაერთო ევროკავშირის მოთხოვნების ჰარმონიზაციის პროცესში, დასაქმებულებს გაენიათ კონსულტირება და საჯარო ინფორმაციის გავრცელებით უზრუნველყოფილ იქნა შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის კრიტიკულად მნიშვნელოვნად აღიარება [5].

ლატვიის მთავრობამ, ეროვნული სამმხრივი სოციალური დიალოგის პლატფორმის ქვეშ, ჩამოაყალიბა საკონსულტაციო საბჭო შრომის უსაფრთხოების სფეროში, სადაც ბიზნესთან თანამშრომლობის მნიშვნელობის ხაზგასასმელად დიდი დოზით ჩაერთო დამსაქმებელთა ასოციაციები, ხოლო საბჭოს მთავარ მიზნად განისაზღვრა შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებზე შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება. საკონსულტაციო საბჭოში წარმოდგენილი იყვნენ კეთილდღეობის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, შრომის სახელმწიფო ინსპექციის, ლატვიის თავისუფალი პროფესიული კავშირების კონფედერაციისა და ადგილობრივი დამსაქმებელთა ფედერაციის წარმომადგენლები. სამმხრივი სოციალური დიალოგის ფორმატით მხარეებმა შეიმუშავეს საკანონმდებლო ინიციატივები, ხოლო უშუალოდ სოციალური პარტნიორები ჩართულნი იყვნენ ნორმატიული აქტების გადამუშავების პროცესშიც.

მიმდინარე ეტაპზე, ლატვიის კეთილდღეობის სამინისტრო ახდენს შრომის უსაფრთხოების სისტემის ადმინისტრირებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. სამინისტრო პასუხისმგებელია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა, განვითარებასა და კოორდინირებაზე, ხოლო მისი სტრუქტურული ერთეული – „შრომის სახელმწიფო ინსპექცია“ ზედამხედველობას უწევს შრომის დაცვის საკითხებს ქვეყანაში. შრომის უსაფრთხოების ინსტიტუციური სისტემა კი ასე გამოიყურება (იხ. სქემა):

შრომის უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია



აღსანიშნავია, რომ ლატვიის შრომის დაცვის კანონი პირდაპირ ეხმიანება შრომის უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის მოთხოვნებს, რომლის გათვალისწინებითაც კეთილდღეობის სამინისტროს საშუალება აქვს მოახდინოს სახელმწიფო პოლიტიკის ფორმულირება შრომის დაცვისა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. შრომის დაცვის განვითარების სტრატეგია დამტკიცებული იქნა მინისტრთა კაბინეტის მიერ 2016 წლის 20 იანვარს [6].

ლატვიის განახლებული შრომის უსაფრთხოების სისტემა ეფუძნება გაეროს „სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის 2014-2020 წლების სტრატეგიას“, განსაკუთრებით იმ საკვანძო საკითხებში, რაც ეხება შრომის უსაფრთხოების კონცეფციების შემუშავებასა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების ჩამოყალიბებას. სტრატეგია ადგენს გარკვეულ ჩარჩოებს შრომის უსაფრთხოების საკითხებში, ხოლო მთავარ საკითხად წარმოდგენილია ჯანმრთელობის დაცვა, შრომის უსაფრთხოება და გარემო პირობები სამუშაო ადგილზე. ამ მიდგომებმა კი უნდა გააუმჯობესოს ეკონომიკური პირობები და აამაღლოს კეთილდღეობის დონე.

შრომის სახელმწიფო ინსპექციის, როგორც ერთადერთ სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს სამართლებრივი სტატუსი, ფუნქციები, ამოცანები და საქმიანობის პროცედურები განსაზღვრულია 2008 წლის 19 ივნისის „შრომის სახელმწიფო ინსპექციის შესახებ“ კანონით. ინსპექცია ახდენს შრომით-სამართლებრივი და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის იმპლემენტირებას და ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოს ქვეყნის მოსახლეობის სოციალური და სამართლებრივი დაცვა სამუშაო ადგილებზე.

ნიმანდობლივია, რომ 2000-იანი წლების ბოლოს განხორციელებული აქტივობა და შრომის ინსპექციის უფლებამოსილების გაძლიერება გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა საწარმოო უბედური შემთხვევების პრევენციასა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილების საქმეში. მკაცრი ადმინისტრირების პოლიტიკა, გაზრდილი საჯარიმო სანქციები და საწარმოს საქმიანობის შეჩერების უფლებამოსილება, ძირითადად ცვლიდა კერძო ბიზნესის მენეჯმენტის ხედვებს და აიძულებდა მათ გაეთვალისწინებინათ შრომის უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის მიზნები [7].

* * *

დასასრულ, დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ შრომის უსაფრთხოების სისტემა ლატვიაში ბოლო წლების განმავლობაში დიდი გარდაქმნების პირობებში ყალიბდებოდა. ეს ცვლილებები მოიცავდა ფორმირების ფართო სპექტრს, როგორცაა: ფუნდამენტურად განსხვავებული კანონმდებლობის შემუშავება, ახალი მოთხოვნების იმპლემენტირება ეროვნულ კანონმდებლობაში, ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება სოციალურ პარტნიორებთან ერთად, საექსპერტო საქმიანობის გაუმჯობესება შრომის ინსპექციაში და სხვა. ამავდროულად, ლატვიის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია იცვლება რადიკალურად და ყალიბდება ახალი კომერციული ორგანიზაციები, რასაც თან ახლავს გარკვეული ინდუსტრიული სექტორების დომინირება. შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ცვლილებამ გამოიწვია საწარმო-დანესებულებების დონეზე შიდა უსაფრთხოების სისტემების ცვლილების აუცილებლობა და მისი თანამედროვე სტანდარტებზე მორგება. სწორედ ამ პერიოდში ვითარდება პრევენციული მიდგომა, რომელიც ეფუძნება საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკების შეფასების პრინციპებს.

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ლატვიის შრომის უსაფრთხოების სისტემა აგებულია ქვეყანაში უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაზე, დასაქმებულთა სიცოცხლისუნარიანობის გაზრდასა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ამკარაა, რომ ცენტრალურ დონეზე გადადგმული ნაბიჯები წარმოადგენს ფუნდამენტურ საფუძველს პრევენციული პოლიტიკის გატარების ეტაპზე და ქმნის საზოგადოებაში შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბების მყარ გარანტიებს.

ლიტერატურა:

1. Labour Protection Law, adopted by the Latvian Parliament (Saeima) on 20 June 2001. Available in Latvian at: <https://likumi.lv/doc.php?id=26020>
2. Latvian Trade Union Confederation (2012). Home page. Retrieved 18 June 2012, from: <http://www.lbas.lv>
3. Labor Protection Development Plan for 2016-201, adopted by the Cabinet of Ministers in 2016 (in Latvian). Available at: Darba aizsardzības jomas attīstības plāns 2016.–2018. gadam
4. Procedures for the Performance of Internal Supervision of the Work Environment, adopted by the Cabinet of Ministers on 2 October 2007. Available in Latvian at: <https://likumi.lv/doc.php?id=164271>
5. LDDK – Employers’ Confederation of Latvia, Working Conditions and Risks in Latvia 2009-2010, Riga, 2010, p. 122 (in Latvian). Available at: <http://www.lddk.lv/file.php?id=320>
6. Regulation of Labour Sub Council of National Tripartite Collaboration Council, adopted by the Cabinet of Ministers on 8 March 2000 (in Latvian). Available at: http://www.mk.gov.lv/file/files/valsts_kanceleja/NTSP/2011/dltsa_nolikums.doc
7. Regulations regarding Dangerous Equipment, adopted by the Cabinet of Ministers on 7 November 2000. Available at: http://www.vvc.gov.lv/export/sites/default/docs/LRTA/MK_Noteikumi/Cab_Reg_No_384_-_Regulations_regarding_Dangerous_Equipment.doc

Labor Safety Policy: Experience of Latvia

Irakli Arabidze

Doctoral Student at Georgia Technical University

irakli.arabidze91@gmail.com

Nunu Ovsianikova

Associate Professor

nunu.ovsyanikova@tsu.ge

Labor safety system in Latvia was faced with a number of challenges or opposes during the post-Soviet period, accompanied with great transformation.

The changes was covered by wide spectrum of formation, such as developing fundamentally different legislation, implementation of new requirements in national legislation (adopting New Osh law), raising awareness of society with support of social partners, improvement of expert activities in labor inspection and more. At the same time, the socio-economic situation in Latvia is changing radically and new commercial organizations are formed, which is accompanied by the dominance of certain industrial sectors.

The change in labor safety and health care system immediately caused the necessity of reorganize internal security system at the enterprise / institution and adopt to its modern standard. During this period, has been developed preventive approach, which was based on the principles of hazard identification and risk assessment.

Latvia's labor safety system is designed to create a safe work environment in whole country, increase the viability of employees and improve economic conditions. It is obvious that the steps, which were taken at the central level are create fundamental grounds for preventive policy and makes solid guarantees for the establishment of a work culture in society.

For this purpose, studying an example of Latvia represents an important value for Georgia, as a more or less similar political and market economies countries, with the similar starting point for developing.

Keywords: Labor Safety; Formulating Polic; Labor SafetySystem of Latvia; International Labor Organization.

JEL Codes: J20, J21, J28

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გამოწვევები საქართველოში

ვასილ კიკუტაძე

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
vasil.kikutadze@tsu.ge*

წარმოდგენილ სტატიაში რეტროსპექტიული ჭრილით განხილულია ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები, არსებული სტატისტიკური მონაცემებისა და ექსპერტული შეფასებების საფუძველზე იდენტიფიცირებულია სისტემის წინაშე მდგარი პრობლემები, საერთაშორისო გამოცდილებისა და ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოკვეთილია მათი გადაწყვეტის ძირითადი მიმართულებები.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ); უმაღლესი განათლების ხარისხი; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ავტორიზაცია; აკრედიტაცია.

2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებას, რითაც საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი ახალ აქტიურ ფაზაში გადავიდა. ქვეყანამ ბევრ მოსალოდნელს სარგებელთან ერთად აიღო ის აუცილებელი ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს; მათ შორის არის განათლება, კერძოდ კი, უმაღლესი განათლება. ასოცირების ხელშეკრულების 359-ე მუხლის თანახმად, ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს «უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება იმ საშუალებით, რომელიც თანხვედრაშია ევროკავშირის „უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგსა“ (Modernisation Agenda for Higher Education) და „ბოლონიის პროცესთან“ [1, გვ. 467].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო განათლებისა და კულტურის უძველესი ისტორიული ცენტრია (ფაზისის კოლხეთის) აკადემია – IV საუკუნე, გელათის აკადემია – XII საუკუნე, იყალთოს აკადემია – XVI საუკუნე, XX საუკუნის I მეოთხედი – თბილისში იხსნება კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი და ა.შ.), ფაქტია, რომ დღეისათვის ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უნივერსიტეტების მსოფლიო რეიტინგის (Ranking Web of World Universities) 2018 წლის მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით ათასეულის მიღმა პოზიციებს იკავებს [2], მაშინ

როდესაც «ასოცირების ხელშეკრულებით», ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის, ასევე აშშ-ის გადანყვეტილებებით, ჩვენთვის ეტაპობრივად იხსნება საერთაშორისო შრომის ბაზარი, რომელზე გასვლა და არსებული სარგებლის მიღებაც შეუძლებელი იქნება მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების გარეშე. ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების ცალკეული, ინდივიდუალური თუ ჯგუფური, თუნდაც მსოფლიო მასშტაბის მიღწევები, ფაქტია, რომ ვერ გადანყვეტს ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის საკითხს და პრობლემის გადაჭრა კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. საქართველოში განათლების, მათ შორის უმაღლესი განათლების ხარისხის მაღალი სტანდარტის მიღწევა ის უმთავრესი გამოწვევაა, რომელზეც დგას ჩვენი ქვეყნის სწრაფი განვითარების მომავალი, ვინაიდან სწორედ უმაღლესი განათლების ხარისხის მაღალი სტანდარტი ნიშნავს კვალიფიციური ადამიან-კაპიტალის არსებობას, რაც საქართველოს ტიპის ქვეყნებისთვის განვითარების პროცესის განმსაზღვრელი ფაქტორია.

განათლების ხარისხის არსი და მნიშვნელობა

ტერმინი – „განათლების ხარისხი“ კომპლექსური ცნებაა და მისი მნიშვნელობის ზუსტი განსაზღვრა ბევრ ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორზეა დამოკიდებული. ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტების მიხედვით, განათლების სფეროში «ხარისხი სასწავლო პროცესისა და მისი შედეგების ინტეგრალური მახასიათებელია, რომელიც სასწავლო პროგრამების შინაარსითა და პედაგოგთა კვალიფიკაციით განისაზღვრება» [3, გვ.94]. უმაღლესი განათლების ხარისხი არის მრავალ-განზომილებიანი, მრავალდონიანი დინამიკური მდგომარეობა, რომელიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო მოდელის შინაარსობრივ პარამეტრებთან, საგანმანათლებლო დაწესებულების მისიასა და მიზნებთან, დაწესებულების შიდა სტანდარტებთან, ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამას და კონკრეტულ სასწავლო დისციპლინებთან. შესაბამისად, განსხვავებულია ხარისხის მნიშვნელობის აღქმა შემდეგი მიზეზების გამო: უმაღლესი განათლების პროცესში ჩართული დაინტერესებული პირების განსხვავებული ინტერესები; განათლების ხარისხის კავშირი დაწესებულების მისიასთან, მიზნებთან, საწარმოო რესურსებთან, სამუშაო ძალის ბაზართან და ა.შ.; დაწესებულებაში მიმდინარე აკადემიური პროცესების მახასიათებლები და თავად უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების მდგომარეობა [4, გვ. 70-71].

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა არის პროცესი, რომელიც ხელს უწყობს უსდ-ში განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოიცავს შემდეგ ეტაპებს: დაგეგმვა, შეფასება, მონიტორინგი, მიღწეული პოზიტიური შედეგების შენარჩუნება და გაუმჯობესება. ხარისხის როგორც შიდა, ისე გარე უზრუნველყოფა უნდა ხორციელდებოდეს თანმიმდევრული და მკაფიოდ ფორმულირებული კრიტერიუმების საფუძველზე [5, გვ.3]. განვითარებული ქვეყნების უსდ-ები, საერთაშორისო სტა-

ნდარტებისა და ქვეყნის საჭიროებების გათვალისწინებით, თავად ქმნიან ხარისხის უზრუნველყოფის საკუთარ სისტემებს, რაც უზრუნველყოფს მათი საგანმანათლებლო პროცესების კონკურენტუნარიანობას და ქვეყნის განვითარების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ხარისხის მართვის ეროვნული სააგენტოები აქტიურად ნერგავენ უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში ხარისხის მართვის მარეგულირებელ პრინციპებს, რაც დაფუძნებულია იმ ჩარჩო შეთანხმებებზე, რომლებიც სხვადასხვა დროს იქნა მიღებული განვითარებული ქვეყნების აქტიური მონაწილეობით და გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემის ფორმირებას.

განათლების სფეროში ხარისხის მართვის პროცესები XIX საუკუნის ბოლოს აშშ-დან იღებს სათავეს, სადაც პირველად შეიქმნა საგანმანათლებლო დანესებულებების აკრედიტაციის ორგანო; თუმცა, დღეისათვის ეს ფუნქციები თავად უნივერსიტეტების თვითშეფასების განვითარებული სისტემისა და სხვადასხვა დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციის ფუნქციებშია ინტეგრირებული. აკრედიტაცია, როგორც უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, 1980-იან წლებში იწყებს გავრცელებას ევროპაში. ამავე პერიოდში ევროპაში იქნება განათლების ხარისხის მართვის ეროვნული სააგენტოები, რაც გახდა კიდევ დიდი ცვლილებების საწინდარი ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში [6, გვ. 4-5]. 2005 წელს, განვითარებული ქვეყნების განათლების მინისტრების მიერ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციასთან (ENQA), სტუდენტთა ევროპულ კავშირთან (ESU), უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულებების ევროპულ ასოციაციას (EURASHE) და უნივერსიტეტების ევროპულ ასოციაციასთან (EUA) თანამშრომლობის შედეგად მომზადებული ნინადადებების გათვალისწინებით, მიღებული იქნა «უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და რეკომენდაციები» (European Standards and Guidelines – ESG), რომელიც განახლდა 2012 წელს საერთაშორისო განათლების ორგანიზაციის (Education International – EI), ბიზნეს-ევროპის (BUSINESSEUROPE) და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრის (EQAR) მონაწილეობით და დოკუმენტი საბოლოო რედაქციით 2015 წელს ჩამოყალიბდა [7, გვ. 7-9]. აღნიშნული დოკუმენტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-სწავლების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის ერთიან გაგებას, როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო დონეზე და შესაბამისად, ის ვრცელდება ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ყველა მონაწილეზე, მათ შორის საქართველოზეც.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

საქართველოში, სახელმწიფო პოლიტიკას უმაღლესი განათლების სფეროში, პარლამენტი განსაზღვრავს, ხოლო მის უშუალო აღსრულებას განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს. ქვეყანაში უმაღლესი


განათლების ხარისხის მართვის ახალი სისტემის ფორმირება 2004 წლიდან იღებს სათავეს მაშინ, როდესაც მიღებული იქნა კანონი «უმაღლესი განათლების შესახებ», ხოლო მომდევნო 2005 წელს ქვეყანა ბერგენის სამიტზე ოფიციალურად შეუერთდა ბოლონის პროცესს და გაჩნდა უმაღლესი განათლების სისტემის რეგულირების ახალი პარადიგმები [8, გვ.47]. უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმირების პირველ ეტაპზე განხორციელდა რიგი ინსტიტუციონალური ცვლილება, კერძოდ, 2005 წლიდან ამოქმედდა იწყებს ერთიანი ეროვნული გამოცდებით სტუდენტების ჩარიცხვის წესი, 2006 წლიდან ფუნქციონირებს «საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური», რომლის რეორგანიზაცია 2010 წელს განხორციელდა და შეიქმნა სსიპ – „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი“. იმავე წელს ქვეყანაში მიღებული იქნა კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, რომლითაც გამყარდა განათლების ხარისხის განვითარების სამართლებრივი საფუძვლები, კერძოდ, განისაზღვრა განათლების, მათ შორის, უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა და გარე მექანიზმები. განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმებად განისაზღვრა ავტორიზაცია და აკრედიტაცია, ხოლო განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმების განხორციელება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, დარჩა საგანმანათლებლო დაწესებულებების კომპეტენციების ფარგლებში. დღეისათვის საქართველოში, სისტემურ დონეზე, უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის პროცესებს ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე, უშუალოდ წარმართავს სსიპ «განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი», ხოლო ინსტიტუციურ დონეზე პროცესები იმართება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ.

ავტორიზაციის მოთხოვნების წარმატებით შესრულება საგანმანათლებლო დაწესებულებებს აძლევს საშუალებას, მოიპოვოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, ხოლო აკრედიტაციის მოთხოვნების შესრულებისას მათ ეძლევათ საშუალება, აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიიღონ სახელმწიფო დაფინანსების მქონე სტუდენტები და გასცენ დიპლომი, რომელსაც სახელმწიფო აღიარებს. 2013 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) (European Association for Quality Assurance in Higher Education) აფილირებული ორგანიზაციის სტატუსი მიენიჭა [9], რაც შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან ნაბიჯად პროცესების ინტერნაციონალიზაციის კუთხით. უმაღლესი განათლების უზრუნველყოფის რეფორმების შემდეგი აქტიური ფაზა დაიწყო 2015 წელს, როცა შეიქმნა უსდ-ების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გადანაცვლებების გასაჩივრების დამატებითი მექანიზმი – სააპელაციო საბჭოს ინსტიტუტი, რამაც მეტი გამჭვირვალება შესძინა პროცესს. 2017 წლისთვის კი ქვეყანაში მიღებული იქნა საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განახლე-

ბული სტანდარტები და პროცედურები. შეიცვალა უმაღლესი განათლების ხარისხის შეფასების სისტემა. კერძოდ, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები და პროცედურები შესაბამისობაში მოვიდა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებთან [10]. შესაბამისად, 2018-2019 სასწავლო წლის დასაწყისისათვის ქვეყანაში 63 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დარჩა, მათ შორის: 19 საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), 30 -შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) და 14 – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, აქედან 30 არის უნივერსიტეტი, 19 – სასწავლო უნივერსიტეტი, 5 – კოლეჯი და 8 – მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება [9]. 2006/2007 სასწავლო წლიდან 2017/2018 სასწავლო წლის ჩათვლით, ქვეყანაში 91 ერთეულით შემცირდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვი კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარჯზე (მათი რაოდენობა 148 ერთეულიდან 55 ერთეულამდე არის შემცირებული), უმაღლესი სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა კი გაიზარდა 2 ერთეულით (იხ. ნახაზი 1) [11, გვ.73].

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა საქართველოში 2006/2007 – 2018/2019 სასწავლო წლებში.

ნახ. 1.



სისტემურ დონეზე ქვეყანაში უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის, საგანმანათლებლო დაწესებულების სისტემატური თვითშეფასების კულტურის დამკვიდრებისა და სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, უმაღლესი უსდ-თვის მოქმედებს აკრედიტაციის რეჟიმი. აკრედიტაციის პროცესი მოიცავს 8 საფეხურს და საბჭოს მიერ აკრედიტაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება აკრედიტაციის საფასურის გადახდიდან 180 კალენდარული დღის განმავლობაში (იხ. ნახაზი 2) [9].

- 1 • სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა
- 2 • საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის მაძიებლად ცნობა
- 3 • აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა
- 4 • სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელება
- 5 • აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის შედგენა
- 6 • კრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შედგენა
- 7 • აკრედიტაციის საკითხზე ზეპირი მოხმენის გამართვა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება
- 8 • დასაბუთებული გადაწყვეტილებისა და დასკვნის გამოქვეყნება

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების ფარგლებში ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების წარმართვისათვის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი იყენებს ექსპერტთა კორპუსს, რომელიც კომპლექტდება პროფესიული ნიშნით, წინასწარ დადგენილი პროცედურების გათვალისწინებით ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების, დამსაქმებლებისა და სტუდენტებისაგან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ დღეისათვის საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების ეფექტური აღსრულებისათვის არსებობს, განსაზღვრული მექანიზმები, რომელთა სრულყოფა ეტაპობრივად ხორციელდება, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მიდრეკილია სრულყოფისაკენ, ჯერ კიდევ არ არის ერთიანი დამოკიდებულება მის მიმართ ჩამოყალიბებული. რიგ შემთხვევაში, ის კრიტიკის ობიექტია უსდ-ს მხრიდან. საქართველოში კანონმდებლობით განსაზღვრულია უსდ-ის სახელმწიფო დაფინანსების პროცედურები, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობს უსდ-ის აკრედიტაციის შედეგებიდან, ანუ უსდ ვერ მიიღებს სახელმწიფო სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტს, თუ მას არ აქვს «განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის» მიერ აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები. აკრედიტაციის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების უფლების მოპოვება გარკვეული წნეხის ქვეშ აქცევს აღნიშნულ პროცესს და ხშირ შემთხვევაში, მის ზედმეტ ფორმალუზებას იწვევს. მაგალითად, საქართველოში 2011-2013 წლებში აკრედიტაცია მიენიჭა 1267 საგანმანათლებლო პროგრამას, ხოლო აკრედიტაციაზე უარი ეთქვა მხოლოდ

40-ს [5], 2014-2016 წლებში აკრედიტაცია მიენიჭა 515 საგანმანათლებლო პროგრამას, ხოლო უარი ეთქვა 62-ს [9], 2017 წელს კი, აკრედიტაცია მიიღო 49 უმაღლესმა საგანმანათლებლო პროგრამამ, უარი კი 8 პროგრამას ეთქვა [12, გვ.19], რაც წინა პერიოდებთან შედარებით, გაუმჯობესებულ მაჩვენებლადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ; თუმცა, აკრედიტაციის პროცესების მეტი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმების მეტი კონკრეტიზაცია და მაქსიმალური გამიჯვნა ავტორიზაციის პროცესში გამოყენებული შეფასების კრიტერიუმებისაგან, ექსპერტთა კორპუსის ინტენსიური უწყვეტი დატრენინგება, შეფასების პროცესებში მეტი პროფესიონალი უცხოელი დარგობრივი ექსპერტების მონაწილეობა, შემონიშნების პროცესში ინტერესთა კონფლიქტის მინიმიზაცია, დარგობრივი ნიშნით აკრედიტაციის საბჭოების დაკომპლექტება და შეფასების პროცედურების დროში გონივრული განერა, რათა ექსპერტს ჰქონდეს შესაძლებლობა, უსდ-ს მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ დინამიკაში მოახდინოს დაკვირვება პროცესებზე და მისი მოსაზრებები შესაფასებელი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, წარმოადგინოს შუალედური და საბოლოო დასკვნის ფორმით. უსდ-სთვის აღნიშნული პროცესები არ უნდა აღიქმებოდეს დამსჯელ, ფორმალურ ღონისძიებად, არამედ მისი ჩატარება პროცესის მაღალი შედეგობრივი სარგებლიდან გამომდინარე, თავად დაწესებულების ინტერესში უნდა მოხდეს და რეალურად შუნყოს ხელი უსდ-ში მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას.

საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ინსტიტუციურ დონეზე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, რომლებმაც იტვირთეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების როგორც შემუშავება, ასევე განხორციელება. ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით უსდ ვალდებულია, შემუშავებული ჰქონდეს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს უსდ-ში განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. გავრცელებული სქემის მიხედვით, უსდ-ებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ფუნქციონირებენ «ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების» მიხედვით, რომელიც მიიღება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის უმაღლესი ორგანოების მიერ. უსდ-ში, როგორც წესი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შედის დაწესებულების მართვის ორგანოებში და წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახურისა და ცალკეული ფაკულტეტების (სკოლების) დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების სახით, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია კონკრეტული უსდ-ს მასშტაბებზე. რიგ შემთხვევაში, კერძო უსდ-ში ფაკულტეტის (სკოლის) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები ძირითადად შეთავსებული აქვს ერთ პიროვნებას, რაც მსგავსი ტიპის სამსახურების ფუნქციონირების შედეგებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ზოგიერთ შემთხვევაში, დაბალია

ასევე «ხარისხის კულტურა», რაც მყიფეს ხდის დანესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას და ვერ უზრუნველყოფს შედეგების მდგრადობას. გარდა ამისა, ქართული უსდ-ების უმრავლესობა ვერ ან არ იყენებს ხარისხის გარე შეფასების მექანიზმებს, გარდა აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სავალდებულო პროცედურებისა, რაც ასევე უარყოფითად აისახება უმაღლესი განათლების ხარისხზე. უმრავლეს შემთხვევაში, უგულვებელყოფილია ან ფორმალურ ხასიათს ატარებს პოტენციური დამსაქმებლების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში ჩართულობა, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, რაც საბოლოო ანგარიშით განაპირობებს პროგრამის კურსდამთავრებულების კომპეტენციების აცდენას შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან და ხელს უწყობს უმაღლესი განათლების მქონე უმუშევართა არმიის წარმოქმნას.

უმაღლეს საგანმანათლებლო სფეროში არსებული ყოველდღიურად მზარდი კონკურენცია აიძულებს უსდ-ებს, გამუდმებით იზრუნონ ხარისხის მართვის სისტემების გაუმჯობესებასა და მათი ეფექტიანობის ზრდაზე. აღნიშნულ პროცესში უსდ-ების მთავარ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი შიდა მექანიზმების არსებობა. დღეისათვის ხარისხის მართვის თანამედროვე ფილოსოფია ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს ხარისხის მართვის პროცესებისადმი თანამედროვე მართვის კონცეფციების გამოყენებას, რომელიც დაფუძნებულია როგორც ადმინისტრაციული საშუალებების, ასევე ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მიდგომების გამოყენებაზე. შესაბამისად, უსდ-ები ორიენტირებული არიან სტუდენტზე მორგებული სწავლების პროცესების განვითარებაზე, რის გამოც მათი მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურაში ხშირად გვხვდება სტუდენტური მომსახურების სერვისების სამსახურები, ასევე, აკადემიური პერსონალის გადამზადების და ტრენინგცენტრები, რისი მეშვეობითაც დანესებულებები ცდილობენ თანამშრომელთა განვითარებასა და მათი თანამონაწილეობის გაზრდას საგანმანათლებლო დანესებულების ეფექტიანობის უზრუნველყოფაში. გარდა ამისა, უსდ-ები ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ისეთი კომპლექსური საკითხების გადანყვეტას, როგორიცაა სწავლა-სწავლების პროცესებისა და კვლევითი საქმიანობის ჰარმონიზაცია. რიგი უსდ კი, თავის სტრუქტურაში აყალიბებს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტებს, ნერგავს შიდა საგრანტო სისტემას, აფინანსებს აკადემიური პერსონალის მონაწილეობას სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში, რითაც ფოკუსირებს მოცემული საკითხების ეფექტურ გადანყვეტაზე. თუმცა, როგორც ნესი, უმაღლესი განათლების სფეროში ტერმინი – «ხარისხი», არ წარმოადგენს აბსოლუტურ ცნებას და ის ძირითადად, შეფარდებით კატეგორიად მოიაზრება; შესაბამისად, ის შეიძლება განხილული იქნეს, როგორც კომპლექსური ღონისძიებების შედეგი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დადგენილი სტანდარტების დაკმაყოფილება, ანუ სასურველი შედეგების დადგომა. აღნიშნული შედეგების მისაღებად თანამედროვე პირობებში უმაღლესი განათლების სისტემაში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მე-

ქანიზმად აქტიურად გამოიყენება ხარისხის ტოტალური მართვის სისტემა. ISO 9004 ხარისხის ტოტალურ მართვას (TQM) განმარტავს, როგორც «მენეჯმენტის ფილოსოფიას და კომპანიის ქმედებათა ერთობლიობას, რომელთა საშუალებითაც ხდება ორგანიზაციის მატერიალური და ადამიანური რესურსების ეფექტურად ათვისება ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად» [13, გვ.92]. ხარისხის ტოტალური მართვის სისტემის (TQM), მართვის თანამედროვე ფილოსოფია დაფუძნებულია თანამედროვე მართვის ისეთ კონცეფციაზე, რაც ძირითადი ადმინისტრაციული საშუალებების, ინოვაციური მიდგომებისა და სპეციალიზებული ტექნიკური უნარების ერთობლივ გამოყენებას გულისხმობს. უმაღლესი განათლების სისტემაში არსებობს TQM-ის დანერგვისადმი განსხვავებული მიდგომები, მათ შორის პირველი მიდგომა, მომხმარებელზე ორიენტირებული და გულისხმობს სტუდენტთა მომსახურების ნახალისებას თანამშრომელთა განვითარებისა და ტრენინგის გზით, მეორე მიდგომა გულისხმობს თანამშრომლებზე ორიენტირებულობას, რაც ეფუძნება თითოეული თანამშრომლის თანამონაწილეობის გაზრდას საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტურობის უზრუნველყოფაში და მესამე მიდგომა კი აქცენტს აკეთებს საგანმანათლებლო პროცესში განეული მომსახურების ხარისხის არსებულ მოთხოვნებთან მაქსიმალურ შესაბამისობაზე. ქართული უსდ-ების უმრავლესობაში ხარისხის ტოტალური მართვის (TQM) სისტემის პრინციპების გამოყენება ფრაგმენტულობით ხასიათდება, რაც ძირითადად გამოიხატება მომხმარებელზე ორიენტაციის, სასწავლო პროცესების ოპტიმიზაციის და პროცესში მონაწილე დაინტერესებული სუბიექტების ჩართულობის გაზრდის მცდელობაში.

უმაღლესი განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ, ასევე, განათლებაზე განეული მთლიანი დანახარჯები (მშპ-ის %) და აღნიშნულ სფეროში დასაქმებული ადამიანების (აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის) შესაბამისი ანაზღაურება. 2014 წლისთვის, საქართველო განათლებაზე განეული მთლიანი დანახარჯების მიხედვით, რეგიონში ბოლო ადგილის იკავებდა 2,0%-ით, ხოლო პირველ და მეორე ადგილებს აზერბაიჯანი და სომხეთის რესპუბლიკა ინაწილებდა, შესაბამისად, 2,5%-ით და 2,2%-ით. თუმცა, 2016 წლისთვის საქართველოს პოზიციები გაუმჯობესდა და ქვეყანამ პირველ ადგილზე გადაინაცვლა 3,78%-ით, ხოლო აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკები მეორე და მესამე ადგილებს იყოფდნენ 2,95% და 2,8%-ით. აღნიშნული მაჩვენებელი კი, 2014 წელს ესტონეთში 5,4%-ს, ფინეთში 7,1%-ს, ლიტვაში 4,4%-ს, ლატვიაში 5,2%-ს და უკრაინაში 5,8%-ს შეადგენდა [14]. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში გაიზარდა საქართველოში განათლებაზე განეული ხარჯების მოცულობა, 2017 წლის მონაცემებით, განათლების სფეროში არსებული საშუალოთვიური ნომინალური ხელფასი 581,4 ლარი იყო, ხოლო სომხეთის რესპუბლიკაში და აზერბაიჯანში, შესაბამისად 113756 დრამა [15], ანუ 586,75 ლარი და 322 აზერბაიჯანული მანათი [16, გვ.62], ანუ 470,76 ლარი. 2018 წლის დასაწყისისათვის კი, იგივე მაჩვენებელი მა-

გალითად, გერმანიაში – 1498 ევრო ანუ 4538 ლარი, ლუქსემბურგში – 1999 ევრო ანუ 6056 ლარი, ირლანდიაში – 1614 ევრო ანუ 4890 ლარი და ბელგიაში – 1563 ევრო ანუ 4735 ლარი იყო [17], რაც გაცილებით მაღალია, ვიდრე საქართველოშია. ამასთან, აღსანიშნავია ისიც რომ 2017 წლის მონაცემებით საქართველოში განათლების სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური ნომინალური ხელფასი 2,3-ჯერ ნაკლები იყო საფინანსო საქმიანობაში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური ნომინალური ხელფასის სიდიდეზე [11, გვ.43].

ამრიგად, ცხადია რომ ქვეყანაში სიტუაცია საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს როგორც განათლების დარგში დასაქმებული ადამიანების მოტივაციის ზრდას, ასევე ახალი პერსპექტიული კადრების მოზიდვას და დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ამკარაა, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობა, დაღს ასვამს ქვეყნის განათლების სისტემას, მათ შორის უმაღლესი განათლების ხარისხს და აფერხებს მის განვითარებას.

ლიტერატურა:

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ ნევრ სახელმწიფოებს შორის, 2014.
2. <http://www.webometrics.info/en/Europe> – უნივერსიტეტების მსოფლიო რეიტინგი.
3. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისკენ (ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები), რედ.: ლ.ბაქრაძე, ლ. ლლონტი, ე. ჯგერენაია, თბ., 2005.
4. Lazăr VLĂSCĂANU, Laura GRÜNBERG and Dan PĂRLEA, Quality Assurance and Accreditation: A Glossary of Basic Terms and Definitions, Bucharest 2007.
5. დარჩია ი. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბილისი 2013.
6. Павлюченко Е. И., Гичиев Н.С., Атаханов Р.А., международный опыт повышения качества высшего образования, Современные проблемы науки и образования. – 2013. – № 5.
7. https://enqa.eu/wp-content/uploads/2015/11/ESG_2015.pdf – Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (ESG), 2015.
8. Kikutadze V, Maisuradze K, MANAGEMENT OF QUALITY IN HIGHER EDUCATION IN GEORGIA, Social & Economic Revue . 10/1/2015, Vol. 13 Issue 4.
9. <https://www.eqe.ge/> – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი.
10. <http://www.mes.gov.ge/> – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.
11. სტატისტიკური წელიწადწერილი, 2018, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2018.

12. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის წლიური ანგარიში, 2017.
13. Russell T. Westcott, Stepping Up to ISO 9004:200, A Practical Guide for Creating a World-Class Organization, 2003.
14. <https://data.worldbank.org/indicator/SE.XPD.TOTL.GD.ZS?locations> – United Nations Educational, Scientific, and Cultural Organization (UNESCO) Institute for Statistics, 2016.
15. https://www.armstat.am/file/article/sv_06_18r_142_.pdf – სომხეთის რესპუბლიკის სტატისტიკის კომიტეტი.
16. STATISTICAL YEARBOOK, LABOUR MARKET, STATE STATISTICAL COMMITTEE OF THE REPUBLIC OF AZERBAIJAN, BAKU 2018.
17. <https://www.destatis.de/EN/FactsFigures/NationalEconomyEnvironment/EarningsLabourCosts/MinimumWages/MinimumWages.html> – გერმანიის სტატისტიკის ფედერალური სამსახური.

The Challenges of Higher Education Quality Assurance in Georgia

Vasil Kikutadze

Associate Professor at

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

vasil.kikutadze@tsu.ge

Quality assurance of higher education in Georgia is one of the main challenges facing the country. There is a relevant legislative-normative base in the country, which regulates the process of implementing the educational and scientific research activities of the HEIs, and also determines the quality of internal and external assurance procedures. Authorization and accreditation processes are determined as the mechanisms of external assurance of quality. Authorization mainly covers the issue of obtaining the status of the HEI, and accreditation establishes compliance with the educational requirements of an educational institution. The quality of internal assurance is provided by the HEI through their Quality Assurance Service, which carries out quality assurance activities, evaluates and monitors the ongoing processes and promotes the improvement of the quality of higher education in the educational institution. The quality assurance of higher education based on its complex and multifaceted nature, implies a complex approach to the issue, namely in modern conditions, the HEI has been actively using the Total Quality Management System (TQM) that enables the HEIs to improve competitiveness both at local and international markets.

Despite the fact that in Georgia there are determined external and internal procedures for higher education quality assurance, the mechanisms of their implementation are established, the quality of higher education in the country is still far from the desired condition; in particular, in the country, a significant part of the unemployed has higher

education; in the world leading university rankings Georgian higher educational institutions occupy, in the best case, beyond the first thousand.

Taking into consideration the current situation, in order to ensure high quality of higher education in Georgia, we consider it necessary to carry out the following measures: It is necessary to establish a stable, sustainable legislative-normative environment in the field of education and higher education in the country, since frequent change is particularly spontaneous, enables the HEIs to focus on new formal requirements, while the quality of education and its development becomes the secondary task; it is necessary to focus on the results of higher education quality assurance processes and remove the quality assessment mechanisms from excessive pressure; it is very important to maximize internationalization of quality assurance processes both at institutional and HEI levels. It is necessary to maximally separate the evaluation criteria used in the authorization and accreditation processes and the timely evaluation processes is required; continuous retraining of human resources involved in the evaluation process (including experts, board members and subjects participating in other processes); staffing of accreditation boards on fields basis; active support for the establishment of “quality culture” in the HEI and achievement of more transparency in quality assurance processes.

Keywords: Higher Education Institution (HEI); Quality of Higher Education; Quality Assurance Mechanisms; Authorization; Accreditation.

JEL Codes: I20, I21, I28

არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასების ზოგიერთი საკითხი

მარინა მაისურაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
marina.maisuradze@tsu.ge

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და მისი საქმიანობის შედეგები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასების რა მეთოდი გამოიყენება საწარმოში. დიდი ხნის განმავლობაში, აქტივებს შეძენის ღირებულებით აფასებდნენ. მოცემული მეთოდი სტაბილური ფასების პირობებში საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლეოდა. თუმცა, ინფლაციის ზრდამ, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებმა და სხვა განუსაზღვრელობებმა შეფასების განსხვავებული მეთოდების აუცილებლობა განაპირობა.

უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო მეტი პოპულარობით რეალური ღირებულების მეთოდი სარგებლობს. მოცემულ მეთოდს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) 13 არეგულირებს. რომელშიც ჩამოყალიბებულია რეალური ღირებულების შეფასების საფუძვლები. შესაბამისად, სტატიკაში განხილულია არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულებით შეფასების ზოგიერთი საკვანძო საკითხი.

საკვანძო სიტყვები: არამატერიალური აქტივი; რეალური ღირებულებ; შემოსავლების მეთოდი; დანახარჯთა მეთოდი; საბაზრო მდგომა.

არამატერიალური აქტივების შეფასება ძირითადად არ განსხვავდება სხვა მატერიალური აქტივების შეფასებისაგან. მათი შეფასება დამოკიდებულია შეძენის მეთოდზე. არამატერიალური აქტივების თვითღირებულების საიმედოდ შეფასება აღიარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი.

ამ თვალსაზრისით, არამატერიალური აქტივების შეფასების საკითხი ორ ნაწილად უნდა დაიყოს:

1. არამატერიალური აქტივების ღირებულების შეფასება საწარმოში შესყიდვისას ან შექმნისას;

2. ბიზნესის შესყიდვისას შეძენილი არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასება.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის (ბასს) 38-ის „არამატერიალური აქტივების“ თანახმად, არამატერიალური აქტივების აღიარება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

ა) მაღალია იმის ალბათობა, რომ სანარმო მიიღებს აქტივიდან მოსალოდნელ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს;

ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების საიმედოდ შეფასება [1].

სანარმომ უნდა შეაფასოს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლის ალბათობა გონივრულად დასაბუთებადი დაშვებებით, რაშიც გათვალისწინებულია იმ ეკონომიკური ვითარების ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული საუკეთესო შეფასება, რომელიც იარსებებს აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში [1].

სანარმოში აქტივის სანყისი აღიარების დროს მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მტკიცებულებების მოპოვება, თუ რამდენადაა მოსალოდნელი აქტივის გამოყენებაზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

არამატერიალური აქტივების თავდაპირველი შეფასება აღიარებისას ხდება მისი შესყიდვის ან სანარმოში საკუთარი ძალებით შექმნის დანახარჯებით. ასეთ შემთხვევაში შეძენის დანახარჯების ყველა კაპიტალიზებადი კომპონენტი ცნობილია და თვითღირებულების განსაზღვრა პრობლემას არ წარმოადგენს. როდესაც სანარმო ყიდულობს ძირითად საშუალებებს, მაგალითად, მანქანა-დანადგარებს, რთული არ არის კაპიტალიზებადი დანახარჯების განსაზღვრა, რადგან მანქანა-დანადგარი არის მატერიალური აქტივი, რომელსაც შეუძლია შემოსავლების გენერირება წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში. არამატერიალურ აქტივებს არ აქვს ფიზიკური ფორმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას შეუძლია დროულად მიიღოს ეკონომიკური სარგებელი (ხუთი და ათი წელი). არამატერიალური აქტივების შეძენის ან საკუთარი ძალებით შექმნის დროს ძირითადი პრობლემას წარმოადგენს ის, თუ რომელი ხარჯების კაპიტალიზება შესაძლებელი და რომელი უნდა აღიარდეს პერიოდის ხარჯად.

ბასს 38-ის «არამატერიალური აქტივების» თანახმად, არამატერიალური აქტივის თვითღირებულება მოიცავს:

- მისი შესყიდვის ფასს იმპორტის მოსაკრებლისა და შესყიდვის არადაბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, შეღავათებისა და ფასდათმობების გამოკლების შემდეგ;
- აქტივის გამოსაყენებლად მომზადებაზე განუულ პირდაპირ დანახარჯებს.

პირდაპირ მიკუთვნებადი დანახარჯების მაგალითებია:

• დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების დანახარჯები, როგორც განმარტებულია ბასს 19-ში - დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები, რაც განუულია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად;

• პროფესიული დანახარჯები, რაც განუულია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად;

- აქტივის შესაბამისი მუშაობის შემონმების დანახარჯები.

კომერციული კომბინაციით შექმნილი არამატერიალური აქტივების აღიარება ხდება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს, თუ როგორ შეფასდეს რეალური ღირებულება.

„რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულმა მეთოდებმა უნდა უზრუნველყოს სათანადო ემპირიული ამოსავალი მონაცემების მაქსიმალურად გამოყენება“ [4].

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტით – (ფასს) 3 «საწარმოთა გაერთიანება» – თანახმად, თუ არამატერიალური აქტივი საქმიანი კომბინაციითაა შექმნილი, ამ არამატერიალური აქტივის რეალური ღირებულება შექმნის თარიღის ღირებულების ტოლია იმ შემთხვევაში, თუ არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულება ცნობილია.

ფასს 13-ის «რეალური ღირებულება» – მიხედვით, არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულება არის აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივის მიმდინარე კოტირებული ფასი, შესყიდვის ფასი. თუ არსებული ფასები არ არის ხელმისაწვდომი, რეალური ღირებულების შეფასების საფუძველი შეიძლება იყოს უახლესი ასეთი გარიგების ფასი. რა თქმა უნდა, თუ არ არსებობს ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილებები ამ გარიგების თარიღსა და რეალური ღირებულების შეფასების თარიღს შორის.

თეორიულად, ყველაფერი მარტივად ჩანს, მაგრამ რეალურ პრაქტიკაში, უნდა ითქვას, რომ არამატერიალური აქტივების აქტიური ბაზარი არ არსებობს. აქტიური ბაზარი არ შეიძლება არსებობდეს ბრენდების, ბეჭდური გამოცემების, მუსიკისა და კინოს უფლებების, პატენტების ან სასაქონლო ნიშნისთვის, რადგან ყოველი ასეთი აქტივი უნიკალურია. მხოლოდ რამდენიმე არამატერიალური აქტივისთვის შეიძლება გამოყენებული იქნეს საბაზრო ფასები, რითაც შესაძლებელია რეალური ღირებულების შეფასება. მაგალითად, ზოგიერთ იურისდიქციაში აქტიური ბაზარი არსებობს გარკვეული საქმიანობისთვის- თავისუფლად გადაცემული ლიცენზიებისთვის, მაგალითად, ტაქსის მომსახურების ლიცენზია ან წარმოების კვოტები.

ზოგადად, არამატერიალური აქტივების ყიდვა-გაყიდვის ტრანზაქციები პრაქტიკაში ხშირი არ არის. გარდა ამისა, ინფორმაცია ფასიანია და ხშირად არ არის ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის, რადგან ბევრი გარიგება ეფუძნება მყიდველებსა და გამყიდველებს შორის კერძო შეთანხმებებს (არა ღია ბაზარზე). იდენტური ან მსგავსი არამატერიალური აქტივების გარიგებების მაგალითები და ფასები, მართლაც რთულია. მაგრამ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი მაგალითები შეიძლება მოიძებნოს, ერთი კონკრეტული აქტივისთვის გადახდილი ფასი არ შეიძლება იყოს სხვა აქტივისათვის რეალური ღირებულება, ვინაიდან ყველაზე მეტად არამატერიალური აქტივები განსხვავდება ერთმანეთისგან მათი მახასიათებლებით. ამდენად, კონკრეტული აქტივის ღირებულების დასადგენად დაკვირვების ფასების კორექტირება შეიძლება ძალიან სუბიექტური იყოს.

«ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების დასადგენად საკმარისია დაკვირვება საბაზრო გარიგებებზე ან საბაზრო ინფორმაციაზე, ანუ მათი ღირებულება არის დაკვირვებადი» [3].

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, უმეტეს შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულება უნდა შეფასდეს არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით. ეს არის დანახარჯთა მეთოდი და შემოსავლების მეთოდი.

ბასს 38 «არამატერიალური აქტივები», ბასს 16-ის მსგავსად, იძლევა შეფასების ორი მოდელის – თვითღირებულების და გადაფასების მოდელის გამოყენების შესაძლებლობას. მაგრამ, ძირითადი საშუალებებისაგან განსხვავებით, არამატერიალური აქტივები შეიძლება აღირიცხოს რეალური ღირებულებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აქტიური ბაზარი. ასეთ ბაზარზე არამატერიალური აქტივის ღირებულება იქნება მისი რეალური ღირებულების აღრიცხვის ამსახველი.

არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად სამი მეთოდი გამოიყენება:

- საბაზრო მეთოდი – აქტივების შედარება მსგავს აქტივებთან, რაც შეიძინა და გაიყიდა ბოლო საბაზრო ოპერაციების დროს;
- შემოსავლების მეთოდი – აქტივიდან მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება;
- დანახარჯთა მეთოდი- შეფასებითი ხარჯები, რომლითაც მოხდება აქტივის შეცვლა, ჩანაცვლების ღირებულება.

სინამდვილეში, პირველი მეთოდი შედარებითი შეფასების მეთოდია. არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასება არის ურთულესი სამუშაო. პრაქტიკაში, არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასება ეკისრება დამოუკიდებელ შემფასებელს, რომელსაც აქვს ასეთი შეფასების გამოცდილება, ან მენეჯმენტი ამას თავად გააკეთებს.

დასასრულ, დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასების მეთოდებს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები.

დადებით მხარედ შეიძლება მიჩნეულ იქნეს აქტივის გამოყენებიდან მომავალი ფულადი ნაკადების ობიექტური შეფასება და სანარმოს საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება. თუმცა, რეალური ღირებულების შეფასება პირობითად შეიძლება იქნეს მიჩნეული, რადგან აქტიური ბაზრის არ არსებობის შემთხვევაში, მაღალია განუსაზღვრელობის დონე.

ლიტერატურა:

1. ბასს 38 „არამატერიალური აქტივები“ 2018, <https://saras.gov.ge/ka/lfrs/Pdf/125>.
2. ფასს 13 « რეალური ღირებულება“ 2018, <https://saras.gov.ge/ka/lfrs/Pdf/100>
3. BIBLIOGRAPHY \I 1079 ნადეჟდა კვატამიძე, ზეინაზ გოგრიჭიანი, ანჟელი ხორავა (2017). რეალური ღირებულების კონცეფცია, გლობალიზაციის გამონწვევები ეკონომიკა-სა და ბიზნესში (გვ. 256-260), თბილისი, თსუ.
4. Marina Maisuradze, Mariam Vardiashvili. (2016/6/9). MAIN ASPECTS OF MEASUREMENT OF THE FAIR VALUE OF NONFINANCIAL ASSETS. 9-10 June, 2016 – 15th International Scientific Conference on Economic and Social Development announces invited session – Human Resources Development. (pp. 385-391). Varazdin Development and Entrepreneurship Agency (VADEA): Varazdin Development and Entrepreneurship Agency (VADEA). file:///C:/Users/user/Downloads/esd_Book_of_Proceedings_Varazdin_2016_Online%20(3).pdf
5. მაისურაძე მ. (2017). აქტივების შეფასების ზოგიერთი საკითხი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. გლობალიზაციის გამონწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, (გვ. 302-306), თბილისი. “https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf” \t “_blank” https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf

Some Issues of Intangible Assets Fair Value Measurement

Marina Maisuradze

*Associated Professor at
Iv. Javakishvili Tbilisi State University
marina.maisuradze@tsu.ge*

Intangible assets can be accounted at fair value only when an active market exists. A value of intangible asset on such market reflects its fair value.

Three methods are used to measure a fair value of intangible assets:

- Market method – Comparison of assets with similar assets purchased and sold during the last market operations;
- Revenue Method – Discounted value of future cash flows expected from the asset;
- Cost Method – Measurement costs, by which the asset is replaced – the replacement value.

The first one is the comparative measurement method. Measurement of the fair value of intangible assets is a too difficult job. In practice, measurement of a fair value of the intangible assets is a responsibility of evaluator who must be experienced in this field, or, a company management should undertake this task

The methods of measurement of the fair value of intangible assets, have their pros and cons.

A positive side is an objective measurement of further cash flows from the assets' value in use and an efficient assessment of the results of activity of an entity.

However, the measurement of the fair value may be considered as conditional, since if no active market exists, a level of uncertainty is high.

Keywords: Intangible Asset; Fair Value; Revenue Method; Cost Method; Market Method

JEL Classification: 41

.

საბანკო საქმორის საქმიანობის რეგულირების საკითხისათვის

მაია გოგოხია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
mayagogokhia@gmail.com

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობაზე მსჯელობა შესაძლებელია იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად შეესაბამება ფულადი მასის სიდიდე ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნებს, შეუფერხებლად ხორციელდება თუ არა ანგარიშსწორება ეკონომიკურ სუბიექტებს შორის, არსებობს თუ არა ქვეყანაში საინვესტიციო საქმიანობის ხელშემწყობი გარემო, როგორია ინფლაციის დონე და ფინანსური რესურსების ღირებულება ეკონომიკური სუბიექტებისათვის. აღნიშნულის შეფასებისათვის შესაძლებელია სხვადასხვა მაჩვენებლის გამოყენება, როგორცაა: ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა, ინფლაციისა და ეკონომიკის მონეტიზაციის მისაღები დონე, ინვესტიციების მოცულობა, საგადახდო სისტემის ხარისხი და საიმედოობა, ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარების დონე. სტატიაში სწორედ აღნიშნულ საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური სტაბილურობა; მონეტარული პოლიტიკა; ეკონომიკური ზრდა; საბანკო სექტორის რეგულირება.

ფინანსური სტაბილურობა და ეკონომიკური ზრდა

საქართველოში საფინანსო სისტემა ბანკებზეა ორიენტირებული. საბანკო სისტემის ეფექტიანობის ინდიკატორებს წარმოადგენს: კაპიტალიზაციის დონე, აქტივების ხარისხი, ოპერაციების დივერსიფიცირება, სარეზერვო ბუფერების არსებობა, გაკოტრებათა სიხშირე, დეპოზიტების დაზღვევის ეფექტიანი სისტემა.

ცენტრალური ბანკი მიისწრაფვის რა ინფლაციის შეზღუდვისაკენ და ვალუტის კურსის სტაბილურობისკენ, შეიძლება ატარებდეს ძალზე მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას, ეკონომიკური ზრდის ინტერესების საზიანოდ.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ ბოლო ათწლეულების კრიზისებთან დაკავშირებით, რეგულატორები, მთლიანად საზოგადოება, უპირატოსობას ანიჭებს ფინანსურ სტაბილურობას ეფექტიანობის საზიანოდ [1, გვ. 33].

ამავდროულად მნიშვნელოვანია საბანკო სექტორის მართვისა და რეგულირების მეთოდების განვითარება, რაც ბანკებს დაინტერესებს განახორციელონ საპროექტო დაფინანსება, დააკრედიტონ რეალური სექტორი, სპეკულაციური ფინანსური ოპერაციების საპირწონედ.

საბანკო სექტორის უნარს, დააკმაყოფილოს ეკონომიკური სუბიექტების მოთხოვნები, ასახავს ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა: კრედიტის ხვედრით ნონა მშპ-ში, საკრედიტო დაბანდების სტრუქტურა და მისი დინამიკა ქვეყანაში, საბანკო კრედიტის წილი ძირითადი საშუალებების დიფანანსების წყაროებში, რაც განვითარებულ და ბევრ განვითარებად ქვეყანაში 55-60%-ია.

საქართველოში სესხების (მოიცავს ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხებს და ასევე ადგილობრივად გამოშვებულ ობლიგაციებს) ფარდობა მშპ-სთან 60%-ია. 2017 წელს, კომპანიებზე ბანკების მიერ გაცემული სესხის ზრდამ, კურსის ეფექტის გამორიცხვით, 12,1% შეადგინა. თუმცა, კომპანიების შემთხვევაში გასათვალისწინებელია ალტერნატიული დაფინანსების წყაროები, როგორიცაა პირდაპირი საგარეო სესხები და კორპორატიული ობლიგაციები. 2017 წლის დეკემბრის მონაცემებით, კომპანიების ჯამურ დაკრედიტებაში საგარეო პირდაპირი დაფინანსების წილი 52%-ია, ხოლო ობლიგაციების წილი – 1,4%. კრედიტები ძირითადად სამომხმარებლო სესხითაა წარმოდგენილი [2].

2014 წლისთვის მონეტიზაციის საშუალო მსოფლიო დონე შეადგენდა 125%-ს, განვითარებული ქვეყნებისთვის კი – 150%-ს და მეტს. საქართველოში 2018 წლისთვის M2 აგრეგატი შეადგენდა 8 მლრდ ლარს, ხოლო მშპ – 10, 165 მლრდ ლარს[3]. ამასთან, ინფლაციის ტემპების ცვლილება შესაძლებელია არ იყოს მჭიდრო კორელაციაში ეკონომიკის მონეტიზაციის შემცირებასთან, მაშინ როცა ინვესტიციების ზრდა პიდაპირ დამოკიდებულებაშია მოცემულ მაჩვენებელთან.

განვითარებული ქვეყნების მართვის სისტემებში აღიარებულია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნების განსაზღვრის აუცილებლობა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების და არამხოლოდ ინფლაციის მაჩვენებლის საფუძველზე. აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მონეტარული პოლიტიკის მიზნები, საბოლოო ანგარიშით, მიმართულია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების უზრუნველყოფაზე [4].

როგორც ცნობილია, 2016 წელს სებ-ის ორგანულ კანონში შესწორება შევიდა, რომლითაც ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია არა ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზე, არამედ თარგეტირებული ინფლაციის მაჩვენებელზე და ზოგადად ფინანსური სისტემის სტაბილურობაზე. თავი რომ დავანებოთ მარტივ ჭეშმარიტებას – სტაბილური ეროვნული ვალუტის გარეშე არ არსებობს სტაბილური ფინანსური სისტემა – მიზნობრივი ინფლაციის დონის მიღწევამდე ეროვნული ბანკი, ამ შესწორებიდან გამომდინარე, სრულებით არ არის დაინტერესებული რეფინანსირების შემცირებით და ლარის გამყარებით [5, გვ. 217].

ბოლო პერიოდში საზღვარგარეთ ჩატარებული ფინანსური არასტაბილურობის გამოკვლევებში მითითებულია შესაძლებლობაზე ავირიდოთ შოკების ფართო სპექტრი ფინანსურ სექტორსა და მთლიანობაში ეკონომიკაზე მეგარეგულატორის შექმნის გზით [6]. ამის თვალსაჩინო მაგალითია ევროკავშირის ფარგლებში შექმნილი ახალი საზედამხედველო ორგანო ESRC (European Systemic Risk Council), რომლის მიზანია სისტემური რისკების მონიტორინგი.

ჩვენი აზრით, საქართველოს ეროვნული ბანკი არ ფლობს ბანკებისა და სხვა საფინანსო შუამავლების ბიზნესმოდელზე ზემოქმედების ინსტრუმენტარს, რაც ხელს შეუწყობდა გრძელვადიანი ინვესტიციების მიმზიდველობის ამაღლებას ეკონომიკის რეალურ სექტორში. ამასთან, თანამედროვე ქართული ფინანსური სექტორის მოდელში დაფიქრებას იწვევს მისი ინსტიტუციონალური სტრუქტურა. ჰერფინალდ – ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით, საქართველოში აქტივების კონცენტრაცია ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ევროპის ქვეყნებს შორის.

ცენტრალური ბანკების უფლებამოსილება

საბანკო სექტორის რეგულირების თანამედროვე მოდელის საკვანძო საკითხია ცენტრალური ბანკების საქმიანობის ორგანიზება და მათი უფლებამოსილების საზღვრები. ვაანალიზებთ რა 2008-2010წწ. მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგებს სხვადასხვა ქვეყნისათვის, რომლებიც იყენებენ განსხვავებულ მიდგომებს საბანკო სექტორის რეგულირების ორგანიზებისადმი, ყოველი მოდელისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ქვეყნის მაგალითი, სადაც კრიზისმა გამოიწვია სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების კრაზი ან პირიქით, კრიზისის შედეგები საბანკო სისტემისათვის არც ისე მნიშვნელოვანი იყო. ამგვარად, საბანკო ზედამხედველობის ეფექტიანობას განსაზღვრავს არა იმდენად, თუ რომელი და რა რაოდენობის ორგანოები ახორციელებს მას, არამედ ზემოქმედების რომელ ინსტრუმენტებს ფლობენ ისინი კანონმდებლობის შესაბამისად, მათი თანამშრომლების პროფესიონალიზმი და ორგანიზაციული სტრუქტურა.

უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს ნდობას საბანკო სისტემისადმი, არის დეპოზიტების დაზღვევის სისტემა.

საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის არათანაბარზომიერი განვითარებისა და გლობალიზაციის პროცესის არსებითი გავლენის გამო, ქართულ ფინანსურ სექტორზე, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების ზღვარგადასულ გამოყენებას, კომერციული ბანკების საქმიანობაზე კონტროლისა და ზედამხედველობის პრაქტიკის გარეშე, შეუძლია გამოიწვიოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეალურ ეკონომიკაზე ზემოქმედების გადაამცემი მექანიზმის (ტრანსმისიური მექანიზმის) დარღვევა.

